

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXI

2010 წლის 13-16 აპრილი

მასალები

თბილისი
2010

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

13 აპრილი, 11 საათი

- ვ. შენგელია, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. XXXVII—XL IV
- თ. უთურგაძე, დელიმიტაციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის ქართულში (არა ნაწილაკის მიხედვით)
- ნ. ქუთელია, ფონეტიკა-ფონოლოგიის საგნის შესახებ
- მ. სუხიშვილი, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის სუფიქსის შესახებ ზმნათა ერთ ჯგუფში
- გ. გოგოლაშვილი, მწერლის ენობრივი თავისუფლება და სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირთა გამოხატვა ზმნაში
- ა. არაბული, ენობრივი პოტენციის რეალიზაციის ერთი საგულისხმო შემთხვევისათვის (დაჟამებული)
- ს. ომიადე, სამეტყველო კომუნიკაციის სტრატეგიები გენდერ-პოეტოკური რაკურსით
- მ. ბუკია, ქართველიზმების შეთვისების ტენდენცია აფხაზური ენის დიალექტებში
- თ. ბურჭულაძე, რთული თანწყობილი წინადადების ერთი საკითხისათვის ქართულში
- ნ. შავრეშიანი, თანაობის პირმიუმართავი დამატებისათვის სვანურში
- მ. თეთრაძე, ბაცბური ენის CVC ტიპის სახელურ ფუძეთა ფონემური სტრუქტურისათვის

14 აპრილი, 14 საათი

- ა. ჭინჭარაული, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის ჰერული (ინგილოური) ლექსიკა პოემაში
- შ. აფრილონიძე, მეტყველების ნაწილთა ფორმალური ოპოზიციებისათვის (ადიექტიური და ადვერბიალური სიტყვები)
- ლ. სანიკიძე, მიმღობის ერთი ზმნური კატეგორიის შესახებ ბაცბურ (წოვა-თუშურ) ენაში
- მ. დლონტი, უფალი და თავისუფალი
- ტ. გურგენიძე, გრამატიკული კლასების იერარქიული სტრუქტურა ნეიტრალიზაციის ფონზე
- მ. საღლიანი, ლე-/ლენ/-ლენ/-ლენა/-ლენა/-ლენა/-ლენა/-ლენა/-ლენა ნაწილაკის შესახებ სვანურში
- ნ. ოთინაშვილი, სოფელ ყანჩავეთის ონომასტიკა
- კ. მითაგვარია, სახელის სუფიქსური წარმოება ადიღურ ენაში
- ა. ავაკიმოვი, აკად. ქ. ლომთათიძე სახელის სრულხმოვნობის შესახებ აფხაზურ და აბაზურ ენებში
- ნ. ბენდუქიძე, უყოლობა-უქონლობის აღმნიშვნელი სახელები ქართულსა და ჩეჩნურში

15 აპრილი, 11საათი

- ი. ჩანტლაძე, კვლავ „კოდორ“-ის ეტიმოლოგიისათვის
- ნ. არდოტელი, საბრუნებელი სახელის ფუძე ბაგვალურ ენაში
- ნ. ჭოხონელიძე, მცენარეთა სახელწოდებები რ. ინანიშვილის ენაში
- მ. რობაქიძე, „თავ“ სიტყვით შედგენილი ორი ანტონიმური კომპოზიტის შესახებ ქართულ ენაში
- ე. გიუნაშვილი, საშუალო სპარსული ონომასტიკის კვლევითი ქართულ წყაროებში
- შ. გაბესკირია, ხეთური მასალის შესწავლის მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის
- ლ. აზმაიფარაშვილი, **-ორ** და **-ალ** სუფიქსებიანი არსებითი სახელების შესახებ ხუნძურში
- ე. შენგელია, რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები ლაზურში
- მ. ჩაჩანიძე, სახელის ლექსიკოგრაფიული პარადიგმის თაობაზე ქართულში
- ქ. მარგინი-სუბარი, სვანური ენის ევიდენციალურ და ეპისტემიკურ ფორმათა ტიპოლოგიური ანალიზისათვის
- ე. ნაპირელი, კოდთა ურთიერთმიმართების ზოგი საკითხი ლაგოდების რაიონში

16 აპრილი, 11 საათი

- რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, პირის ნიშანთა წარმომავლობისათვის ქისტურში
- ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ნაწლავდრუიანთა აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი
- მ. ქ უ რ დ ი ა ნ ი, კახიანების გვარის წარმომავლობისათვის
- თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ვითარებითრუნვისფორმიან სახელთა მორფოლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური სტატუსისათვის
- თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე, ზმნისწინის ფუნქციები და კლასიფიკაციის პრინციპები
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, არსებობის სემანტიკური ველის ზმნათათვის (სუფევა)
- ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, რედუბლიკაციით მიღებული ზმნისართები სვანურში
- გ. ვ ა ნ ი ლ ი შ ი, ჰიდრონიმ „კალენდე[რ]იმ ღალის“ ეტიმოლოგია
- რ. ლ ო ლ უ ა, ნამყოს ფორმების წარმოებისათვის უდიურ ენაში
- ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა, ორი საერთოქართველური ძირისათვის
- ს. პ ა პ ი ა შ ვ ი ლ ი, კუთხური იდენტობის საკითხი დიალექტურ კუნძულში (ასპინძის რაიონში ჩასახლებული იმერლების მაგალითზე)

ა რ ტ ი ო მ ა ვ ა კ ი მ ო ვ ი

აკად. ქ. ლომთათიძე სახელის სრულხმოვნობის შესახებ აფხაზურ და აბაზურ ენებში

აკადემიკოს ქ. ლომთათიძის კვლევებში მნიშვნელოვანია სრულხმოვნობის საკითხი, რომელიც მეცნიერს განხილული აქვს აფხაზურ-აბაზურ ენათა ოთხივე დიალექტის მონაცემთა გათვალისწინებით.

მიჩნეულია, რომ ამ ენათა ამოსავალი ვითარებისათვის დამახასიათებელი იყო სრულხმოვნობა, ხოლო თანხმოვანთა თავმოყრა არის ძლიერი მახვილის მოქმედების შედეგი; უმახვილო პოზიციაში მყოფი **ა** და **გგ** ხმოვნები მეზობელ მარცვალში ძლიერი მახვილის ქონის შემთხვევაში იკარგებოდა. (მაგ.; აბჟ. დიალ.: ამშა „დღე“ < * ა-მა-შა „id.“, ტაბ. დიალ.: შშგ „დღე“ < * მაშა „id.“ და ა.შ.).

აბჟუურსა და ბზიფურ დიალექტთა შორის სრულხმოვნობის მხრივ ორი ძირითადი კანონზომიერება გამოიკვეთა: **ა) როდესაც ბზიფურ დიალექტში გვაქვს სრულხმოვნობა, აბჟუურ დიალექტში მოკვეცილია სმოვანი**, (მაგ.; ბზიფ. აკოათანა „გუთანი“, აბჟ. აკოათანი აგოათან „id.“, ბზიფ. აკოათა „იხვი“, აბჟ. აკოატ „id.“ და ა.შ.); ეს წესი მოქმედებს აფხაზურ ენაში ქართულიდან შემოსულ ლექსიკაში. **ბ) როდესაც ბზიფურ დიალექტში გვაქვს სრულხმოვნობა, აბჟუურში შეკუმშულია ფუძისეული სმოვანი**, (მაგ.; ბზიფ. აგოარათა „ეზო“, აბჟ. აგოართა „id.“, ბზიფ. ათგარა „ამოღება, ამოყვანა“, აბჟ. ათგარა „id.“ და ა.შ.); ეს პროცესი ძირითადად საკუთარ მასალაში გვაქვს და დაკავშირებულია მახვილთან: მახვილის გადაწევა იწვევს ხმოვნის შეკუმშვას.

ირკვევა, რომ აშხარულსა და ტაპანთურში არსებული ვითარება იდენტურია აბჟუურისა და ბზიფურის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აშხარულ და ტაპანთურ დიალექტებშიც შეიძლება გამოიყოს შემდეგი მიმართება: **ა) როდესაც აშხარულ დიალექტში გვაქვს სრულხმოვნობა, ტაპანთურ დიალექტში მოკვეცილია ამოსავალი სმოვანი**, (მაგ.; აშხ. რაბა „მათი მამა“, ტაბ. რაბ „id.“, აშხ. (ა)ქეთა „სოფელი“, ტაბ. ქეთ „id.“ და ა.შ.) და **ბ) როდესაც აშხარულ დიალექტში გვაქვს სრულხმოვნობა, ტაპანთურში შეკუმშულია ფუძი-**

სეული სმოვანი, (მაგ.; აშხ. ჩაფარა „კეთება“, ტაპ. აჩფარა „იდ“, აშხ. აბაგა „მგელი, მელა“, ტაპ. აბგა „id.“ და ა.შ.).

რუსი მკვლევარი გ. სერდიუჩენკო აფხაზურ-აბაზურ ენებში ცდილობდა ფომენტური მნიშვნელობის მქონე გემინირებული თანხმოვნების გამოყოფას, მაგრამ ქ. ლომთათიძემ გაარკვია, რომ ორი ერთნაირი თანხმოვნის თავმოყრა ფუძეში არის სრულხმოვნობის დარღვევის შედეგი აფხაზურ-აბაზურ ენებში. უფრო მეტიც, აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში (აფსუსის, კუვინსკის) სათანადო შემთხვევებში ორ თანხმოვანს ერთად იშვიათად თუ სადმე შევხვდებით, (მაგ.; აშხ. ღიღია „ძლიერი“ შდრ. აბჟ. / ბზიფ. აღიღია „id.“, აშხ. ძიძიძარა „რცხვა“ შდრ. აბჟ. / ბზიფ. ძიძიძარა „id.“ და სხვ.). როგორც ჩანს, აფხაზურ დიალექტებში, აბაზურისაგან განსხვავებით, განუსაზღვრელობის ა-ს გაჩენის შემდეგ, მოხდა მახვილის გადატანა, რის შედეგადაც აბჟურ და ბზიფურ დიალექტებში ამ პროცესმა გამოიწვია ფუძისეული ხმოვნის შეკუმშვა.

არის შემთხვევები, როდესაც ერთი დიალექტის ორ სხვადასხვა კილოკავში გვაქვს პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია დიალექტთა შორის დადასტურებულ ორ ზემოთ დასახელებულ ძირითად კანონზომიერებასთან, კერძოდ, ეს ფაქტი დადასტურებულია აბჟური დიალექტის ჯგერდისა და ბალმარანის კილოკავებში (მაგ., ჯგერდ. ამაშენ „ზღვა“, ბალმ. ამაშენ „id.“).

მაშასადამე, კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აშხარული დიალექტი თავისი სრულხმოვნობით მიჰყვება ბზიფურს (რაბა „მათი მამა“, (ა)ქეთა „სოფელი“ და სხვ.), ხოლო ტაპანთური, თავის მხრივ, მიჰყვება აბჟურს (აჩფარა „კეთება“, აბგა „მგელი, მელა“ და სხვ.). ბზიფური დიალექტისთვის დამახასიათებელია სრული, შეუკუმშავი ფუძე, ხოლო აბჟურისათვის დამახასიათებელია შეკუმშული ან შეკვეცილი ფუძე. ეგვე ითქმის აბაზურის დიალექტებზე: აშხარულში შეგვხვდება სრულხმოვნიანი სიტყვები, ხოლო ტაპანთურში — სათანადო ადგილას ხმოვანი დაკარგულია.

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ე ი ლ ი

-ორ და -ალ სუფიქსებიანი არსებითი სახელების შესახებ ხუნძურში

ხუნძურ ენაში მოიპოვება არსებითი სახელები, რომელთა შემადგენლობაშიც, სპეციალური ანალიზის მეშვეობით, შესაძლებელია გამოვლენა ამჟამად უკვე უმოქმედო აფიქსებისა. სახელის ფუძეს შეზრდილ ამგვარ აფიქსთა შორის შეიძლება დავასახელოთ **-ორ** და **-ალ**.

-ორ: ჯ ო მ - ო რ „მგელი“. ჯერ კიდევ პ. უსლარი ვარაუდობდა, რომ ეს სიტყვა უკავშირდება ზმნას ჯ ა მ - ი - ზ ე „მოტაცება“. მართალია, ამ სუბსტანტივის აგებულების ანალიზი მკვლევარს არ მოუცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვარაუდი სარწმუნო ჩანს. ჯ ო მ - ჯ ა მ - ცვლილების მიზეზი ადვილად შეიძლება ავხსნათ: ბოლოსართი **-ორ** სიტყვაში მახვილიანია, რის შედეგადაც **ო** ხმოვნის მიერ ასიმილირებულია ფუძისეული **ა**: ჯომ-რრ ← *ჯამ-რრ. უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ მორფემის მიერ ფუძეში გამოწვეული რეგრესული ასიმილაციის ასეთი შემთხვევები ხუნძურ ენაში არ წარმოადგენენ იშვიათობას.

ზედმიწვევითი მნიშვნელობა სიტყვისა ჯ ო მ ო რ („მგელი“), ამრიგად, უნდა ყოფილიყო „მტაცებელი“, რაც, ალბათ, ტაბუს შემთხვევას წარმოადგენს. მგლის ტაბუს ოდინდელ არსებობაზე მიანიშნებენ სხვა დადესტურული ენებიც, რომლებშიც „მგლის“ სახელწოდება ჩანაცვლებულია „მხეცის“ მნიშვნელობის მქონე სიტყვით: დარგ. ჟანივარ, ლეზგ. თაბ. ჟანავარ, ალულ. ჟანავურ, წახ. ჟანავარ (სიტყვა ნასესხებია სპარსულიდან, შდრ. აგრეთვე ხუნძ. ჟანავარ „მხეცი“). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე სვანური სახელწოდება მგლისა: თ ხ ო რ ე . როგორც ირკვევა, მისთვის ამოსავალი იყო „ნადირის“ სემანტიკა; შდრ. მ ე - თ ხ უ - დ ო რ „მონადირე“, ი - თ ხ უ - დ ო რ „ნადირობს“... (მ. ჩუხუა). მგლის ტაბუს ნათელ მაგალითად ხუნძურ ენაში წარმოგვიდგება აგრეთვე სიტყვა მ ა ლ ზ უ ნ „წყეული“. ეს სიტყვა არაბული წარმომავლობისაა. მგლის მეტსახელად იგი ჩრდილოურ ხუნძურშია დადასტურებული ზ. ჯაფარიძის მიერ.

-ალ: ჯ ა მ - ა ლ - ო „ბუა“ (ბავშვების შესაშინებლად გამოგონი-

ლი არსება). ეს სიტყვაც წარმომდგარი ჩანს ზმნისაგან ჯამ-ი-ზე „მოტაცება“. მეორე, უფრო გავრცელებული სახელწოდება ამ არსებისა არის ბოჭოლო. ინტერესს იწვევს ამ მიმართებით ტექსტი ერთ-ერთი ხუნძური აკენის სიმღერისა:

ჭალი ჯამე, ბოჭოლო, აალი მოიტაცე, ბუა,
ღირ მუჰამად ტელარო. ჩემს მუჰამადს არ მოგცემ.
ფატი ჯამე, ჯამალო, ფატი მოიტაცე, „ტაციავ“,
ღირ ხირად დუე ტელარო. ჩემს ძვირფასს შენ არ მოგცემ“.

ბოლოკიდური -ო (ჯამალ-ო), საფიქრებელია, აქ ისეთივე დერივატი უნდა იყოს, როგორც გვაქვს სიტყვაში მესედ -ო „მშენიერი ქალი“, „მზეთუნახავი“; შდრ. მესედ „ოქრო“. ჯამ-ი-ზე („მოტაცება“) ზმნისაგან -ალ სუფიქსის დართვით ნაწარმოებია აგრეთვე არსებითი სახელი ჯამ-ალ „ძარცვა-გლეჯა“, „დატაცება“, „აოხრება“.

ავთანდილ არაბული

ენობრივი პოტენციის რელიზაციის ერთი საგულისხმო შემთხვევისათვის (დაჯამებული)

გარკვეულ ნაყოფთა სიმწიფისა და უმწიფრობის აღსანიშნავად სულხან-საბა ორბელიანი იყენებს ჯამ- ფუძიდან წარმოქმნილ მიმღებებს; რედაქციების მიხედვით გვაქვს:

ZA: ნუშთა, ნიგოზთა და ეგევითართა, ცერცვთა, სიმინდთა და ეგევითართა დაუჟამებელსა და სიმაგრენაკლებსა ოდოშსა უწოდენ, ხოლო ყანათასა — ეტერსა.

B: ნუშთა ... და ეგევითართა არადაჟამებულსა, არამედ ნაკლებსა ოდოშს უწოდენ, ხოლო ყანათასა — ეტერსა.

C: ოდოშად ითქმის თხილთა, ნიგოზთა, ნუშთა და ეგევითარი ცერცვი და სიმინდი არამოწვევული მოწილვად, არამედ ოდენ მოჟამებული და ნაკლები

მცირედ, ხოლო ყანა ეტერად ითქმის.

DE: ოდოშად ითქმის თხილი, ნიგოზი, ნუში და ეგევითარი, ცერცვი და სიმინდი არამოჟამებული (არამედ D) მცირედ ნაკლები, ხოლო ყანა — ეტერად.

სალექსიკონო სტატიის რედაქციებიდან ჩანს, რომ ჯამ- ფუძიდან ნაწარმოებია ნაირგვარი ფორმები, ანუ ლექსიკურად (ტერმინულად) ეს წარმოება ჯერ კიდევ დამდგარი არ არის. შინაარსი, ცხადია, ძველი ქართულიდან იღებს სათავეს, სადაც **მოჟამებული** „დროდამდგარს, მოწეულს, დროულს“ ნიშნავდა. „ვეფხისტყაოსანში“ („აწ წადი, ნახე შენი მზე ნახვისა მოჟამებულმან“), ვიქტორ ნოზაძის თანახმად, **მოჟამებული** „მოახლოებულია“.

აღნიშნული სემანტიკური ტენდენცია ფხოვერ დიალექტურ არეალში (უნდა ვიფიქროთ — დამოუკიდებლად) ტერმინულ მნიშვნელობად დამდგარა:

1. მომწიფებული [მუწუკი] (ამ შემთხვევაში პირდაპირი მიმღებური შინაარსი ჯერაც ხელშესახებია): „დაჟამებული იარა, ნესტარით გამოსარწყავი“ (ვაჟა).
2. დაჟამებული, დაჟამული (ფშ. ხევს. მოხ.) დამწიფებული, მწიფე: „თქმულა: დაჟამულს ესროდენ, დაბლა ცვიოდა კობია“ (ა. შან., ალ. ჭინჭარ.).

ნოდარ არდოტელი

საბრუნებელი სახელის ფუძე ბავგალურ ენაში

ბავგალურ ენაში, ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, ბრუნების პარადიგმაში გამოიყოფა საბრუნებელი სახელის ფუძის ოთხი სახეობა: 1) **მარტივი (არამარკირებული) ფუძე, რომელიც ნულოვანი მორფემით არის წარმოდგენილი და გრამატიკული გამოხატულებით ძირითადად მხოლოდითი რიცხვის სახელობითის (resp. აბსოლუტივის) ფორმას ემთხვევა;** 2) **მეორე („ირიბი“) ფუძე,**

რომელიც სპეციალური მარკერებით ფორმდება; 3) მრავლობითი რიცხვის პირველი ფუძე, რომელიც სახელობითის ფორმას უდრის; 4) მრავლობითი რიცხვის მეორე („ირიბი“) ფუძე, რომელიც მეტწილად სტანდარტიზებულია.

1. მხოლოდობით რიცხვში ფუძეთა წარმოებისას სახელობითის ფორმა, როგორც კლასიმიმართ აქტანტთა გამომხატველი მორფოლოგიური ოდენობა, უპირატესად გამოიყენება არა უშუალოდ „ირიბ“ ბრუნვათა ფორმების საწარმოებლად, არამედ მეორე („ირიბ“) ფუძეთა წარმოსაქმნელად, მაგ.: სახ. **მილჭ** „მზე“ — ფუძ. **მილჭ-ი-**, სახ. **ას** „ვერცხლი“ — ფუძ. **ას-ი-** და სხვ. ამ ტიპის მაგალითები ცხადყოფენ, რომ სახელობითის ფორმა, თუ **-V** სტრუქტურის მარკერებს ბრუნვის ნიშანთა კუთვნილებად არ მივიჩნევთ, „ირიბ“ ბრუნვათა ფუძეს ედება საფუძვლად.

2. მეორე („ირიბი“) ფუძე შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც კლასიმიმართ აქტანტთა ბრუნვების (**ერგ.**, **მიც.**, **აფექტ.**) საწარმოებლად, ისე კლასიმიმართ აქტანტთა ბრუნვის (**ნათ.**) საწარმოებლადაც.

მეორე ფუძე შეიძლება წარმოდგენილი იყოს: ა) ნულოვანი მორფემით {-Ø}, როცა სახელობითი და მეორე ფუძე ფორმობრივად ერთმანეთს ემთხვევიან; ბ) {-V} სტრუქტურის მარკერით, რომლის დართვა, ამ ენის ფონოტაქტიკიდან გამომდინარე, ბოლოკიდური ხმოვნის აპოკოპეს ახდენს, მაგ., **მუსა** „ხარი“ — ერგ. **მუს-უ-რ** (< **მუს-სა-უ-რ**)...; გ) {-CV} სტრუქტურის ფორმანტებით, რომელთა დართვა ფუძის წარმოებისას სემანტიკურად მოტივირებულია: {-**შაუ**} დაერთვის I გრამატიკული კლასის სახელებს (გარდა **შასა** „ძმა“ და მამაკაცთა საკუთარ სახელებისა), ხოლო {-**ლ’აი**} გვევლინება II კლასის ყველა და III კლასის ერთი ჯგუფის სახელთათვის (გარდა **მასა** „და“ ქალთა საკუთარი სახელებისა). სპორადულად დაჩნდება აგრეთვე {-**და**}, {-**ლა**} ელემენტები, რომლებიც ფუძეს შეხორცებული ოდინდელი ფორმანტები ჩანან, მაგ.: სახ. რაჟ „ნიორი“ — ნათ. რაჟ-**და-ლ’ა** (შდრ. ხუნდ. რაჟი-**დუ-ლ** „id.“), სახ. მუჩუ „ქარი“ — ნათ. მუჩუ-**ლა-ლ’ა** || მუჩუ-**უ-ლ’ა** და მისთ.

3. მრავლობითი რიცხვის პირველადი (მარტივი) ფუძე, თუ მორფონოლოგიურ ცვლილებებს არ გავითვალისწინებთ, მრავლობითის სახელობითის ემთხვევა. იგი იწარმოება სხვადასხვა სუფიქსებით ({-**V-**

ბი-მი}, {-**დარი**}, {-**იბადი/ბადი**}, {-**ა**}, {-**ი**}, {-**ე**}, {-**დი**}, {-**ლ’ა**}...), რომელთა გამოყენება სემანტიკურად მოტივირებულია, თუმცა ამგვარი შეპირობებულობა თანამიმდევრულად და ბოლომდე არ არის გატარებული. მრავლობითობის ფორმები ნაწარმოებია მხოლოდობითი რიცხვის სახელობითის ფორმებისაგან (ხშირად) ან იმავე რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძისაგან (იშვიათად).

4. მრავლობითი რიცხვის მეორე („ირიბი“) ფუძე მთლიანად მოიცავს მრავლობითი რიცხვის სახელობითის უცვლელ ან მოდიფიცირებულ ფორმას. მხოლოდობითი რიცხვისაგან განსხვავებით, მრავლობითში გამოიყოფა ორი ძირითადი სემანტიკური ჯგუფი: ა) **ადამიანთა კლასი** (I-II კლ. — **ბ** კლასიფიკატორით) და ბ) **ნივთთა კლასი** (III კლ. — **რ** კლასიფიკატორით). ამ ორ ჯგუფს ირიბ ბრუნვათა ფუძე განსხვავებულად ეწარმოება: 1) პირველ ჯგუფში გაერთიანებულ გონიერ სულიერ და მათთან გათანაბრებულ არსებებს მეორე ფუძე ეწარმოება {-**ალუ**}, {-**ლუ**}, {-**უ**} მარკერებით, რომელთაგან პირველი ორი რთული აგებულებისაა: **-ა** ნივთის კლასის სახელთა „ირიბი“ ფუძის მაწარმოებელია, **-ლ** — დამოუკიდებელი ელემენტი, **-უ** — II ფუძის ნიშანი, რაც ადამიანის კლასის მარკირებას ახდენს [გუდავა 1971: 96]; 2) მეორე ჯგუფში შემავალ ნივთის კლასის სახელთა ფუძის მარკერებად, მხოლოდობითის მგავსად, დასტურდება {-**ა**} და {-**ი**}, რომელთაგან უფრო პროდუქტიულია {-**ა**}. რაც შეეხება {-**ი**}-ს, {-**ი**} ნიშნით დასრულებულ სულ რამდენიმე სახელის ფუძეს დაერთვის და შერწყმის საფუძველზე ამ უკანასკნელი ხმოვნის დაგრძელებას იწვევს, მაგ.: **ქოთ-ი** „ნაბდის ფეხსაცმელები“ — ერგ. **ქოთ-ი-რ** (< **ქოთ-ი-ი-რ**), **წიგ-ი** „თხები“ — ერგ. **წიგ-ი-რ** (< **წიგ-ი-ი-რ**) და ა. შ. კვანადური კილოკავი, თლისურ-თლიბიშოურისაგან განსხვავებით, {-**ა**} სუფიქსის ნაცვლად ირიბ ბრუნვათა ფუძეში {-**ე**} ალომორფს გვიჩვენებს, რაც სემანტიკური ატრაქციით არის ახსნილი [კიბრიკი... 2001: 138; შდრ. გუდავა 1971: 58, 96].

მეტყველების ნაწილთა ფორმალური ობოზიციებისათვის
(ადიექტიური და ადვერბიალური სიტყვები)

1. მორფოლოგიისა და სინტაქსის მჭიდრო კავშირის ერთი მნიშვნელოვანი გამოვლენა თანამედროვე ქართულში გულისხმობს ზოგიერთი მეტყველების ნაწილის ფორმალურ შეზღუდვას.

სახელები, რომლებსაც ბრუნების უნარი აერთიანებს, სპეციფიკური სემანტიკური ფუნქციის კვალობაზე გამოირჩეულ ფორმებს გვიჩვენებს, კერძოდ, **აღმნიშვნელი** და **მიმთითებელი** სახელები სხვადასხვაგვარ ფორმალურ ჩარჩოებში თავსდება პრეპოზიციურ მსაზღვრელებად მათი გამოყენებისას.

2. მსაზღვრელებად გამოყენებული **აღმნიშვნელი** სახელები, რომლებიც აღნიშნავენ საგანს, თვისებას, რიცხვს ან რიგს, ზომა-წონას, ქვეყნის მხარეს... ახასიათებს მოქმედსა თუ სამოქმედო პირს და სხვ. — შესაბამისად, არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები და მიმღებობები — სახელობითში მუდამ ხმოვანზე მთავრდება. ეს ხმოვანი ან ფუძისეულია (ხმოვანზე ფუძეგათავებულ სახელებში), ან უსახელობითის **-ი** ნიშანი (თანხმოვანზე ფუძეგათავებულ სახელებში).

3. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ **მიმთითებელი** სახელები, კერძოდ, III პირის ნაცვალსახელებთან თანხვედრილი ჩვენებითი ნაცვალსახელები **ეს, ის, ეგ**, რომელთაც როგორც სახელობითში, ისე სხვა ბრუნებში თანხმოვანზე უთავდებათ ფუძე (ორფუძიანობის პირობებში), შესაბამისად — **ამ, იმ, მაგ**). საინტერესოა, რომ თანხმოვანზე დაბოლოებული I და II პირის ნაცვალსახელები **ჩვენ, შენ, თქვენ**, რომელთა პირველი სამი ბრუნვა ფორმალურად იდენტუორია და მხოლოდ სინტაქსური ანალიზი გამოგვაცნობინებს მათს ფუნქციას, კუთვნილებით ნაცვალსახელებად გარ დაქმნისას თანხმოვანფუძიან მსაზღვრელთა რიგში გადაინაცვლებს და გაჰყვება ამ ტიპის ბრუნებას. ასევე იქცევა I პირის მხ. რიცხვის ხმოვანფუძიანი ნაცვალსახელი **მე**, რომელიც მთლიანად იცვლის ფუძეს (> **ჩემ**) და თანხმოვანფუძიან მსაზღვრელებს შეუერთდება შეთანხმების საერთო წესით.

4. როგორც ჩანს, სახელების მსაზღვრელებად გამოყენებისას

გადაწყვეტია მსაზღვრელ სახელთა **აღმნიშვნელი** (და არა **მიმთითებელი**) ხასიათი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი **სრულმნიშვნელოვნობა**, რასაც ნაცვალსახელი მოკლებულია (აკი თვით ტერმინი **ნაცვალსახელიც** სწორედ იმას მიუთითებს, რომ იგი შეიძლება შეენაცვლოს ყველა სახის სახელს!).

5. სახელებისაგან მკვეთრ სხვაობას გვიჩვენებს **ადვერბიალური** სიტყვები — **ზმნისართები**, რომელთა უმრავლესობა სათანადო ზედსართავებისგან იწარმოება, თანხმოვანზე თავდება და ამ სახითაა გაქვავებული (როგორც წესი, თანამედროვე ან ისტორიულ ვითარებითსა და მოქმედებითში (**კარგი > კარგად, ცუდი > ცუდად**; ასევე: **წინა > წინა(ა)თ, ზემო > წემო(ა)თ, მარჯვენა > მარჯვნივ, მარცხენა > მარცხნივ; წასახვლელი** (კაცი) > **წასახვლელად** (გაემზადა) და ა. შ.).

რამდენიმე გამონაკლისი გვხვდება ზმნისართების ხმოვანზე ფუძის გათავებისა (**ნელა, ჩქარა, მაღლა, დაბლა, მალე**), მაგრამ უმრავლესობა ისტორიულად თანხმოვანზე თავდება (**მალლად > მალლა, მალიად > მალე, ნელიად > ნელა...**), რაც საერთო სურათს არ ცვლის. იქაც კი, სადაც ზმნისართები ხმოვანზე თავდება, სათანადო ზედსართავთან ობოზიციური თანაფარდობა მაინც მყარდება (**ჩქარა — ჩქარი, მაღლა — მაღალი, ნელა — ნელი**) და მისთ.

6. ადიექტიურ და ადვერბიალურ სიტყვებს შორის თანაფარდობის ეს წესი სრულიად ურყევეა და მის რეალიზებას არავითარი დაბრკოლება არ შეჰქმნია.

მაშასადამე, **პრეპოზიციურ მსაზღვრელად გამოყენებული სრულმნიშვნელოვანი ბრუნებადი სახელი ნომინატივში** (ანუ საწყის ბრუნვაში) **ბოლოკიდური ხმოვნის გარეშე არ ინმარება**. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ხმოვანზე უთავდება ამგვარ მსაზღვრელს ფუძე, თუ — თანხმოვანზე. ხმოვანფუძიანები, წესისამებს, სრულიად უცვლელი რჩება, ხოლო თანხმოვანფუძიანები მიჰყვება ამ სახის მსაზღვრელთა ბრუნების საერთო წესს. ეს წესი ნორმატიულია და მის რევიზიას არავითარი საფუძველი არა აქვს.

ნი ნ ო ბ ე ნ დ უ ქ ი ძ ე

უყოლობა-უქონლობის აღმნიშვნელი სახელები ქართულსა და ჩეჩნურში

უყოლობა-უქონლობის სახელთა წარმოება ქართულში ორი ტიპისაა: უყოლობა-უქონლობა იწარმოება **უ—ურ** და **უ—ო** კონფიქსებით. იშვიათად გვხვდება ოდენ **უ-** თავსართიანი წარმოებაც:

1) **უ—ურ** (რანარეგ ფუძეებთან დისიმილაციით უ—ულ) გვხვდება სახელთა მცირე რიცხვში: უ-ბედ-ურ-ი, უ-მად-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი. ასევე დისიმილაციით მიღებული: უ-ფერ-ულ-ი, უ-წვერ-ულ-ი და ა. შ.

2) **უ—ო** ჩვეულებრივი მაწარმოებელია უყოლობა-უქონლობის სახელებისა არსებითთაგან: უ-გულ-ო, უ-ქუდ-ო, უ-ჭკუ-ო, უ-უნარ-ო.

3) გვაქვს ოდენ **უ-** თავსართიანი წარმოებაც: უ-რიცხვი.

უყოლობა-უქონლობის აღმნიშვნელი სახელები დასტურდება ჩეჩნურშიც. ჩვენს მიერ ამოწერილი მასალა ა. კარასაევისა და ა. მაციევის „რუსულ-ჩეჩნური ლექსიკონიდან“, რომელიც დაახლოებით 160 ერთეულს შეადგენს, დავალაგეთ სტრუქტურის მიხედვით. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩეჩნურ ენაში უყოლობა-უქონლობის სახელები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

პირველ ჯგუფში, რომელიც შედარებით მრავალრიცხოვანია, გამოიყოფა ის სახელები, რომლებიც უქონლობას აღწერთად გამოხატავენ. აღწერთი ფორმები შედგება სახელისაგან, რომელსაც მოსდევს **დაც** „არ არის“ ზმნის აწმყოს მიმღეობა **დჟოცუ**. უნდა აღინიშნოს, რომ **დაც** ზმნა ნაწარმოებია **დჟ** „არის“ ზმნისაგან უარყოფითობის **-ც** ნაწილაკის დართვით, ამასთანავე, **-ც** ნაწილაკის დართვა იწვევს ზმნის ფუძეში **უ** ხმოვნის **ა**-თი შეცვლას, რომელიც ამ ზმნაში ამოსავალი ხმოვანი ჩანს. სავარაუდოდ, **დჟ** მეორეულია და მომდინარეობს **და**-საგან. **და** ფორმა დასტურდება ჩეჩნური ენის ზოგ კილოკავში (მაგ.: მაისთურში), ინგუშურ და წოვა-თუშურ ენებში. მოცემულ ზმნაში **დ-** ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანია, **-ა**- ხმოვანი აწმყოს მაწარმოებელი ფორმანტი ჩანს. ზმნას ფუძე დაკარგული აქვს. თავის მხრივ **-ც** ნაწილაკი მომდინარეობს **-ცა**-საგან, რო-

მელსაც ხმოვანი მოკვეცილი აქვს ბოლოკიდურ პოზიციაში. აღსანიშნავია, რომ **-ცა** ნაწილაკი ჩეჩნურში, ჩვეულებრივ, ზმნის წინ დგას, მაგრამ მოცემულ ზმნაში ის ამ სახით, მხოლოდ ბოლოკიდურ პოზიციაში დასტურდება.

როგორც ითქვა, **დჟოცუ (დჟცუ) მიმღეობის** ფუნქცია უყოლობა-უქონლობის გამოხატვაა. არსებითი სახელი დგას მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში.

მაგალითად:

მევაშ დოცუ „უუღვანო“

ბეხქ ბოცუ „უდანაშაულო“

ხი დოცუ „უწყლო“

ჰავა' დოცუ „უჰაერო“

ბჰრამ ბოცუ „უზომო“ და ა.შ.

აღნიშნულ მიმღეობასთან არსებითი სახელი შეიძლება იდგეს მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაშიც. შდრ. ბჰრგ ბოცუ „უთვალო“ და ბჰრგამ დოცუ „უთვალეზო.“ ცაერგ (ცაერგამ) დოცუ „უკბილო (უკბილეზო)“.

საინტერესოა, რომ „უყუროს“ მნიშვნელობით ამჟამად იხმარება **ხურამ**, ალბათ ნასესხები სიტყვა. იგი **ლერგ დჟოცუ** „უყურო“-ში გამოყენებული სიტყვის სინონიმია. ჰმე ბოცუ „უტვინო“ აღწერთი ფორმას შეიძლება შეენაცვლოს ‘ოვდალ „სულელი, ბრიყვი, აბდალი“. ესეც ნასესხები სიტყვაა.

მაჟ დოცუ „უწვერო“ || ქჰსა „ქოსა“ და ა. შ სინონიმური პარალელები, სავარაუდოდ, ნასესხები უნდა იყოს (შდრ. ქართული ქოსა).

უყოლობა-უქონლობის აღმნიშვნელი სახელები ჩეჩნურში აღწერთი ფორმების პარალელურად იწარმოება ორგანულადაც. უყოლობა-უქონლობის მაწარმოებელი სუფიქსი ჩეჩნურში არის **-ზა**, შდრ. ზემოთ დასახელებული მაგალითი: ბჰრამ ბოცუ „უესაზღვრო, უზომო“ და იგივე სახელი **-ზა** ნაწილაკით: ბარამ-**ზა**.

-ზა სუფიქსი ჩეჩნურში ზედსართავ სახელებს აწარმოებს არსებითთაგან. მაგ.: ეჰჰ „სინდისი, ნამუსი“ — ევჰაზა „უსინდისო, უნამუ-

სო“. დჷყა „წილი, ნაწილი“ და დჷყა-ზა უწილო, უბედური“. ჩამ „გემო“ ჩჷმ-ზა „უგემური“ (აღწერითად ჩამ ბოცუ „გემოს არმქონე“).

ბჷრგ „თვალი“ სიტყვისგან -გ სეგმენტის მოკვეციტ ნაწარმოებია ბჷრზედ „უთვალო, ბრმა“. საინტერესოა ჩეჩნური **ბჷარ** და ქართული **ბრმა** ფუძეების შედარება.. ქართული **ბრმა**, ალბათ მომდინარე **ბარმა**-საგან ფონეტიკურად ჰგავს ჩეჩნურს. ხომ არ არის ეს ორი ლექსემა იდენტური?.

ასევე საინტერესო სურათს იძლევა ჩეჩნური **ყჷორა** „ყრუ“ ფორმის შედარება ქართულ „ყურ“-თან. ჩეჩნურში „ყური“ სიტყვას შეესაბამება **ლერგ** (<**ლერიგ**). საკითხი ისმის, ხომ არ შეიძლება ჩეჩნურში **ყჷორა** ქართულიდან ნასესხებად ჩაითვალოს.

-ზა სუფიქსს წოვათუშურში შეესატყვისება -წი, მდრ. დადე-წი „უმაღო“, ნახ-წი „უხალხო“ და სხვა. შენიშნულია, რომ -წი ფორმანტიტ ნაწარმოები უქონლობის სახელები წოვა-თუშურში უფრო მეტია, ვიდრე ჩეჩნურ-ინგუშურ ენებში (ა. ჩოქაევი).

-ზა//წი სუფიქსები, რომელთა დიალექტური ვარიანტებია -ძა//ძი წარმოშობით საერთონახურია.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

ქართველიზმების შეთვისების ტენდენცია აფხაზური ენის დიალექტებში

აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში სოლიდური ადგილი უჭირავს ქართველიზმებს.

ქართველიზმები ჰარბობს აბჷურ დიალექტში. ბზიფურში მათ სინონიმურ წყვილებად აფხაზური, თურქული, იშვიათად რუსული სიტყვები დაჩნდება.

მიუხედავად ამისა, თვალში გვხვდება ერთგვარი ტენდენცია საკუთრივ ქართველიზმების გადანაწილებისა აფხაზური ენის დიალექტთა შორის. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ რაც უფ-

რო „ზევიტ“, ჩრდილოეთისკენ (ბზიფურისკენ — მ. ბ.) მივიწვეთ, იკვეთება ქართულიდან ნასესხები ლექსიკის სიმრავლე, აბჷურში კი მეგრულიზმები ჰარბობს. ამ მოვლენას განიხილავდნენ ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ხ. ბლაჷბა, თ. გვანცელაძე...

მოხსენებაში წარმოდგენილია ქართველური სიტყვები, რომლებიც გვხვდება აფხაზური ენის ორსავე დიალექტში.

1. ბზიფურ დიალექტში ქართულიდანაა შესული **ა-პრასა** / > **ა-პა-რასა** „პრასი“; აბჷურში მის ლექსიკურ ფარდად **ა-პრასქია** / **ა-პარასქა** გვაქვს, რაც მეგრული **პურასქია**-სგან („პრასი“) მომდინარეობს.

2. აფხაზურის ორივე დიალექტში ხის სახლის აღსანიშნავად ჰიბრიდული კომპოზიტია გამოყენებული. ბზიფურში ქართული **პალო**-ს აფხაზურად ადაპტირებულ **ა-პალო**-ს ერთვის სახლის აღმნიშვნელი აფხაზური **(ა) ვნგ**, და „ძელურის“ აღსანიშნავად გვაქვს **ა-პალო-ვნგ** ფორმა. აბჷურში კი კომპოზიტის პირველ ინგრედენტად გამოყენებულია მეგრული **ჯარგვალი** და სიტყვა **ა-ჟარგვალოვნგ** ფორმითაა წარმოდგენილი.

3. „შეკმაზული ფხალის“ აღსანიშნავად ბზიფური დიალექტი იყენებს ქართული **ჭარხალ**- ფორმისგან მიღებულ **ა-ჭარხალ** / **ა-ჭგარხალ** სიტყვას. აბჷურში კი **ა-ხგლ** გვხვდება, რომელიც მეგრული **ხულ**-ის („ჟეჷერა, კოლრაბი“) ფარდია.

4. „ტყლაპი“ ბზიფურში გადმოცემულია შეთვისებული **ა-მტყალ** სიტყვით, რომლის ამოსავალი ფორმა ქართული **ტყემალ**-ია, აბჷურში კი მეგრულიდან (რესპ. დასავლური დიალექტებიდან) ნასესხები **ა-ტყაბ** გვხვდება (ქ. ლომთათიძე).

5. თავ-ის ავადმყოფობის აღსანიშნავად ბზიფურში **ა-შაკიკ** ფორმა გვაქვს. მართალია, სიტყვა არაბული წარმომავლობისაა, მაგრამ აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართული **შაკიკი** უნდა იყოს. მეგრულში ამ ავადმყოფობის აღსანიშნავად **შაკიტანა** გვხვდება. ეს უკანასკნელია ამოსავალი აბჷური **ა-შაკიტანა**-სთვის („შაკიკი“).

6. „ცემენტი“ ბზიფურში გადმოიცემა **ა-ცემენტ** სახით, რომელიც შეიძლება ნასესხები იყოს ქართულიდან, ან რუსულიდან. აბჷურ **ა-ცამეტ** ფორმას კი მეგრულის კვალი ეტყობა (მეგრ. **ცამეტი** „ცემენტი“).

ასეთი სინონიმური წყვილები მრავლად გვხვდება.

მსგავს ლექსიკურ წყვილთა ანალიზი თავისთავად აჩენს კითხვას, რა გარემოში, რა ვითარებაში უნდა ესეხებინა ბზიფურ დიალექტს ქართული სიტყვები. ვვარაუდობთ, ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება ბევრ საინტერესო კითხვაზე გაგვცემს პასუხს.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

რთული თანწყობილი წინადადების ერთი საკითხისათვის ქართულში

1) საენათმეცნიერო ლიტერატურაში აგებულების მიხედვით გამოყოფენ სამი ტიპის წინადადებას: მარტივს, რთულს (თანწყობილსა და ქვეწყობილს) და შერწყმულს. ხშირად ჩნდება ხოლმე სადავო საკითხები იმასთან დაკავშირებით, როგორი წყობისაა წინადადება: რთული თანწყობილი თუ შერწყმული? საკითხის სირთულეს იწვევს ის ფაქტიც, რომ, როგორც ცნობილია, შერწყმული წინადადება ზოგჯერ მომდინარეობს რთულ თანწყობილ წინადადებათაგან.

2) ქართულში გვხვდება ასეთი ტიპის წინადადებები: „იმ ქართული პურის მადლის **ეშხით, სიმართლით, ქალღღზე** გადამაქვს“ (გ.ლეონ.); „მუდმივ **იარაღით** და **კომბალზე** უჭირავს თვალი“ (მ.ჭავჭავაძე.); „ჩუმი **ხმით, ნანასავით** დაიწყო“ (მ.ჭავჭავაძე.); „პოეტები მხოლოდ **ქალღღზე, რითმებით** მოლაპარაკენი როდი არიან“ (გ.ლეონ.)

ერთი შეხედვით ასეთი წყობის წინადადებები შეიძლება ჰქონდეს ჩაგვეთვალა უბრალოდამატებებიან შერწყმულ წინადადებად. რადგან მართვა შემასმენელსა და უბრალო დამატებებს შორის ცალმხრივია და ზმნისაგან მოდის, თითქოს შერწყმული ტიპის წინადადებისათვის არ უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა სხვადასხვა ბრუნვას. ყველგან უბრალო დამატებებია (სიმართლით, ეშხით, ქალღღზე, იარაღით...), მაგრამ აქ არაერთგვარი უბრალო დამატებები გვაქვს: სიმართლით, ეშხით, იარაღით საჭურვლის უბრალო დამატებებია, ხოლო ქალღღზე,

კომბალზე... უსადაობითი. მაშასადამე, ისინი სტრუქტურულად სხვადასხვა ნიუანსისანი არიან.

3) ზემოთ განხილული წინადადებები არ არიან შერწყმულნი არა მარტო იმიტომ, რომ სხვადასხვა ბრუნვაში დგანან და იმართვიან, არამედ იმიტომაც, რომ მათთან სხვადასხვაგვარი სემანტიკური მიმართებაა. ვფიქრობთ, დასახელებული წინადადებები რთული თანწყობილი წინადადებებია. მსგავსი ტიპი უნდა გავაერთიანოთ თანწყობილ წინადადებათა ცალკე წყობის სახით.

შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა

ხეთური მასალის შესწავლის მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის

მოხსენებაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, უძველესი ინდოევროპული ენის ხეთურის (ნესიტური) არაინდოევროპული ფენის მნიშვნელოვან კომპონენტს ქართული წარმოადგენს, რომლის ნაწილი ხათური (პროტოხეთური) წარმომავლობისაა.

მკვლევართა მიერ გამოვლენილი მრავალი ხეთურ-ქართველური პარალელი ახსნილია, როგორც ინდოევროპულ-ქართველურ საერთო კონტინუუმიდან მომდინარე ან ხეთებისგან ქართველების მიერ შეთვისებულ მასალად. ამ უკანასკნელს მცირე აზიიდან ძველ იბერიაში გადმოსახლებულ ხეთიზებულ მესხთა მემკვიდრეობადაც მიიჩნევენ.

ხეთური ენისა და ნაწილობრივ ხათურის, რომელიც ხეთოლოგების აზრით, ძვ. წ. II ათასწლეულში „მთანტქეს“ ინდოევროპულმა ენებმა, მონაცემების განხილვა ქართულთან ავლენს ყველა ენობრივ დონეზე არსებულ თანხვედრებს, განსაკუთრებით მორფოლოგიაში: საერთო ბრუნვის ნიშნები, ქართული ნაცვალსახელების ხეთურ ზმნის უღვლილებაში გამოყენება, ქართულის მსგავსად ხეთურში დაცივი და ლოკაცივი არ განიხრევა.

ხეთების პანთონის, რომელზედაც ხათების დიდი გავლენა ეჭვს არ იწვევს, ღვთაებათა სახელები ძველ საქართველოში დარჩა, რო-

გორც: 1. წარმართულ ღვთაებათა სახელები, მაგ.: არმაზი, ზადენი, თელეფია. 2. პირის სახელები: თარხუნი, დათა, ტალია, ხუხა. 3. საზოგადო სახელები: Tar-u „ამინდის ღვთაება“, ქართ. დარ-ი, šant „ჭეჭა-ჭეხილის, ელვის ღვთაება“, ქართ. შანთ-ი.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ძველი იბერიის დედაქალაქის ღვთაებათა ნაწილი ირანულია (არმაზი, ზადენი), გაიმ კი სემიტურადაა მიჩნეული (ნ. მარი). მოხსენებაში გატარებულია თვალსაზრისი, რომ წარმართობის ეპოქის ღვთაებები ქართულია — „ძველნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი“. ქართული თეონიმები ხეთურ ტექსტებში კანონზომიერადაა გადმოცემული, პირუკუ კი დაბრკოლებებს აწყდება. მაგ. ქართ. არმაზ-ი „მთვარის ღვთაება“ > ხეთ. arma „მთვარე“, სადაც არმაზის ბოლოკიდური თანხმოვანი ხეთურში სახელობითი ბრუნვის ნიშნად იქნა გააზრებული.

დიდი მსგავსება ვლინდება წინააზიურ და ქართველურ ტოპონიმებს შორის, რომელთა ნაწილსაც ქართველური ფორმანტები და ეტიმოლოგია აქვს. არქაულობის თვალსაზრისით ჰიდრონიმებია გამოსაყოფი, ხეთების უდიდესი მდინარე, კლასიკური პერიოდის ჰალისი (შდრ. ქართ. დელე: ზან. ღალ-ი), Topada (ტბა კაპადოკიაში) და სხვა.

Hatt („ხათის ქვეყანა და მისი დედაქალაქი“), Hattusa და Hattu (ხეთების დედაქალაქი) ქართული საკუთარი სახელების სემიტურენოვან გადმოცემას უნდა წარმოადგენდეს.

ეთნო-ტოპონიმ ქართულდან („ქართველი“, „ქართველთა ქვეყანა“, რომლის ზანური შესატყვისია ქორთუ „აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი, ქართველი“), შესაძლოა, მიგვეღო ქართუს-ი, ე. ი. ქართუს ქალაქი. ამ უკანასკნელისგან აქადური ენის ფონეტიკური ნორმების მიხედვით უნდა იყოს მიღებული ხეთების დედაქალაქის ხათური ფორმა Hattus.

ქართუ უდევს ქართველთა თვითსახელწოდება ქართველს საფუძვლად.

დედაქალაქების ორეულების თვალსაზრისით აღსანიშნავია კაპადოკიაში მესხ ეთნონიმიდან მიღებული მაზაკა და ძველი იბერიის დედაქალაქი მცხეთა (← *მესხთა).

ტერმინ ხათ-ს უკავშირდება ასევე hattili „ხათური ენა“, „ხათუ-

რად“, ისევე როგორც luwili „ლუვიური ენა“, palaili „პალაური ენა“. -ili სუფიქსი ქართული -ელ-ის გადმოცემას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც რელიქტურად ძველ ქართულშიც დასტურდება: ებრაელი ენა. ძველ ქართულში ენებთან იხმარება -ებრ (შდრ. ხეთ. iḫr „მსგავსად“).

ამგვარად, უძველეს, „ხეთური“ პერიოდის ქართულში ამ ფუნქციით იხმარებოდა -ელ სუფიქსი, ძველ ქართულში -ებრ (რომელიც იბრ ფორმით სომხურმა ენამაც ისესხა), ხოლო ახალ ქართულში -ურ- / -ულ დამკვიდრდა.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

რედუბლიკაციით მიღებული ზმნისართები სვანურში

რედუბლიკაცია, როგორც ახალ სიტყვათა წარმოების ერთ-ერთი საშუალება, წარმოდგენილია როგორც სვანურ სახელებსა და ზმნებში, ისე ზმნისართებშიც, კერძოდ, დასტურდება ფუძის გაორკეცების სხვადასხვა შემთხვევები.

1. გვხვდება უკავშირო ფუძეგაორკეცებული ზმნისართები:

ამჟი-ამჟი (ბქ.) „ასე და ასე“, **იმე-იმე** (ბზ.), (ქს.) **იმგჷნ-იმგჷნ** (ბქ.) „ალაგ-ალაგ, აქა-იქ“, ზოგან, **ჩიქი-ჩიქი** (ბქ.), **ჩიქჷ ჩიქჷ** (ლშხ.), **ჩიქჷ-ჩიქ** (ლნტ.) „ჯერჯერობით“, **ლექჷა-ლექჷა** (ბზ.) „ქვევით-ქვევით“, **ლეჷა-ლეჷა** (ბზ.) „ზევით-ზევით.“

მაგ: აჩადხოლჷ **ამჟი-ამჟი** ლარდამ ლთხელითჷ (ბქ.) — წავიდნენო ასე და ასე ბინის („სამყოფის“) საძებნელად.

იმე-იმე ჟი იშჷმინჷხ (ბზ.) „აქა-იქ შეისვენებენ“

იმგჷნ-იმგჷნ მასარდ ვენდი კეცენ (ბქ.) „ზოგან ბევრი ხორბალი მოღის“

ჩიქი-ჩიქი მამგჷნჷ მიჭირ (ბქ.) „ჯერჯერობით არაფერი მიჭირს“

ლექჷა-ლექჷა ოლჷერ (ბზ.) „ქვევით-ქვევით წამოვედი“

ლეჷა-ლეჷა ესხრი „ზევით-ზევით მიღის“

2. ფუძის გაორკეცებისას შეიძლება მეორე კომპონენტი რომელიმე ბრუნვაში (მიცემითში, მოქმედებითში ან ვითარებითში) მოგვევლინოს.

ა) მიცემითი: **ნებოზ-ნებოზს** „სალამო-სალამობით“, **ძინარ-ძინარს** „დილ-დილაობით“...

მაგ: ელტე შიდ ხულტე ლიც ფედლას, ყ'ალცუნენ **ნებოზ-ნებოზს** (ლენტ.) „თუ აქვთ წყალი ახლოს, რწყავენ სალამობით“.

ეღ დენა დეცხენჲუ აღმწალი **ძინარ-ძინარს** (ლენტ.) „ეს გოგო ციდან ჩამოდიოდა თურმე დილ-დილაობით“.

ბ) მოქმედებითი: **კაჩ-კაჩუმ** (ბზ.) „აღმართ-აღმართ“, **ზემ-ზემშუ** (ბზ.) „ცოტ-ცოტათი“...

მაგ: თოთანს ესლური **კაჩ-კაჩუმ** „თოთანზე მივდივარ აღმართ-აღმართ“.

ზემ-ზემშუ ხოჩილდ არი „ცოტ-ცოტათი უკეთაა“

გ) ვითარებითი: **ბგგი-ბგგიდ** (ბზ., ლშხ.) „მაგრა-მაგრად“ კარგა მაგრად. **თამაშ-თამაშდ** (ბზ.) „ნელ-ნელა“, **თაგ-თაგდ** (ბქ., ლენტ.) „აქა-იქ, მეჩხერად“.

მაგ: ნაცარქეჲიად დნტს ხაძგარდელ თეტენს **ბგგი-ბგგიდ** (ლშხ.) „ნაცარქეჲია დევს კარგა მაგრად („მაგრა-მაგრად“) აძგერებს სადგისს.“

თამთამაშდ ბაჟდ ონჯუდ (ბქ.) „ნელნელა გონს მოვედი.“

ითქარ **თაგ-თაგდ** ზინ ლგანისგა (ბქ.) „ხნულში მარცვლები აქა-იქაა.“

შეიძლება შეგვხვდეს თანდებულდართული ფორმებიც მაგ.,

კაჩ-კაჩუი ნაჯელტ მაფშარ ხტნსტ (ბქ.) „აღმართ-აღმართ ნასიარულევი დალილი ვიყავი.“

აღმარს ოხბინახ **ზემ-ზემჲი** ნენჩაშ ლიქჩე (ბქ.) „ამათ ცოტ-ცოტათი ტყის ჭრა დაუწყიათ.“

3. **-ინ, -უნ, -გნ** სუფიქსით გაფორმებული რედუპლიცირებული ზმნისარტები.

კალ-კალუნ ლხმ., **კალკალუნ** ჩხხ. „ზოგჯერ, დროგამომვებით, დროდარო, აქა-იქ“. **გეს-გესინ** (ბზ., ლშხ.) **გეს-გესუნ**, **აწს-აწსუნ** (ბქ.) **ესი-ესინ**, **გესი-გესინ** (ლენტ.) „ხანდახან, ზოგჯერ“.

მაგ: მარემ მგქაფდ **კალ-კალუნ** მიჩა ნაჩომ ესერ რაგდი „კაცის ნაცვლად ზოგჯერ მისი ნამოქმედარი ლაპარაკობსო“ (შდრ.მეგრ. კალ-კალე კან-კალე „ზოგიერთი“, კალ-კალეშა „ზოგჯერ-ხანდახან“)

აწს-აწსუნ დოსდ აშდუე ლახტარს (ბქ.) „მთებს ზოგჯერ ადრე დაათოვს.“

გეს-გესინ ქა იღარი (ლშხ.) „ხანდახან გამოიდარებს.“

4. რედუპლიცირებული ფუძეუცვლელი კომპოზიტები ზოგჯერ კავშირით არიან შეერთებული.

აშ ი აშ „ასე და ასე“ (ზს., ლენტ.) „თანდათან, უოდ ი უოდ (ბზ.) „ერთხანს, ვიდრემდე“. **ეჯლაეჯლა** (ბქ.) „მაინცდამაინც“, **ქაქა** (ზს., ლენტ.) **ქაქა** (ლშხ.), იქით-იქით“

მაგ: **აშ ი აშ** „ესერ ხოყრა მიჩაშდ გმირს“ (ბზ.) „ასე და ასე უქნია გმირს ჩემთვისო.“

ჟოდ ი ჟოდ ესერ ლემგიჰტინ ი ათხ' ესერ დემ ოთგრაჰა „ერთხანს ვაკავებდიო და ახლა ველარ შევაკავეო“.

ეჭლაეჭლა დემ ლამეყინი, ეშხუ გაჩილს მი ხტიძგრინე, მერმე გაჩილს სი ჯაძგრინე „მანცდამანც თუ არ მომეშვები, ერთ დანას მე ვიკრავ, მეორეს შენ გკრავ“

ქაქაქა ემტეხელი ჰყინტ „ბიჰი იქით-იქით გაწეულა.“

ქაიქა ქიხე „იქით-იქით წევს.“

ამ ზმნისართს აქვს როგორც სივრცული მნიშვნელობა, ასევე დროის გაგებაც.

გვაქვს ფუძეცვლილი რედუბლიკაციის შემთხვევაც:

ა) ხმოვნის შეცვლა **ა-უ** : **კალარ-კულარ** „კალელ-კულელები“

ბ) თანხმოვნის შეცვლა: **სემიყემიდ** „მშვიდად“, **ვედღიბედ** „ძლივძლივობით“.

ე ლ ე ნ ე გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი

საშუალო სპარსული ონომატიკის კვლევისათვის ქართულ წყაროებში

ისლამამდელი ირანისა და ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს.

ეს კონტაქტები განსაკუთრებით მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი ხდება

სასანელთა მმართველობის ხანაში (III-VII სს. ჩვ.წ.). სასანური ირანის ღრმა გავლენამ ქართულ ცივილიზაციაზე სათანადო ასახვა ჰპოვა იმ დროის (ისევე როგორც გვიანდელი პერიოდის) ქართულ სულიერსა და მატერიალურ კულტურაში.

სასანელთა დომინირებას საქართველოში თან ახლდა მათი ოფიციალური, რელიგიური და სალიტერატურო ენის – საშუალო სპარსულის ფართო გავრცელება (იხ. J. Gippert, Zum Status des Mittel-

persischen im südlich Kaukasus, Proceedings of the conference „Bilingualism in Iranian Cultures“, Bamberg 1992).

ქართულ წერილობით ძეგლებში გამოვლენილია სასანური ლექსიკის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნიმუშები, რომლებიც წიგნური ან ზეპირი გზით იყო შეთვისებული.

საშუალო სპარსული ნასესხობებიდან მეტად მნიშვნელოვანია სასანური ონომატიკა (ანთროპონიმები, ტოპონიმები და ეთნონიმები), რომლის სისტემური შესწავლა აუცილებელია (ძველ) ირანულ-ქართული ენობრივი ინტერფერენციის ღრმა კვლევისათვის. ზოგიერთი მათგანი განხილული იყო მ. ანდრონიკაშვილის მონოგრაფიასა (*ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, 1966, გვ. 417-517) და თ. ჩხეიძის ცალკეულ შრომებში.

ირანულ ენათა ისტორიული გრამატიკისა და დიალექტოლოგიის, ასევე ქართველოლოგიური კვლევების თანამედროვე დონე ამ საკითხების ახლებური გააზრებისა და განსხვავებული თეორიული განზოგადების საფუძველს ქმნის.

მოხსენებაში წარმოდგენილია სასანური რელიგიურ-თეოფორული ანთროპონიმების (*ადარზანი, ბუზმირი, ბურზო, გრი-ორმიზდი, პანაგუშნასპი, ხუარა* და სხვ.) სისტემური ეტიმოლოგიური, სემანტიკური და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი, მათი არქეტიპებისა და ქართულში აუთენტური გადმოცემის ჩვენების ცდით.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

მწერლის ენობრივი თავისუფლება და სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირთა გამოხატვა ზმნაში

აკაკი შანიძე შენიშნავს: „დღესაც ერთად-ერთი საზომი ჰაესა და სანის ხმარების საკითხის გადასაჭრელად არის თვითელი მწერლის სურვილი და მოწონება: ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიცა და წერაშიც“. რას ნიშნავს

მწერლის „სურვილი და მოწონება“? რა განსაზღვრავს მას? ეს „მწერლის სურვილი და მოწონება“ ე. წ. „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ სფეროში შედის, თუ რაიმე ენობრივი კანონზომიერება განსაზღვრავს მას?

„სურვილი და მოწონება“ რომ არ არის შემთხვევითი, იქიდანაც ჩანს, რომ კლასიკოსი მწერლები პრინციპულად მოითხოვენ ჰ- და ს-პრეფიქსების დაცვას თავიანთ ნაწერებში.

ვაჟა-ფშაველა სთხოვდა თავის გამომცემლებს, **ჰ**-ს არ შეხებოდნენ: „ამასთან გთხოვთ უმორჩილესად, ბგერა „ჰ“ დაიცვათ ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობ“.

აკაკი წერეთელი იუმორს მოიშველიებს: ფრაზაში **ჰყვავის გუ-რია** ჰ-ს თუ ამოვადებთ, ყვავების ქვეყანაზე იქნება საუბარიო.

ილია ჭავჭავაძე ხელნაწერებში საგანგებოდ მუშაობდა ჰ-/ს-პრეფიქსების გასწორებაზე (ზ. ჭუმბურიძე).

კ. გამსახურდია ვრცლად მსჯელობს ამ თემაზე: „აკადემიკოსი თოფურია კვლავ მტრულადაა განწყობილი „ჰ“ და „ს“-ს მიმართ... ჩვენი ლინგვისტები ამტკიცებენ, „ჰ“ ყრუა და ამიტომ აღარ გვესაჭიროებაო. ეს გახლავთ სმენის ამერაციის შედეგი. სიტყვებში: „ჰქონდა“, „მიჰქრის“, სრულიად არაა ეს ასონიშანი ყრუ. მიქრის — ეს ხომ ღიმილის მომგვრელი სიტყვაა... იგივეა „ჰყვავის“ ნაცვლად „ყვავის“ რომ ითქვას... მე გაოცებული ვარ, რამ შეაძულათ ჩვენს ენათმეცნიერებს **ჰ**აე... სასვებით გაუგებარია, რად შეიძულეს ასონიშანი **ს**ანი. „ჩანს“ — რა ქართულია; უცილოდ უნდა დაიწეროს „სჩანს“, „სწერს“ და არა „წერს“.

არაერთი ჩანაწერი აქვს მ. ჯავახიშვილს ამ თემაზე თავის ცნობილ „ბლოკნოტებში“; ხშირად აღიზიანებს კიდევ „მშრალი“ გრამატიკული წესები: „მართო გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქმნია ენა. საჭიროა დიდი შემოქმედელი, ან თავდაპირველად შემოქმედელი, რომელიც სანიმუშო დროშას ჰქსოვს ეპოქისათვის. და მებრძოლ ლაშქარსაც, ბედმა თუ განგებამ, უცებ მოუვლინა მედროშე“.

ცხადია, მეცნიერული კამათი აქ წარმოდგენილი აზრების შესახებ შედეგს ვერ მოგვცემს. ჩვენ შეიძლება კითხვა დავსვათ: რატომ უჩნდებათ სურვილი მწერლებს, ამ თემაზე ეკამათონ ენათმეცნიერებს? ხომ არის საკითხები, რომლებშიც ისინი ეთანხმებიან ლინგვისტებს? აქ რა ხდება? რას ხედავენ მწერლები ამ ფორმებში (ჰყვავის, სჩანს...) ისეთს, რასაც ვერ ვამჩნევთ ენათმეცნიერები? რატომ მიაჩნიათ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორია **ჰყვავის, სჩანს** და მისთანანი (ე. ი. არანორმატული) და არა, ასე ვთქვათ, ნორმატული

(ყვავის, ჩანს...) ფორმები? ხომ არ დადგა დრო, **ვისაუბროთ ჰ და ს პრეფიქსების „რალაც სხვა ფუნქციებზე“** ამ ტიპის (ე. წ. არანორმატულ) ფორმებში? ფაქტია, მინიშნება არის **S₂-ზე** ან **O₃-ზე**, თუმცა შემოდის დამატებითი ნიუანსი.

ერთი კონკრეტული მაგალითი: ძველ ქართულში **S₂** პირის ნიშანი ბრძანებითის ფორმებში არ გვქონდა და ეს იყო წესი:

თხრობითი: და-ს-წერე	ბრძანებითი: და-წერე!	
	ჰ-კითხე	კითხე!

ახალ ქართულში ხშირ შემთხვევაში თუ თხრობითში **S₂ ჰ** ან **ს** დაკარგულია, ბრძანებითის ფორმებში ჩნდება:

არ **გასტყდეთ**, ქართველის შვილებო! (გ. ლეონ.); **აღ-ს-დექ**, სა-ქართველოვ! (გ. ლეონ.); **გა-ს-წი**, **გა-ჰ-კურცხლე**, ჩემო მერანო! (ნ. ბარათ.); ნუ **ს-ტირი**, მშვენიერო! (გ. ბარნ.); ნუ **ს-ჩქარობ**, ყაფ-ლან! (ბ. ბარნ.); დროშა ქვეით **და-ს-წიე!** (მ. ჯავახ.); არ **გა-ჰ-ბედო!** (მ. ჯავახ.); **ს-თქვით**, **მიაშბეთ**, რა მოხდა! (მ. ჯავახ.); მიდი, **და-ჰ-კა!** (მ. ჯავახ.); ანდა: რატომ არის „**ადექი**“, მაგრამ „**შე-ს-დექ!**“ და მი-სთანანი.

არ ჩანს შემთხვევითი ეს ფაქტები. აქ **S₂** პირის ნიშანს დამატებითი ნიუანსი შემოაქვს: არა — გრამატიკული — არამედ სტილისტური... თითქოსდა რალაც ინტენსიური მოქმედება აისახება... ეს ფაქტი შესწავლას საჭიროებს... ვთქვათ, იმავე კ. გამსახურდიასთან, მ. ჯავახიშვილთან, ვ. ბარნოვთან, ო. ჩხეიძესთან ამ კუთხით აუცილებელიცაა საკითხის განხილვა... ჰ- და ს-პრეფიქსთა ფუნქციების რეინტეგრაცია ხდება. ეს არ ჩანს ახალი დაწყებული. ამ თვალსაზრისით უნდა გადაიხედოს ახალი ქართული ენის ძეგლები, დიალექტები. ამიტომ საუბარი იმის თაობაზე, რომ მწერალი არღვევს ენობრივ ნორმებს და უშვებს შეცდომებს, საფრთხილია...

ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს დიალექტური მონაცემების შესწავლა; ერთი საინტერესო დეტალი: დღევანდელ ქართულ დიალექტებში სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნად 18 ვარიანტია დადასტურებული. ვფიქრობთ, როგორც კლასიკოს მწერალთა შემთხვევაში, ისე დიალექტურ მეტყველებაში ეს პრობლემა მეტ ყურადღებას იმსახურებს; საკითხის ამგვარად დასმა მარტივი და არასწორი შეფასებაა მოვლენისა: „ამ საქმეში დიდი არეგ-დარევაა: სადაც ნიშანი საჭიროა, ბევრგან არ წერენ, ხოლო სადაც საჭირო არაა, ასევე ბევრგან წერენ“ (ი. იმნაიშვილი).

ტ ა რ ი ე ლ გ უ რ გ ე ნ ი ძ ე

გრამატიკული კლასების იერარქიული სტრუქტურა ნეიტრალიზაციის ფონზე

ზოგადი წესის მიხედვით (ტ. გურგენიძე: 1984), მრავლობითი რიცხვის მონაცემების გათვალისწინებით ივარაუდება, რომ თუ $c_i c_j = C_k$ და $c_i c_l = C_m$, ხოლო $c_i c_k = C_n$, მაშინ $c_l > c_j$.

რუსულ ენაში უძველეს საფეხურზე (I ეტაპზე) მესამე პირის ნაცვალსახელისთვის მრავლობით რიცხვში (მხოლოდითის მსგავსად: $c_1 = \text{онь}$, $c_2 = \text{онá}$, $c_3 = \text{онó}$) სამი ფორმა არსებობდა: **они**, **оны**, **óna**, რომლებსაც შესაბამისად აღნიშნავთ C_1 , C_2 და C_3 სიმბოლოებით. ჩვენი ვარაუდით ისინი შემდეგ კომბინაციებს აღნიშნავდნენ:

$C_1 = \{c_1 c_1, c_1 c_2, c_1 c_3\}$, $C_2 = \{c_2 c_2, c_2 c_3\}$, $C_3 = \{c_3 c_3\}$.

$c_1 c_1 = C_1$, $c_2 c_2 = C_2$, ხოლო $c_1 c_2 = C_1$; ანუ, ზოგადი წესის მიხედვით $c_1 > c_2$. ასევე, $c_1 c_1 = C_1$, $c_3 c_3 = C_3$, ხოლო $c_1 c_3 = C_1$, ანუ, $c_1 > c_3$; და ბოლოს, $c_2 c_2 = C_2$, $c_3 c_3 = C_3$, ხოლო $c_2 c_3 = C_3$, ანუ, $c_2 > c_3$. ამ საფეხურზე (I ეტაპზე) ასეთი იერარქიული სტრუქტურა ივარაუდება: $c_1 > c_2 > c_3$.

მომდევნო საფეხურზე (II ეტაპზე) მრავლობით რიცხვში მესამე პირის ნაცვალსახელისთვის ორი ფორმა შემოგვრჩა: $C_1 = \text{они}$ და $C_2 = \text{оне}$, რომლებიც აღნიშნავენ შემდეგ კომბინაციებს: $C_1 = \{c_1 c_1, c_1 c_2, c_1 c_3; c_3 c_3\}$, $C_2 = \{c_2 c_2, c_2 c_3\}$. როგორც ვხედავთ, $c_3 c_3$ კომბინაციის გამოხატვა II ეტაპზე იკისრა C_1 ფორმამ.

$c_1 c_1 = C_1$, $c_2 c_2 = C_2$, ხოლო $c_1 c_2 = C_1$; ანუ, $c_1 > c_2$;

$c_2 c_2 = C_2$, $c_3 c_3 = C_1$, ხოლო $c_2 c_3 = C_2$; ანუ, $c_2 > c_3$.

ვინაიდან $c_1 c_1 = c_3 c_3 = c_1 c_3 = C_1$, ამიტომ ამ ეტაპზე ზოგადი წესით ვერ დავადგენთ იერარქიულ მიმართებას c_1 და c_3 სიმბოლოებს შორის. აქ შემოდის დამატებითი კრიტერიუმი: ვინაიდან $c_1 > c_2$, ხოლო $c_2 > c_3$, ამიტომ $c_1 > c_3$ (ტრანზიტულობის თვისების გათვალისწინებით); ანუ II ეტაპზეც ასეთი იერარქიული სტრუქტურა გვაქვს: $c_1 > c_2 > c_3$.

იმავ შემდეგ მივიღებთ ნეიტრალიზაციის გათვალისწინებით: ვინაიდან წინა საფეხურზე არსებული $C_1 \sim C_3$ ოპოზიციის ნეიტრალიზაციის შედეგად მომდევნო საფეხურზე შემოგვრჩა ამ ოპოზიციის ერთ-ერთი წევრი, კერძოდ, C_1 (ხოლო C_3 დაიკარგა), ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ II ეტაპზე $c_1 > c_3$. რაც შეეხება C_2 -ს, II ეტაპზე იგი **оне** ფორმით წარმოგვიდგა (I ეტაპის **оны** ფორმის ნაცვლად).

III ეტაპზე მრავლობით რიცხვში მესამე პირი ერთადერთი

$C_1 = \text{оны}$ ფორმით გამოიხატება, რომელიც ყველა კომბინაციას აღნიშნავს:

$C_1 = \{c_1 c_1, c_1 c_2, c_1 c_3; c_2 c_2, c_2 c_3; c_3 c_3\}$.

ამ ეტაპისთვის, ზოგადი წესის მიხედვით ვეღარ დავადგენთ იერარქიულ სტრუქტურას $c_1 > c_2 > c_3$. არც დამატებითი კრიტერიუმები (ტრანზიტულობის თვისება და ნეიტრალიზაციის გათვალისწინება) გამოგვადგება. თუმცა, ის ფაქტი, რომ შემოვრჩა $C_1 = c_1 c_1$ ფორმა, თავისთავად უკვე მეტყველებს c_1 სიმბოლოს გაბატონებულ მდგომარეობაზე დანარჩენი (c_2 და c_3) სიმბოლოების მიმართ.

ზედსართაულ სტრუქტურაში I ეტაპზე გვქონდა ასეთი სურათი: $c_1 = \text{новый}$, $c_2 = \text{новая}$, $c_3 = \text{новое}$; სამი ფორმა გვქონდა მრავლობით რიცხვშიც: $C_1 = \text{новии}$, $C_2 = \text{новья}$, $C_3 = \text{новая}$. C_1 , C_2 და C_3 სიმბოლოები იმავე კომბინაციებს აღნიშნავდნენ, როგორც ვივარაუდეთ ნაცვალსახელურ სტრუქტურაში. ამიტომ, ზედსართაულ სტრუქტურაშიც, I ეტაპზე ივარაუდება იერარქიული სტრუქტურა: $c_1 > c_2 > c_3$.

II ეტაპზე ზედსართაულ სტრუქტურაში მრავლობით რიცხვში ორი ფორმა შემოგვრჩა: $C_1 = \text{новые}$, $C_2 = \text{новья}$, რომლებიც შემდეგ კომბინაციებს აღნიშნავენ: $C_1 = \{c_1 c_1, c_1 c_2, c_1 c_3; c_3 c_3\}$. როგორც ვხედავთ, $c_3 c_3$ კომბინაციის გამოხატვა II ეტაპზე იკისრა C_2 ფორმამ.

$c_1 c_1 = C_1$, $c_2 c_2 = C_2$, ხოლო $c_1 c_2 = C_1$; ანუ, $c_1 > c_2$;

$c_1 c_1 = C_1$, $c_3 c_3 = C_2$, ხოლო $c_1 c_3 = C_1$; ანუ, $c_1 > c_3$.

ვინაიდან $c_2 c_2 = c_3 c_3 = c_2 c_3 = C_2$, ამიტომ II ეტაპზე ზოგადი წესით ვერ დავადგენთ იერარქიულ მიმართებას c_2 და c_3 სიმბოლოებს შორის. დამატებით კრიტერიუმად აქ ტრანზიტულობის თვისებაც აღარ გამოგვადგება (ნაცვალსახელური სტრუქტურისაგან განსხვავებით). სამაგიეროდ, ნეიტრალიზაციის გათვალისწინებით გვექნება: ვინაიდან I ეტაპზე არსებული $C_2 \sim C_3$ ოპოზიციის ნეიტრალიზაციის შედეგად მომდევნო საფეხურზე შემოგვრჩა ამ ოპოზიციის ერთ-ერთი წევრი, კერძოდ, C_2 (ხოლო C_3 დაიკარგა), ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ II ეტაპზე ზედსართაულ სტრუქტურაში $c_2 > c_3$; რაც შეეხება C_1 -ს, იგი II ეტაპზე **новые** ფორმით წარმოგვიდგა (I ეტაპის **новии** ფორმის ნაცვლად). როგორც ვხედავთ, II ეტაპზეც ასეთი იერარქიული სტრუქტურა გვაქვს: $c_1 > c_2 > c_3$.

III ეტაპზე მრავლობით რიცხვში ერთადერთი $C_1 = \text{новые}$ ფორმა შემოგვრჩა, რომელიც ყველა კომბინაციას გამოხატავს. აქაც ისეთივე სურათია, რაც ნაცვალსახელურ სტრუქტურაში გვქონდა. ამიტომ

დასკვნაც ანალოგიური იქნება.

ხუნძური ენისთვის I ეტაპზე ასეთი ამოსავალი სისტემა ივარაუდება:

$$\begin{aligned} \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3, *c_1c_4\} &= C_1; \\ \{c_2c_2, c_2c_3, *c_2c_4\} &= C_2; \\ \{c_3c_3, *c_3c_4\} &= C_3; \\ \{*c_4c_4\} &= *C_4. \end{aligned}$$

I ეტაპზე ასეთ იერარქიულ სტრუქტურას ვვარაუდობთ: $c_1 > c_2 > c_3 > c_4$. IV გრამატიკული კლასის გაქრობის შემდეგ ამ კლასში შემავალი სიტყვები გადავიდნენ III კლასში, ე. ი. $*c_4c_4$ კომბინაციის გამოხატვა იკისრა C_3 ფორმამ.

ხუნძური ენისთვის განვითარების II ეტაპზე გვაქვს:

$$\left. \begin{aligned} \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3\} &= C_1 \\ \{c_2c_2, c_2c_3\} &= C_2 \\ \{c_3c_3\} &= C_3 \end{aligned} \right\} \parallel C_4$$

II ეტაპზე C_1, C_2, C_3 ფორმების პარალელურად იხმარება უფუნქციოდ დარჩენილი C_4 ფორმა. თუ არ გავითვალისწინებთ C_4 ფორმას, მაშინ II ეტაპზე ასეთი იერარქიული სტრუქტურა ივარაუდება: $c_1 > c_2 > c_3$.

და ბოლოს, თანდათან განდევნა რა პარალელური C_1, C_2, C_3 ფორმები, III ეტაპზე C_4 ერთადერთ ფორმად მოგვევლინა:

$$\left. \begin{aligned} \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3\} &= \\ \{c_2c_2, c_2c_3\} &= \\ \{c_3c_3\} &= \end{aligned} \right\} C_4$$

ის ფაქტი, რომ III ეტაპზე შემორჩა მხოლოდ C_4 ფორმა, არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ I ეტაპზე c_4 იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დავაყენოთ.

ნეიტრალიზაციის გათვალისწინება, რაც ჩვენ დამატებით კრიტიკრიუმად განვიხილეთ, გულისხმობს წინა ეტაპზე არსებული ოპოზიციის ნეიტრალიზაციის შედეგად (დიაქრონიული ნეიტრალიზაცია!) დასკვნების გაკეთებას მომდევნო ეტაპის მიმართ.

ზოგადი წესის მიხედვით, ამოსავალ სისტემაში, ანუ I ეტაპზე, c_4 იერარქიულ სტრუქტურის ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფება. ჩვენ მიერ შემუშავებული ზოგადი წესი „მუშაობს“ კონკრეტულ სინ-

ქრონიულ ჭრილში.

სინქრონიულ ჭრილში შეიძლება ვილაპარაკოთ ორი სახის ნეიტრალიზაციაზე:

1. ნეიტრალიზაცია სიღრმული დონიდან ზედაპირულ სტრუქტურებში გადასვლის დროს;

2. ნეიტრალიზაცია ზედაპირულ სტრუქტურაში, ანუ, ფორმოზივი ოპოზიცია შეიძლება მოიშალოს გარკვეულ შემთხვევებში.

და ბოლოს, თუ დავუშვებთ I სახის სისტემას:

$$\left. \begin{aligned} \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3, c_1c_4\} &= \\ \{c_2c_2, c_2c_3, c_2c_4\} &= \\ \{c_3c_3, c_3c_4\} &= \\ \{c_4c_4\} &= \end{aligned} \right\} C_4$$

მაშინ I ეტაპზე ნეიტრალიზაციის მომენტის გათვალისწინებით c_4 უნდა იყოს გაბატონებულ მდგომარეობაში დანარჩენი (c_1, c_2, c_3) სიმბოლოების მიმართ.

გ უ ბ ა ზ ვ ა ნ ი ლ ი შ ი

ჭიდრონიმ „კალენდე[რ]იშ დალის“ ეტიმოლოგია

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფის აღმოსავლეთით არის დასახლებული უბანი **კალენდე[რ]ი**, აქვე ჩამოედინება მდინარე ამავე სახელწოდებით, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც აღნიშნავს გიორგი ყაზბეგი: ... „თურქეთის საქართველოში... ყოველი სოფელი, ყოველი შესანიშნავი საგანი აძლევს მათ (მდინარეებს) სახელწოდებას“ (ყაზბეგი, 1983: 55). ამავე რეგიონშია ტოპონიმი **ოკანდალე** — საკანდელე და **ოკანდალემ დალი** — საკანდელის ღელე. **კალენდე[რ]იშ დალი**-ს სახელწოდებას დღეს ხსნიან თურქულთან კავშირით. თითქოს სწორი სახელწოდება ამ ტოპონიმისა და მდინარისა არის კალნიდერე ე. ი. სისხლიანი ხევი (კალნი — სისხლიანი, დერე — ხეობა, ხევი), რაც საეჭვოდ მიგვაჩნია. ჯერ ერთი, ანალოგიური სახელწოდებით მდინარე თურქეთში ქალაქ ზოფასთან ჩამოედინება

და არც იქ და არც აქ ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეს კალენიდერეს არ უწოდებენ, არამედ — კალენდე[რ]ის. თურქეთში არის მდინარე სახელწოდებით **დერემენდერესი**, რაც სიტყვასიტყვით „წისქვილის ხევს“ ნიშნავს (ბაქრაძე, 2003: 18).

ცნობილია, რომ ქართულ და კოლხურ წარმოქმნილ ჰიდრონიმებში გავრცელებულია **-ურ//ულ** სუფიქსი. დამოუკიდებლად **-ურ// -ულ** და კნინობითობის **-ა**-ს დართვით: **-ურ-ა// -ულ-ა**. მაგალითად, **-ურ:** ენგ-**ურ**-ი, ტენ-**ურ**-ი (მდინარეები კოლხეთში); **-ულ:** რიწე-**ულ**-ი, შარა-**ულ**-ი (მდინარეები რაჭაში). ეს სუფიქსი კნინობითობის **-ა**-ს დართვით უფრო გავრცელებულია: ძირ-**ულ**-ა (მდინარე ზემო იმერეთში), ქვედრ-**ულ**-ა (მდინარე რაჭაში), **-ურა:** ლაიმ-**ურა**, ჩიხ-**ურა** (მდინარეები იმერეთში და სხვა (ა. ლლონტი). აღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მდინარე კალენდე[რ]ის ადრინდელი სახელწოდება იყო **კალენდ-ურ[ა]** ან **კალენდ-ურ[ი]** და შესაძლებელია ფუძედ საზოგადო არსებითი სახელი, ან ტოპონიმი იყოს. ანალოგიურად წარმოქმნილი ჰიდრონიმია **შქაპაჯ-ური** ლალი „შქაპაჯური ღელე“ (კობტონე, არქაბი, თურქეთი — ო. მემიშიში).

ტოპონიმი **კალენდ-ურ**-ი (კალენდური, კალენდურა), ზემოთ ნახსენები ოკანდალე, ოკანდალეში ლალი (ოკანდელე) კავშირშია კალანდას დღესასწაულთან, რომლის წარმართული წარმოშობის მიუხედავად ის კარგად ადაპტირებული იყო ქრისტიანობასთან. საქართველოში ის ხის კულტანაც შეიძლება ყოფილიყო კავშირში. მოსახლეობას ის მაინც ქრისტიანულ დღესასწაულებთან დაკავშირებით ჰქონდა გააზრებული და არა წარმართობასთან. ამიტომ მოსახლეობის ცნობიერებაში არ იწვევდა წინააღმდეგობას ის, რომ წარმართული წარმოშობის დასახლებული პუნქტისა და მდინარეს ახლოს აშენებული იყო ეკლესია, რომლის ნანგრევები ახლაც დასტურდება ზემოთ აღნიშნულ დასახლებაში. თვითონ ტერმინი კალანდა წარმოშობით უკავშირდება ლათინურსა და ბერძნულს.


ჩვენი აზრით, ტოპონიმი „კალენდე[რ]ი“ და ჰიდრონიმი „კალენდე[რ]ი“ ლალი“ უნდა აიხსნას ბერძნულ-რომაული გავლენით. ტოპონიმი „კალენდე[რ]ი“ ფორმის მიხედვით შედარებით ახლოს დგას ლათინურ **Calendae**-სთან.

ლაზურ ყოფაში კალანდ-ის დღესასწაულის ადგილის განსაზღვრა საკვლეია.


თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე , ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე


ვითარებითბრუნვისფორმიან სახელთა მორფოლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური სტატუსისათვის

ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელი, რომელიც სინტაქსურად უბრალო დამატება, ვითარების, ადგილის, დროისა თუ მიზნის გარემოება ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი შეიძლება იყოს, ყოველთვის იმართვის ზმნის, მიმღეობისა და მასდარისაგან (ვით. ბრუნვის ფორმით) და ამავდროულად თავადაც მართავს სუბსტანტიურ მსაზღვრელს ნათესაობით ბრუნვაში:





ზმნის, მიმღეობისა თუ მასდარის მიერ ვითარებითი ბრუნვის ფორმით მართული სახელი თავის მხრივ ბრუნვაში ითანხმებს თანხმოვანფუძიან ან ხმოვანფუძიან მსაზღვრელს, მაგრამ თანამედროვე ქართულში (ძველი ქართულისაგან განსხვავებით) ასეთ შემთხვევებში ნულსაფეხურებრივი შეთანხმება გვაქვს (შდრ. ძვ. ქართ. **სახიერ-ად მოძღურ-ად, წმიდა-დ მოწამე-დ**):





ანალოგიური ვითარება გვაქვს თანდებულის ვარიანტებთან:



-მდე (|| -მდის) თანდებულისანი ფორმა თავადაც გვევლინება მართულ მსაზღვრელად (**ასამდე** წიგნი, **ასამდე** წიგნმა, **ასამდე** წიგნს...).

ნაირგვარია ვითარებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელების სემანტიკური ფუნქციებიც. იგი გამოხატავს: ა) პაციენსს (ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან ალოდინეს და მეთხუთმეტე **კაცად** შევიდა...), ბ) გარდაქცევას (თუ ისარი სადმე მინდვრად მოადენდა სხეპას, — ქვა **ყვავილად** იქცეოდა, ყვავილი კი **პეპლად**...), გ) ვითარებას (არავც ზემოთ, არავც ქვემოთ წელამდეა სათიბები, კენკეშა და უკადრისა, **ნახსათუთად** ნატიფები...), დ) მსგავსებას (მოგონებები ელვარებენ ისევ **ბექლებად**, მოვა დემონი, დაფიქრდება და შეეჭვდება; ზუსტად **ისეთნაირად** უთხრა, როგორც შენ ეუბნები ხოლმე...), ე) თანაობას (**ფესვებიანად** ამოძირკვა ის სარეველა...), ვ) ჯერობას (სიკვდილს არჩევდა, გამარჯვებულს, ის **ათასწილად**...), ზ) უქონლობას (მოგწყინდა განა **უნაყოფოდ**, ელჩო, ყიალი?), თ) განმეორებას (ვისგან რას ითხოვთ, **ხელმეორედ** აღარ მომსვლენო?), ი) სისშირესა თუ იშვიათობას (მე მისი ჩრდილი **ხშირად** მხიბლავდა და **ხშირად** მწვავდა ტრფობის სურვილი; და **იშვიათად** ველებზე გავლით მეზობელ სოფლად გადავა მგზავრი...), კ) ფერს (მეფერება მზე ალერსის მთხოვარს, **ვარდისფერად** ცამან ჩამომთოვა...),

ლ) კრებითობას (ბავშვები **ჯგუფ-ჯგუფად** დადიოდნენ...), მ) ადგილს — შიგამყოფობასა თუ სიახლოვეს (მზეზე ჰყვარდა **სოფლად** ალუჩა და გაისმოდა დების სიმღერა; მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუნს **სიზმრად** მინახავს მხარე; რომ არ აანთოს ისევ სანთელი, დავიწყებული ხატის **მახლობლად**...), ნ) მიწვევითობას (ყველა ამ ხმებში დაბუდებულა, შეერთებულა და ადის **ცამდე**...), ო) დროს (ორ ზღვას შუა **ძველისძველად** საომარი იყო ლელო...), პ) მიწვევითობას დროში (ღმერთო, მიცოცხლე მეგობრები, ვინც **დღემდე** მომყვა...), ლ) მიზანს (მთვარე რომ ამობრწყინდება, გული **გაფრენად** მზად არის; შემოქმედის მხარზე ვზივარ, მე ვარ შაში მგალობელი, **საკალმასოდ, სამუშაოდ, სააშკოდ** გამოვფლი...), რ) კუთვნილებას (**ჩემად** რომ დაგივლეთ, ნეტა, თუ იცოდი?), ს) რიცხობრივ გარდაქცევას (დევის ერთი თავი **ცხრად** იქცა...), ტ) სიმცირე-ნაკლებობას (**ორად** ორი მეგობარი, ორი ჯუჯა ვართ...).

ვითარებითბრუნვისანი ფორმა მორფოლოგიურად სახელია (არსებითი, ზედსართავი, ნაცვალსახელი, მიმღეობა...) და არა ზმნისართი. სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქცია არ უნდა განსაზღვრავდეს ამა თუ იმ ფორმის მორფოლოგიურ სტატუსს.

მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

ბაცბური ენის CVC ტიპის სახელურ ფუნქცია ფონემური სტრუქტურისათვის

1. ბაცბური ენის ფონემური შედგენილობა და სინტაგმატური ანალიზი უკვე ორი საუკუნეა შესწავლის საგანია, და სხვადასხვა დროს განხილული აქვთ ა. შიფერს, ი. დეშერიევს, დ.იმნაიშვილს, კ. ჭრელაშვილს, რ. გაგუას და სხვებს.

ჩვენ შევისწავლეთ ბაცბური ენის სახელური ფუნქციების სტრუქტურა სინქრონიული ასპექტით. საანალიზოდ აღებულია ყველა ის ფუნქცია, რაც დადასტურებულია ბაცბურ ლექსიკონში (დ. და ნ. ქადაგიძეები, „წოვა-თუმურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“). გათვალისწინებული გვაქვს როგორც საკუთარი, ისე ნასესხები ლექსიკური ერთეულები.

II. ერთმარცვლიან ფუძეებში რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა **CVC** ტიპი. ამ მოდელში ვგულისხმობთ ხმოვნით დაშორებულ თანხმოვანთა მიმდევრობას, სადაც ანლაუტშიც და აუსლაუტშიც შეიძლება გვქონდეს როგორც ცალი კონსონანტი, ასევე თანხმოვანთა ორწევრა და სამწევრა კომპლექსები.

CVC ტიპი წარმოდგენილია 12 სტრუქტურული ნაირსახეობით, რომლებშიც განაწილებულია 642 ფუძე. აღსანიშნავია, რომ ერთმარცვლიანი ფუძეები რიგ შემთხვევაში ორმარცვლიანი ფუძეების გამარტივებითაა მიღებული; განსაკუთრებით ეს ეხება ქართულიდან შესულ ორმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებს, რომლებიც ბაცბურში ბოლო ხმოვანს კარგავენ და ერთმარცვლიანდებიან. ეს პროცესი ეხება თითქმის ყველა სტრუქტურულ მოდელს.

III. **CVC** ტიპის ფუძეებში ყველა სადა ხმოვანი გვხვდება. გრძელი ხმოვნებიდან თანხმოვანი+ხმოვანი+თანხმოვანი ტიპის სახელებში წარმოდგენილია **5** ხმოვანი, სულ რამდენიმე ფუძეში; გრძელი **6** დასტურდება **CCVC** ტიპის ერთ ფუძეში (ტმზრ — „ვარსკვლავი1.) **CVC** ტიპის სტრუქტურულ მოდელში შეიძლება შეგვხვდეს დამავალი დიფთონგიც: ბუძჷ „ბუ“, დაძრ „დაირა“.

IV. თანხმოვანთა განაწილება ერთმარცვლიან **CVC** ტიპის ფუძეებში ძირითადად თავისუფალია, მაგრამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ზოგიერთი თანხმოვნის ფუნქციონირება პოზიციურად შეზღუდულია. დავამატებთ ორ შეზღუდვასაც, რომლებიც შეგვხვდა **CVC** ტიპის ფუძეებში, კერძოდ, ა) **CVC** ტიპის ფუძეებში ყ მხოლოდ ერთ ფუძეში დავადასტურეთ ფუძის თავკიდურა პოზიციაში: ჟანგ „ჟანგი“, ბ) პ ანლაუტში მხოლოდ ნასესხებ ფუძეებში გვხვდება.

V. **CVC** სტრუქტურის ფუძეში პირველი თანხმოვნის მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ ხმოვნის მომდევნო თანხმოვანი. ბაცბური ამჟღავნებს ტენდენციას, რომ ფუძეში არ შეიძლება გვქონდეს ერთი და იმავე რიგის თანხმოვნები. ამ წესს სრულად იზიარებენ ბავისმიერები ბ ფ პ მ.

სხვა რიგის თანხმოვნებთან ეს წესი ვრცელდება, თუ არ იქნება ერთი და იგივე ფონემა; ეს ერთნაირად ეხება ხშულებსაც და სპირანტებსაც. იდენტური თანხმოვნების თანმიმდევრობის ფუძეები რომ გავაანალიზოთ, ვნახავთ, რომ უმრავლესობა ნასესხები სახელებია. გამონაკლისია ჭოჭ „პირი“, ტუტ „ბუზი“.

ერთსა და იმავე ფუძეში არ გვხვდება შიშინა და სისინა აფრიკატები ძ ც წ ჯ ჩ ჭ; ასევე აფრიკატებთან ერთად ფუძეში არ შეგვხვდება შიშინა და სისინა სპირანტები: ზ ს ყ შ.

ხშულებსა და აფრიკატებში თუ ერთი მყდერია, მეორე თანხმოვანი არ იქნება ფშვინგიერი. გამონაკლისის სახით შეიძლება ჩაითვალოს ბVქ, ბVთ, დVფ, ქVდ, ქVჯ მიმდევრობები, აქედან საკუთრივ ბაცბური ფუძე მხოლოდ ბუთა „მთვარე“ არის, დანარჩენები ქართულიდან შეთვისებული ფუძეებია.

სონორთაგან ერთ ფუძეში არ გვაქვს ორი რ და ორი მ.

გვაქვს წყვილულთა როგორც დეცესიური (უპირატესად), ისე აქცესიური კომპლექსები. საკუთრივ ბაცბურ სახელებში ყველაზე პროდუქტიული ჩანს **CSp** ტიპის კომპლექსები ანლაუტში და **SSp** ტიპის კომპლექსები — აუსლაუტში. აქვე აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე მიმდევრობის კომპლექსები არ გვხვდება ანლაუტსა და აუსლაუტში.

ორი ხშულის თანმიმდევრობა ანლაუტში ნასესხები ფუძეებითაა წარმოდგენილი, ხოლო აუსლაუტში ნასესხებ სახელებთან ერთად გვაქვს ორი ბაცბური სახელიც: ჰაღბ „ბაგა“, თაბწ „შუბი“.

ორი სპირანტის თანმიმდევრობა ანლაუტსა და აუსლაუტში ასევე ნასესხები სახელებითაა წარმოდგენილი.

ამგვარად, **CVC** ტიპის ფუძეებისთვის დამახასიათებელია რიგი ფონოტაქტიკური შეზღუდვები, რომლებიც ეხება თანხმოვანთა კომპლექსებსაც და დისტანციურ, ხმოვნით გათიშულ მიმდევრობებსაც. ამ შეზღუდვების გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება სხვა ტიპის ფუძეთა აგებულების ანალიზისთვის.

რო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

ნამყოფ ფორმების წარმოებისათვის უდიურ ენაში

უდიური ზმნისათვის არ არის დამახასიათებელი დრო-კილოთა ანალიტიკური წარმოება მაშინ, როდესაც ასეთი წარმოება ძალზე გავრცელებულია სხვა დაღესტურ ენებში. საფიქრებელია, რომ ისტორიულად უდიურში ანალიტიკური ფორმები უხვად უნდა გვქონოდა. ამის შესახებ, თვისტომ ენათა ჩვენების გარდა, უდიური ენის ნამყოფ

დროის -**ე** ფორმანტის მეშვეობით ნაწარმოები (მეორადი) ფორმებიც მეტყველებს.

ეგვ. ჯერანიშვილი უდიურში ნამყო დროის აღმნიშვნელ სამ ფინიტურ ფორმას იმორწმებს, ესენია: ნამყო-უწყვეტელი (იმპერფექტი), აორისტი I და აორისტი II (პერფექტი — რ. ლ.). ვლ. ფანჩიძესთან ამ ფორმების გარდა ნამყო-წინარეწარსულიც (პლუსკვამპერფექტი) გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ უდიურს მოეპოვება მხოლოდ ორი „პირველადი“ (უშუალოდ ზმნის ფუძეზე დაყრდნობით ნაწარმოები) ნამყოს დროის ფორმა — აორისტი (-**ი** მაწარმოებლიანი) და პერფექტი (-**ე** მაწარმოებლიანი), ხოლო დანარჩენი ფორმები (იმპერფექტი, პლუსკვამპერფექტი და სხვა) -**ე** ფორმანტის მეშვეობით იწარმოება, რომელიც ენკლიტიკურად დაერთვის ზმნას.

-**ე** ენკლიტიკის აწმყოს ფორმაზე დართვისას ხდება მოქმედების დროის შეცვლა: აწმყო + -**ე** > ნამყო უსრული (იმპერფექტი). თუ ეს მაწარმოებელი ისედაც ნამყო დროის ფორმას დაერთვის, მაშინ მიღებულ ფორმას მოქმედება წინარეწარსულში გადააქვს. გარდა ამისა, -**ე** ენკლიტიკა მყოფაღზე დართვით აწარმოებს პირობით-ნატვრითი კილოს ფორმებს, იხ. -**ე** (-**იე**) ენკლიტიკის მეშვეობით ნაწარმოები ნამყოს აღმნიშვნელი მეორეული ფორმები **ბ**-ეს „კეთება“ (მასდარის ფორმა) ზმნის მაგალითზე:

საწყისი ფორმა	ნაწარმოები ფორმა
აწმყო ბ-ეს-ა=(ნე)* *აკეთებს“	იმპერფექტი ბ-ეს-ა=(ნე)=ე
პერფექტი ბ-ე=(ნე)	პლუსკვამპერფექტი ბ-ე=(ნე)=ე
აორისტი ბ-ი=(ნე)	*პლუსკვამპერფექტი II ბ-ი=(ნე)=ე
პერფექტი II (შედგობითი) ბ-იო=(ნე)	-----
მყოფადი I (ძირითადი) ბ-აო=(ნე)	პირობით-ნატვრითი I ბ-აო=(ნე)=ე
მყოფადი აუცილებლობითი ბ-ალო=(ნე)	პირობით-ნატვრითი აუცილებლობითი ბ-ალო=(ნე)=ე
მყოფადი II (პოტენციური) ბ-ო=(ნე)	პირობით-ნატვრითი II (პოტენციური) ბ-ო=(ნე)=ე
კონიუნქტივი ბ-ა=(ნე)	ნამყოს კონიუნქტივი ბ-ა=(ნე)=ე
*კონდიციონალი ბ-აი=(ნე)	*კონტრაფაქტივი ბ-აი=(ნე)=იე

* წარმოდგენილი ფორმები მხოლოდ ნიჯურ კილოში გვხვდება.

** ფრჩხილებში ჩასმულია პირის აღმნიშვნელი ფორმანტი.

-**ე** ფორმანტით ნაწარმოები ფორმებისაგან ეგვ. ჯერანიშვილთან ოდენ ნამყო-უწყვეტელია (იმპერფექტი) აღნიშნული, ხოლო ვლ. ფანჩიძესთან ამ ფორმის გარდა გვაქვს: ნამყო-წინარეწარსული (პლუსკვამპერფექტი) და მასზე ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კავშირებითი (აწარმოებს **გ**- კლიტიკა), კავშირებითი II (ნამყოს კონიუნქტივი) და მყოფადი ძირითადისაგან და მყოფადი პოტენციურისაგან ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილოს ორი ფორმა.

ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოს პირობით-ნატვრითი კილოს მესამე ფორმა, რომელიც მყოფადი აუცილებლობითისაგან იწარმოება, მაგ.: *ზუ ტა ბაქ-ი-გი-ზუ-ე მოტინ მენო უკ-ალო-თე-ნე-ე* „მე რომ მანდ ვყოფილიყავი, ის ამას არ იტყოდა [უეჭველად]“, ხოლო პირობით-ნატვრითი კავშირებითის გამოყოფა ცალკე ფორმად, პირიქით, საეჭვოდ მოჩანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამი ფორმა, გარდა პირობით-ნატვრითი კილოს მნიშვნელობის გამოხატვისა, ორი დროის მიჯნაზე განვითარებულ მოქმედებასაც აღნიშნავს. გრამატიკულად ეს ფორმები მყოფადს წარმოადგენს, მაგრამ მათი მოქმედება ვითარდება ნამყო დროში მყოფადს ან აწმყოზე მითითებით, მაგ.: *მენო ბაქ-ალო-ნე-ე, ამა ბათენეჟი* „ეს უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა“.

საფიქრებელია, რომ -**ე** ფორმანტი ისტორიულად ნამყოს მაწარმოებელი მეშველი ზმნა უნდა ყოფილიყო და ასეთი ფუნქციით ის დასტურდება კიდევ ზოგიერთ ლეზგიურ ენაში, შდრ. აღუღლორი: *მეჭემედ მუტელიმ ე* „მუჭამედი მასწავლებელია“ და *მეჭემედ მუტელიმ იე* „მუჭამედი მასწავლებელი იყო“. ლეზგიურ ენაშიც ნამყო დროის აღმნიშვნელი სხვადასხვა ფორმების საწარმოებლად გამოყენებულია -**ე** მაწარმოებელი, მაგ.: *რახა ზვა* „ამბობს“ — *რახა ზვა-ე* „ამბობდა“, *იდი ზმა* „აკეთებს“ — *იდი ზმა-ე* „აკეთებდა“, *იდილა* „გაკეთებს“ — *იდილა-ე* „გაკეთებდა“. -**ე** ფორმანტი ნამყოს მაწარმოებლად გვევლინება კავკასიის აღმართშიც, მაგ.: *ქ[რისტო]სენ ბუყანაბი-ა-ე ჰაჭინე ეკლესიაზ* „როგორც (ვითარც) ქრისტეს (ერგ.) შეუყვარდა ეკლესია (მიც.)“ (ეფ. 5, 25), თუმცა მისი მეშველი ზმნის ფუნქციით გამოყენება ვერ დავადასტურებთ.

აღსანიშნავია, რომ -**ე** მაწარმოებელი უდიურში შეიძლება სხვა მეტყველების ნაწილებსაც დაერთოს, მაგრამ მხოლოდ პირის ფორმანტის შემდგომ, პოსტვიქსურ პოზიციაზე. ნამყოს მაწარმოებლისა და პირის ნიშნისაგან შემდგარი კომპლექსი ფაქტობრივად მეშველი ზმნის ფუნქციას იძენს, მაგ.: *შაირ თე-ზუ-ე, ვაზთადალო-ზუ-ე* „პოეტი არ ვიყავი, მასწავლებელი ვიყავი“...

ქეთევან მარგიანი-სუბარი

სვანური ენის ევიდენციალურ და ეპისტემიკურ ფორმათა ტიპოლოგიური ანალიზისათვის

1. ლინგვისტიკაში ფართო გაგებით ევიდენციულობა და ეპისტემიკურობა ერთ კატეგორიად განიხილება (გივონი), მკვლევართა ნაწილის (დენდალე, ტასმოგსკი, კოზინცევა, კორდი...) მოსაზრებით, ისინი განსხვავებული კატეგორიებია: ევიდენციულობა ინფორმაციის წყაროსთან არის მიმართებაში, ეპისტემიკა კი ინფორმაციის უეჭველობასთან. უკანასკნელი ფორმულირების მიხედვით, ევიდენციულობას სვანურ ენაში მოქმედების უნახაობის აქტი შეესაბამება, ამ თვალსაზრისით იგი (ისევე, როგორც დანარჩენი ქართველური ენები) მიეკუთვნება იმ ენათა რიცხვს, რომლებშიც ევიდენციულობის კატეგორიის მნიშვნელობები თავის გამოხატულებას პოვებენ როგორც მორფოლოგიაში, ასევე სინტაქსში. აღნიშნული საკითხი სვანურში სათანადო დონეზეა შესწავლილი და მოქმედების აქტი კი — მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნეული; მაგრამ ეპისტემიკურობა რატომღაც დღემდე ნიშანდობლივად არავის ჩაუთვლია ამ ენისთვის. უფრო მეტიც, გამოთქმულია მოსაზრება (ვილეთი, სუმბათოვა), რომ სვანურს, ისევე როგორც ქართულს, ევიდენციულობის ფორმების შემდგომი დეტალიზაცია-დიფერენციაცია (ეპისტემიკა, ინფერენცია...) არ ახასიათებს.

2. სვანურ ენაში არსებობს მყოფადუსრულად და პირობითუსრულადწოდებული ფორმები, რომელთა ბადალი მწკრივები ქართულს არ მოეპოვება. მათი სემანტიკა სწორედ ეპისტემიკურია, ქართულში მსგავსი შინაარსი მხოლოდ აღწერითად გადმოიცემა; მყოფადუსრული: **იდგარინი** (ბზ.), **იდგარუნი** (ბქ.) — „კლავდეს იქნება, რომ კლავდეს“; **იდგარუნი/იდგარუნი** — „წერდეს იქნება, რომ წერდეს“; პირობითუსრული: **იდგარუნოლ/იდგარუნიუ** — „კლავდა იქნებ, რომ ეკლა“; **იდგარუნოლ/იდგარუნიუ** „წერდა იქნებ, რომ ეწერა...“;

3. ქართულში მყოფადი ძირითადად აწმყოს ზმნისწინიან ფორმას წარმოადგენს: წერს — დაწერს..., მსგავსი წარმოების მყოფადი სვანურსაც მოეპოვება: აწმყოს ფორმა + ე. წ. „წინდებულ-თანდებულ“: **ადგარი** „კლავს“ — **ჩუადგარი** „მოკლავს“; მათი სემანტიკა აბსოლუტურად შეესატყვისება ქართულისას: დრო — მომავალი, ასპექტი — სრული, არაევიდენციალური, უეჭველი, დამატებითი ქვენიუანსების გარეშე („იდელური ცოდნა“, დელენსი). თუმცა საკუთარი

წარმოების მქონე მყოფადუსრულის ფორმები (ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით და მყოფადუსრულის მსგავსად) ცხადი, უეჭველი მოქმედების (მდგომარეობის) შინაარსს მოკლებულნი არიან, მათთვის პირობითობაა ნიშანდობლივი: **ლარარს იჭუდუნი ლგთერ ხეფსი** (ბქ.) — „წიგნებს თუ იკითხავს ნასწავლი გამოვა“; **მგნარ უ'რდრი, მგნარეჩხან ჩუტუეხუნი** (ბზ.) — „ხვალ თუ ავალ, ზეგ ჩამოვბრუნდები (შდრ: **მგნარ უი ლური, მგნარეჩხან ჩუ ტუეხუნი** „ხვალ ავალ (უეჭველად), ზეგ ჩამოვალ“) — ეპისტემია, შესასრულებელი მოქმედების მიმართ მხოლოდ ვარაუდის ქონა, არის ის ნიუანსი, რის გამოც ქართული და სვანური ზმნის მყოფადის ფორმები სემანტიკურად ერთმანეთს ვერ ფარავენ. ეპისტემიკური ელემენტი ასევე ნიშანდობლივია სვანურში პირობითის მწკრივის სახელით ცნობილ ფორმათათვის, რომლებიც ფორმალურად მყოფადისგან ნამყოფსრულის სუფიქსებითა განსხვავდებიან, შინაარსობლივად კი მოქმედების დროით (წარსული): **იჭუდუნოლ** „რომ (იქნებ) კითხულობდა“ (შდრ. უწყვეტ. **იჭუდუნა/იჭუდიუ** „კითხულობდა“...)

4. ასევე, სვანურ ენაში ჩვენ მიერ ბოლო დროს დადასტურებული ზმნათა ფორმები, რომლებიც გადმოგვცემენ წარსულში სავარაუდო, დაუზუსტებელი, პირობითად შესრულებული მოქმედების სტატიკურ შედეგს აწმყო-მყოფადში (**ხემი** „ალბათ (იქნებ) უჭამია“, **ხეგი** „ალბათ (იქნებ) უშენებია“, „წასულა“ — **ხეზნი** „იქნებ წასულა“, **ხეჩდი** „იქნებ ყოფილა“) ან წარსულშივე (**ხემოლ** „ალბათ (იქნებ) ეჭამა“, **ხეგოლ** „ალბათ (იქნებ) ეჭამა“, **ხეზოლ** „იქნებ (ალბათ, რომ...) წასულიყო“; **ხეჩდოლ** „იქნებ (ალბათ, რომ...) ყოფილიყო“). აღნიშნული ფორმები სტატიკურ ზმნათა მოდელს იმეორებენ და, ჩვენი აზრით, მათივე ინვერსიამქმნილი ფორმებია, ვინაიდან სემანტიკაც მიგვანიშნებს აღნიშნულ მწკრივებთან მათს მიმართებაზე: ეპისტემიკურობა (მოქმედების განხორციელების დამაჯერებლობის ერთგვარი პირობითობა, რომლითაც მყოფადი (განსაკუთრებით — მყოფადუსრული) ხასიათდება, ამ ფორმებისთვისაც ნიშანდობლივია. შდრ. **ხუამარუნი** „იქნებ (რომ) ვამზადებდე“ — **მემარი** „იქნებ (ალბათ, რომ...) მიმზადებია“, **მემაროლ** „იქნებ (ალბათ, რომ...) მემზადებინა“. აღნიშნული ფორმები I ან II შედეგობით ეკედლება, მაგრამ მათგან სემანტიკურ განსხვავებას სწორედ ეპისტემიკურობა განაპირობებს: წარსულში შესრულებული მოქმედება ან მისი სტატიკური შედეგი მთქმელისთვის სავარაუდოა, დაუზუსტებელია: **სი უომშამინ ჩეხნი ლ'ხუთე?** „შენ სავარაუდოდ რამდენჯერ წასულხარ (იქნები ასული) მთაში?“ (შდრ. **უომშამინ ჩინა?**

„რამდენჯერ წასულხარ?“) **ჟოშა ლანდარ ხეჭუდანი** ისევე მუს? „სა-
გარაუდოდ (ნეტავ) რამდენი წიგნი წაეკითხა (**ექნებოდა წაკითხუ-**
ლი) მამამენს?“ (შდრ. **ჟოშ ლანდარ ხეჭუდანი**?.. „რამდენი წიგნი წა-
ეკითხა = ჰქონდა წაკითხული?“..)

ევიდენციულობა-ეპისტემიკურობის თვალსაზრისით სვანურის ვი-
თარება ძალიან მოგვაგონებს ზოგიერთი ინდო-ევროპული ენისას; მაგა-
ლითად ფრანგულში „მოდალური კონდიციონალი (-rais სუფიქსიანი
ფორმები) უმეტესად გამოხატავენ არარეალურ ან პოტენციურ მოქმე-
დებს, რომელიც დამოკიდებულია გარკვეული პირობის რეალიზაცია-
ზე“ (კორდი); შდრ. სვან. **მგხარდ ლელჷ ჩუბდვაჭუი** „ხვალამდე
ხორცი გაფუჭდება („შესაძლოა გაფუჭდეს“) — ერთი მხრით ეპისტე-
მიკურია, წყარო კი არის ინფერენცია (დასკვნა საკუთარი გამოცდილე-
ბის, სამყაროს შესახებ ცოდნის ნიადაგზე; ხორცი მალფუჭებადი პრო-
დუქტია...), მეორე მხრივ, ეს მოქმედება (გაფუჭება) პოტენციურია
(შდრ. **ჩუიფჭაჭუი** „გაფუჭდება!“ — გამოხატავს მოქმედების არა შესაძ-
ლებლობას, არამედ ნამდვილობას, ე. წ. „იდეალური ცოდნას“); ევი-
დენციულურ ელემენტად ითვლება თავისი ფუნქციით გერმანულში კო-
ნიუნქტივი I (ხანზენი). ბულგარულში, როგორც სხვა ბალკანურ ენებ-
ში ევიდენციულური სისტემა მოდალიზებულია, ანუ მოდალობა და
ევიდენციულობაში ხშირად ფარავენ ერთმანეთს: მაგალითად, კონკლუ-
ზივი, რომელიც გამოხატავს საკუთარ ინფერენციაზე დაფუძნებულ
აზრს ან მერყევ, დაუზუსტებელ ცოდნას... (ნიცოლოვა).

სვანურში საანალიზო ფორმები (მყოფადუსრული და -სრული,
პირობითუსრული და -სრული, პირობით-შედევობით I და II) შესრუ-
ლებული თუ შესასრულებელი მოქმედების შესახებ მხოლოდ სავარა-
უდოდ ცოდნას, ალბათობას გამოხატავენ; ამასთან, მათ ყოველგვარი
მოდალური ლექსემისა თუ ნაწილაკის გარეშე შესწევთ ჰიპოტაქსის
უნარი, სადაც დამოკიდებული წინადადება ხშირად სწორედ პირობი-
თია, მთავარი და დამოკიდებული წინადადების შეერთება კი, ძირი-
თადად, უკავშიროს, რადგან ზმნა-შემასმენელი თავად შეიცავს საჭი-
რო ნიუანსს; აღნიშნულ ნაკვთთა ეს ფუნქცია სწორედ ეპისტემიკუ-
რობით არის განპირობებული. ამდენად, ვფიქრობთ, ევიდენციულობა
და ეპისტემიკა სვანურში მორფოსინტაქსური კატეგორიებია.

ნ ა ნ ა მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ნაწლავდრუიანთა აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი

ენის ლექსიკის ამა თუ იმ უბანში უკუფენილია ენობრივი ერ-
თობის ყოფის სხვადასხვაობა, რადგან ყოფის სხვადასხვაობა გან-
საზღვრავს სწორედ იმ თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის
ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

აფხაზური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში გამოიყოფა ნა-
წლავდრუიანთა სახელწოდებების მცირე ჯგუფი:

აკამგრშაშა „ლოკოკინა“, აკამგრშაშა (ბზიფ.), აკამგრშაშა აც^ა
„ლოკოკინას ნიჟარა“,

არწოგრახ^აც „ჭიაყელა“, შდრ. ახ^აც,

აღურწკ^ა „ჭიაყელა“,

აბჟჟ „ნეხვის ჭია, ჭიაფანდურა, ბოსტანა“,

აპაყმა „ტკიპა, ჟღიბა“,

მოხსენებაში მოცემულია ამ სახელწოდებათა სემანტიკურ-
სტრუქტურული ანალიზი.

ნაწლავდრუიანთა ლექსიკაში სტრუქტურული თვალსაზრისით
გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები: სახელწოდებანი წარმოდგენილია
გაუფორმებელი ფუძით ან კომპოზიციით.

თ ა მ ა რ მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე

ზმნისწინის ფუნქციები და კლასიფიკაციის პრინციპები

ტრადიციული ქართველური ენათმეცნიერების მიხედვით, ზმნის-
წინს აქვს 4 ფუნქცია. ჩვენ გამოვყოფთ ზმნისწინის **ექვს ფუნქციას**:

1. გეზის გამოხატვა,
2. ორიენტაციის გამოხატვა,
3. ასპექტის დასრულება,
4. მწკრივის ფორმათა წარმოება,
5. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა,

6. ზმნის პირიანობის ცვლა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკმაოდ ხშირია ზმნისწინის ფუნქციითა გადაკვეთა. ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან ბოლო, **მეექვსე ფუნქცია** პირველად არის წარმოდგენილი. ზმნისწინის მიერ პირიანობის ცვლა ძირითადად ეხება ლოკალურ აქტანტს.

პირიანობის მატებისას გამოვყოფთ ორ შემთხვევას:

1. პირიანობის ზრდა ხდება ზმნისწინის ცვლით:

დაარღვია მან ის — შემოარღვია მან მას ის
ააშენა მან ის — მოაშენა მან მას ის / მიაშენა მან მას ის /
დააშენა მან მას ის

დავწერე მე ის (აღვწერე / ამოვწერე / გადავწერე) —
მოვწერე მე მას ის / მივწერე მე მას ის

გავტეხე მე ის — მოვტეხე მე მას ის
გავჭერი/დავჭერი მე ის — მოვჭერი/შემოვჭერი მე ის მას

2. პირიანობის ზრდა ხდება ზმნისწინის დამატებით:

ვტირი მე — დავტირი მე მას
ვყვირი მე — დავყვირი მე მას
ვწერე მე ის — მოვწერე მე მას ის / მივწერე მე მას ის
ვახვიე მე ის — შემოვახვიე მე ის მას / დავახვიე მე ის მას /
მოვახვიე მე ის მას
ვჭამ მე მას — მოვჭამ მე მას მას

ზმნისწინი თავის თავზე იღებს ხმოვან პრეფიქსთა ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას — პირიანობის კლება-მატებას. ეს გასაგები მოვლენაა ენის განვითარების ეკონომიკის უნივერსალური პრინციპიდან გამომდინარე. გვაქვს ორი ტიპის შემთხვევა:

1. ზმნისწინი ზრდის პირიანობას ხმოვანის პრეფიქსის გარეშე: გავტეხე მე ის — მოვტეხე მე მას ის, გავგლიჯე მე ის — მოვგლიჯე მე ის მას, შევჭამე მე ის — მოვჭამე მე ის მას და სხვ.

2. ზმნისწინი ზრდის პირიანობას ხმოვან პრეფიქსთან ერთად, თუმცა ხმოვანი პრეფიქსის დართვა არაობლივგატორულია: გავტეხე მე ის — მოვატეხე მე მას ის, გავგლიჯე მე ის — მოვაგლიჯე მე ის მას, შევჭამე მე ის — მოვაჭამე მე ის მას და სხვ.

ზმნისწინის ექვსიდან ხუთი ფუნქცია არის დერივაციული. სირთულეს არ წარმოადგენს ამ აფიქსების დერივაციულ სემანტიკათა სისტემური გააზრება და გარკვეული ჯგუფების გამოვლენა.

გთავაზობთ ზმნისწინის კლასიფიკაციის ახლებურ პრინციპებს ინერციისა და ასიმეტრიულობის კანონების გათვალისწინებით. საერ-

თოდ, ზმნისწინი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიპერსონალური სტრუქტურების სისტემაში.

კობა მითაგვარია

სახელის სუფიქსური წარმოება ადილურ ენაში

ადილური ენა სახელების სიტყვაწარმოებითი აფიქსების სტრუქტურის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი სტრუქტურული ტიპები:

ა) **C**

-**მ** (წ) ადილ. და-**მ** „თხილნარი“ (შდრ. და „თხილი“)

-**ჟ** ადილ. ფსა-**ჟ**(გ) „ცოცხალი“ (შდრ. ფსა „სული“)

-**ჟ**(გ) ადილ. ნგსა-**ლ**(გ) „რძლები ერთმანეთისათვის“ (შდრ. ნგსა „რძალი“).

-**შ** ადილ. ჰაჰა-**შ** „სტუმრების მისაღები ოთახი“ (შდრ. ჰაჰა „სტუმარი“)

-**ლ**(წ) ადილ. შგლ⁰-**ლ** „სამარილე“ (შდრ. შგლ⁰ „მარილი“)

-**ბ** ადილ. კ⁰გ-**ბ** „ღრმული“ (შდრ. კ⁰ „შუა“ ("середина"))

-**ჩ** ადილ. ჟგფსა-**ჩ** „ბურბუმელა“ (შდრ. ჟგფსა „რანდვა“)

-**ჯ**(წ) || -**ხ**(გ), ესენი სინონიმური სუფიქსებია: ნგბა**ჯ** || ნგბა-**ხ**(გ) „ლიბიანი“ (შდრ. ნგბა „მუცელი“).

-**ტ**(წ) ადილ. ბლ-**ტ** „ფართომკერდიანი“ (შდრ. ბლ „მკერდი“).

-**წ**(წ) ადილ. ჰა-**ლ**წ „ბიჭი“ (შდრ. ჰა „ახალგაზრდა, ახალი“), ადილ. ნაპა-**ლ** „დიდწარბა“ (შდრ. ნაპა „წარბი“).

-**ჯ**(წ) ადილ. ბზა-**ჯ** „ბოროტი“ (შდრ. ბზა „ენა“)

-**ც**(წ) ადილ. ნგბა-**ც** „მსუნაგი“ (შდრ. ნგბა „მუცელი“)

ბ) **VC**

-**აღ** ადილ. ლწლ-**აღ** „სიმაღლე“ (შდრ. ლწლწ „მაღალი“)

გ) CV

- ლწ** ადილ. ლგ-**ლწ** „ვაჟკაცობა“ (შდრ. ლგ „კაცი, მამაკაცი“)
- ჭწ** ადილ. კა-**ჭწ** „სიარულის მანერა“ (შდრ. კწ „სიარული“)
- კწ** ადილ. ძწა-**კწ** „მოსწავლე“ (შდრ. ძწა „სწავლა“)
- მწ** ადილ. ჭგ-**მწ** „ხის დიდი ურო“ (შდრ. ჭწნ „(და)რტყმა“)
- დწ** ადილ. ცა-**დწ**-**ტად** „ხელსაწყოები“ (შდრ. ცწ „ხელი“)
- ნწ** ადილ. ფა-**ნწ** „ადრინდელი“ (შდრ. ფწ „დასაწყისი“)
- თწ** ადილ. სწან-**თწ** „ბალიში“
- რწ** ადილ. ად-**რწ** „სხვა“ (შდრ. ადწ „იქ“)
- ჭწ** ადილ. ბზა-**ჭწ** „მუნჯი“ (შდრ. ბზწ „ენა“)
- შწ** ადილ. ნწ-**შწ** „ელამი“ (შდრ. ნწ „თვალი“)
- ლწ** ადილ. ზა-**ლწ** „ერთი გოჯი“ (შდრ. ზგ „ერთი“)
- ცწ** (< ყაბ. **ჯწ**) ადილ. თპგბგ-**ცწ** „კუზიანი“
- ზწ** ადილ. ნწ-**ზწ** „ელამი“ (შდრ. ნწ „თვალი“)
- ჟგ** ადილ. ჟგ-**ჟგ** „თეთრი“

დ) CC

- ფწ** ადილ. გგბჟგ-**ფწ** „ფიცხი“
- ნწ(ა)** ადილ. ჯარუგუ-**ნწ(ა)** „სუსტი“ (**წ-** ფონეტიკური დანართია)
- ნჯ** ადილ. ბღგ-**ნჯ** „ირიბი“, „მრუდი“ (შდრ. ადილ. ბღგ „გვერდი“ ("ნოკ").
- ნტ(ა)** ადილ. შაბა-**ნტ(ა)** „მწვანე“
- შწ(გ)** ადილ. ჯაჯა-**შწ(გ)** „დიდი სოფელი“ (შდრ. ჯაჯა „სოფელი“)

ე) CCV

- ბლწ** ადილ. ლა-**ბლწ** „შიმშილი“ (შდრ. ლწ „წელი“)
- ფრწ** ადილ. ლა-**ფრწ** „ნაცრისფერი“ (გვხვდება მხოლოდ ამ სიტყვაში)

ვ) CVC

- რგლ(ა)** (< **რწ** + **ლწ**); -**რგწ(ა)** ადილ. გგბჟგრგლ „ბრაზიანი, მრისხანე“

-**ლაწ(ა)** (< -**ლწ(ა)** + სწ „კარგი“)

- ნაჟ** ადილ. წგკგ-**ნაჟ** „ძალიან პატარა“ (შდრ. წგკგ „პატარა“)
- ლწა(ა)** ადილ. პგ-**ლწა** „ძნელად აღსაზრდელი“ (შდრ. პგწ „აღზრდა“)
- რგა** (< **რწ** + **აწ**) ადილ. გგშგკგ-**რგა** „ყბელი“
- ჭაა** (< **ჭწ** + **ა**) ადილ. სწა-**ჭაა** „უზრდელი“
- ლაა** (< **ლა** + **ა**) ადილ. დასწა-**ლაა** „მეტისმეტად მთვრალი“.

ზ) VCV

-**ანწ** ადილ. შაწწ < **შგ** + **ანწ** „ერთი მესამედი“

თ) **VCVCV** სუფიქსის ეს ტიპი პრეფიქსებთან ერთად გვხვდება რიცხვით სახელებში: -**ანწრწ** ადილ. დაწ-**ანწრწ** „მესამე“.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს ყველაზე პროდუქტიულია **C, CV** სტრუქტურის სუფიქსები.

ყველაზე იშვიათია **VC, VCV, VCVCV** ტიპის სუფიქსები.

ზოგი ადილეთური სუფიქსი სხვა აფხაზურ-ადილურ ენებში ჰპოვებს პარალელებს.

ე ლ ე ნ ე ნ ა პ ი რ ე ლ ი

კოდთა ურთიერთმიმართების ზოგი საკითხი ლაგოდენის რაიონში

საქართველოში მე-20 საუკუნეში განხორციელებული მიგრაციების შედეგად ქართული დიალექტების ტერიტორიული გავრცელების სურათი საგრძნობლად შეიცვალა. ეს მიგრაციები სხვადასხვა ხასიათისა და მასშტაბის იყო და შესაბამისად, ქართული ეთნოკულტურული და ლინგვისტური სურათის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა როლიც ხვდათ წილად. ერთ-ერთი მასშტაბური მიგრაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკური და კულტურ-

რული მომავლის განსაზღვრაში, იყო ლაგოდების რაიონში განხორციელებული მიგრაციები მე-20 საუკუნის დასაწყისში.

ამ მიგრაციის შედეგად კახეთის რეგიონში შეიქმნა კომპაქტურად დასახლებული იმერული სოფლები, ე. წ. „ლაგოდების იმერული დიალექტური კუნძული“, რომელიც, მართალია, საკუთარ ბირთვულ ენობრივ არეალს არ მოსცილებია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არსებობას განაგრძობს მისი წარმომშობი ეთნოგრაფიული კუთხიდან მოშორებით, განიცდის სხვა დიალექტებისა და, ამასთანავე, სალიტერატურო ენის გავლენას, რაც ძალზე საყურადღებოა კოდთა ურთიერთმიმართების საკითხისთვის.

აღნიშნავთ, რომ სამეტყველო კოდების თანაარსებობის დროს საკუთარი და მეზობლის კილოური თავისებურებებისადმი გაცნობიერებული დამოკიდებულება წარმოშობს ერთგვარ „ზონებს“, სადაც შეუძლებელია რაიმე გავლენაზე ლაპარაკი. გავლენისადმი ყველაზე შეუვალა და გამძლე აღმოჩნდება ის ნიშნები, რომელიც მოლაპარაკეს თავისი მეტყველების ძირითად თვისებად მიაჩნია, აგრეთვე, შეუძლებელია, მან მიიღოს პარალელური კოდის ის ნიშანი, რომელიც გამორჩევით მიუჩნევია სხვისი მეტყველების მახასიათებლად.

კოდთა ურთიერთმიმართება სხვადასხვა იერარქიულ დონეზე შეისწავლება, მაგრამ ამჟამად წარმოვადგენთ მხოლოდ **მა-**, **შა-** ზმნისწინების, როგორც კოდური მარკერების საკითხს **კახური** და **იმერული** სამეტყველო კოდების მიმართებისას.

მა-, **შა-**, ზმნისწინები და მათი **მე-**, **შე-** ვარიანტები დამახასიათებელია როგორც **იმერული**, ისე **კახური** დიალექტისთვის.

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **მა-** და **შა-** ზმნისწინების, როგორც კოდური მარკერის ფუნქცია **კახურში ე** ხმოვნის წინ რამდენადმე შეზღუდულია. ამასთან **მა-** უკვე თითქმის აღარ გვხვდება ამ პოზიციაში, **შა-** კი პარალელურად გვხვდება **შე-**ს გვერდით.

კახურში მა-, **შა-** ზმნისწინები **ე** ხმოვნის წინ უმეტესად წარმოდგენილია **მე-**; **შე-** ვარიანტებით.

იმერულშიც, რომელსაც გარკვეულ პოზიციებში, როგორც ვთქვით, ახასიათებს **მა-** და **შა-** ზმნისწინი, **ე** ხმოვნის წინ წარმოდგენილია მხოლოდ **მე-**, **შე-** სახით.

იმერული და **კახური მეეტანა, შეეტანა...** ტიპის ფორმები ორი სხვადასხვა პროცესის შედეგს წარმოადგენენ: მოეტანა > მეეტანა

(იმერული) და მოეტანა > მაეტანა > მეეტანა (კახური) (ჯორბენაძე, 1998, 317).

იმერული კოდის მატარებლისთვის კახურში დადასტურებული **მეეტანა, მეეყვანა, მეეწონა** არ იგივდება საკუთარ კოდში დადასტურებულ ანალოგიურ ფორმებთან. ერთგვარი ქვეცნობიერი „ლინგვისტური ანალიზის“ შედეგად ამ კომპლექსების ცვლილებისას მიღებული იდენტური ფორმები (**მეეტანა...**) აღქმულია, როგორც სხვადასხვა ამოსავალი ფორმიდან მიღებული და ეს, როგორც ვთქვით, აისახება კოდების გადართვის დროს. ერთი მხრივ, იმერული სალიტერატურო კოდზე გადართვისას ამჟღავნებს თავის ლინგვისტურ ცოდნას იმის შესახებ, რომ ამოსავალი სალიტერატურო ფორმა არის **მო-** ზმნისწინი, მეორე მხრივ, კახურის შესატყვის ფორმად აღიარებს **მა-** ზმნისწინს. იმის მიუხედავად, რომ, როგორც ითქვა, **ე** ხმოვნის წინ ასეთ ფორმებში კახურშიც დიდი ხანია **მა-** ნაკლებად გვხვდება.

მოსხენებაში წარმოდგენილი იქნება საილუსტრაციო მასალა ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტებიდან, აგრეთვე „ქართული დიალექტური კორპუსიდან“.

ნი კ ო ლ ო ზ ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

სოფელ ყანჩავეთის ონომასტიკა

სოფელი მდებარეობს ქსნის შუა წელზე მისგან დასავლეთით ოთხი კილომეტრის მოცილებით მთა ზებეყურის განშტოების წყალგამყოფზე, რომელიც ქსნისა და ლეხურის აუზებს მიჯნავს. იგი ერთ-ერთი ძველი დასახლებული პუნქტია, რომელიც არაერთ ისტორიულ წყაროშია მოხსენიებული.

ვახუშტი ბაგრატიონს თავის „აღწერაში“ მოხსენიებული აქვს ყანჩიეთის ფორმით და რუკაზეც დატანილი აქვს სასახლის აღმნიშვნელი ნიშნით. სოფელს ასევე ასახელებს მეთვრამეტე საუკუნეში გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი, რომელიც აღნიშნავს, რომ

„ქსანზე მდინარე ყანჩავეთის ხევზე ქანებია ქვიშიანი კირქვა ნამარხებით“. უფრო ადრე კი ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატანე „ძეგლი ერისთავთა“ (XIV ს.) სოფელს აღნიშნავს ყანჩავეთის ფორმით.

სოფელში მოძიებული ტოპონიმები სულ ასორმოც ერთეულს შეადგენს; დადასტურებული გვაქვს ოცდახუთი გვარი (ორის გამოკლებით ყველა ქართულია). მცხოვრებთ რაოდენობა 250 კომლია. დღეისათვის ცნობილი მოვლენების გამო კომლთა რაოდენობა განახევრებულია. მცხოვრებთა გვარებია: ბერიანიძე, მუსაიძე, მწითური, გაბიტაშვილი, ხუციშვილი, დავითური, მაჭარაშვილი, ტატუნაშვილი, თეზიაშვილი, დაუშვილი, გაგაძე, ჭიჭურიძე, წინამძღვრიშვილი, ცქვიტიშვილი, ჯარმელაშვილი, პაპიაშვილი, საბიაშვილი, დურგლიშვილი, თამარაშვილი, ქოქაშვილი, გარიევი.

ტოპონიმებიდან კომპოზიტურ სახელთა მეორე კომპონენტად გვხვდება წყალი, წყარო, ხევი, ღელე: შირმის წყალი, წითელი წყალი, თეთრი წყალი, ჭუჭლაური წყარო, არმაისლის წყარო, შუშურა წყარო, ჩაკიდული წყარო, ჩაკიდული ხევი, კუბრეველი ხევი, ხადის ხევი, ვეძა წყარო, ღელე, ასანათ ღელე (ტატუნაშვილი), ღრომი ღელე; მთების ქედების მეორე კომპონენტად გვხვდება ველი, მთა, ქედი, ჩირდილი: ბატატის ველი (საკუთარი სახელია), ნაციხორა ველი, ზებეყური // ზებაყური მთა, ბალიას მთა, ღელე მთა, სანიაოთ ქედი, წმინდა გიორგის ქედი, წმინდა გიორგის ქედი, შავი კლდის ჩირდილი, ჩოლა ჩირდელი და სხვა.

ტოპონიმურ სახელთა მეორე კომპონენტად გვხვდება უბანი ან წინ ერთვის ზემო, ქვემო, შუა: ზემო უბანი (ჩრდილოეთის მხარე), ქვემო უბანი (ცქვიტიშვილების უბანი), შუა უბანი (ტატუნაშვილების უბანი).

ტოპონიმურ სახელთა ერთი ჯგუფი შეიცავს ადამიანის გვარს ან სახელს, რომელსაც თან ერთვის მაწარმოებელი სუფიქსი **-ან// -ანთ**: ქურთაულაანი (სოფლიდან წასული გვარია), ზაზაანი (ზაზაშვილი, წასული გვარია), გაგაძიანი (გაგაძეები), ჯღაბუანთი (გაგაძეების ერთი შტო), ფაქიზაანთი (ჯარმელაშვილების ერთი შტო), დაფქვიანთი (ჭიჭურიძეები) და სხვა.

ქართული დიალექტის ქსნურ მეტყველებაში **-ურ // -ულ** სუფიქსებს აქვთ პოტენცია შეასრულონ სხვადასხვ ფუნქცია. ტოპონიმი-

ური ლექსიკა წარმოქმნილია საკუთარი სახელისაგან და თვით ტოპონიმიდან. მაგალითად: ზებეყური // ზებაყურები (წყალგამყოფი ქედია ორი მდინარისა), გედიაურები (სოფ. ჩრდილოეთით ველია აღნიშნული გვარიდან წარმოშობილი), ბინკაურები (ნასახლარები), ხდური (ბუჩქნარი, ნასახლარები), არმაზული მამულები (წყალგამყოფი ქედის დასავლეთით ლეხურის მარცხენა მხარეს (ეკუთვნოდა ყანჩავეთს), არმაზის ნიში (864 წლის არმაზის ბაზილიკის ნიში აღნიშნულ ქედზე), ფეიქრული (მინდორი სოფლის სამხრეთით), ხაჭილაური (გვარიდან წარმოქმნილი მინდვრის სახელია სოფ. სამხრეთით). მრავლობითში გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც ადგილის სიდიდეს აღნიშნავს: სასახლეები — სასახლის ნაშთი, რომელიც ქსნის ერისთავების განაყარ რატიშვილებს ეკუთვნოდა. რატიანთი — ადგილი სოფლის ცენტრში, სადაც ეს გვარი ცხოვრობდ, ნაკაფები (ველები), ტბები (საძოვარი), ნაქოხრები (მინდვრები), ფარნები (ნიში, მუხნარი).

გვხვდება **ნა-, სა-** პრეფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები: საგუმბარი (ტყე), საბურთალო (მინდორი), საქერე (მინდორი), საზიარო (ველები), ნასაყდრალი (ნიში), ნაზვრევი (მინდორი), ნაკაფი (ტყე), ნაციხორა (რატიშვილების სასახლის კოშკი).

რელიგიური მნიშვნელობის ტოპონიმებს განეკუთვნება: წმინდა გიორგი (ეკლესია), წმინდა მარინე (ეკლესია), ნიში (მუხისა და ცაცხვის კორომები ორ ადგილას), ლომისა (ნიში), ამაღლება (ეკლესია), ყანჩავეთის კაბენი (აგებულია ღვთისმშობლის სახელზე).

სოფელში გვხვდება რამდენიმე **-არ** სუფიქსიანი ტოპონიმი: სამგუბარი, ფუძნარი (ნასახლარებია), ნაქოხარი (მამულები), ნაფეტვარი (სადაც ეს მცენარე ითესებოდა), ნათათხარი (ყოფილი სახნავი) და სხვა.

**სამეტყველო კომუნიკაციის სტრატეგიები
გენდერპოეტიკური რაკურსით**

ენაში იმგვარი შესიტყვებების არსებობა, როგორცაა „ქალური პოეზია“, „მამაკაცური ლექსები“, ბუნებრივად აჩენს ქალური და მამაკაცური სამეტყველო კომუნიკაციის სტრატეგიათა გამოვლენის ინტერესს, რადგან ცხადია, რომ ამ გამონათქვამებში მხოლოდ ქალური და მამაკაცური თემები არ იგულისხმება, რომელთა შესახებ მსჯელობა ტრადიციულია ლიტერატურათმცოდნეობაში.

გენდერპოეტიკური კვლევისათვის ავირჩიეთ ერთმანეთის თანამედროვე პოეტების — ანა კალანდაძისა და მუხრან მაჭავარიანის შემოქმედება.

კულტურული, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები განაპირობებს ეროვნული ენობრივი პიროვნების ქცევას. სტერეოტიპული მოსაზრების მიხედვით, მამაკაცისათვის დამახასიათებელია ძალაუფლების დემონსტრირება, იმპერატიულობა, სენტენციების ხშირი გამოყენება, რაც დადასტურა მუხრან მაჭავარიანის პოეტურმა დისკურსმა. მამაკაცის საუბარი თვითპრეზენტაცია უფროა, ვიდრე თანამოსაუბრის ძიება და მისი აზრის გაზიარების სურვილი — ომანიანდ გაისმის მუხრან მაჭავარიანის ხმა, უალტერნატივოდაა წარმოდგენილი მისი მოსაზრებები მაშინ, როცა ანა კალანდაძე თითქმის ყოველთვის სხვისი აზრის მოსასმენადაა მზად, დიალოგს მიეღობის, ყოველთვის თანამოსაუბრის მიძებნელია. ანა აბსოლუტურ ჭეშმარიტებასაც კი შეკითხვითა და ეჭვის გამოთქმით გვაწვდის, საკუთარი აზრის უტყუარობის დადასტურებას იგი სამეტყველო კომუნიკაციის სხვა მონაწილის ან მონაწილეთაგან ითხოვს.

ორივე პოეტურ დისკურსში მუდმივად შესაგრძობია მათი შემქმნელი პოეტების კონფესიური კუთვნილება, რითაც არ დასტურდება ერთ-ერთი გენდერული სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ქალები უფრო რელიგიურები არიან, ვიდრე მამაკაცები, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული განსხვავება მაინც გამოჩნდა: ანა კალანდაძის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ღვთისმშობლის, ყოვლადწმიდა ქალწულის სახეს, რომ-

ლის ძალისა და მადლის, მფარველობის იმედი ქრისტიან ქართველებს ყოველთვის ჰქონდათ და აქვთ, განსაკუთრებით კი — ქალებს. მუხრან მაჭავარიანთან ღვთისმშობლისადმი მიმართვა არ შეგვხვედრია, პოეტი ძალიან ხშირად ახსენებს უფალს (ღმერთი, უფალი ქრისტე), ანა კალანდაძესთანაც დასტურდება იესო ქრისტეს შემდეგი სახელები: უფალი, ღმერთი, მაცხოვარი, ჩვენთვის ჯვარცმული, მესია, უზენაესი, რაბი. ანასთვის უფალი მიუწვდომელია, უადრესი კრძალვა იგრძნობა ყოველი მისი ხსენებისას, მისდამი მიმართვისას. მუხრანი კი ზოგჯერ უფრო გაბედულია, უფრო მეტ სითამამეს ავლენს, იგი ქრისტეს განკაცებულს, ჩვენ შორის მყოფს ხედავს და მას, ზოგჯერ როგორც მიწიერს, ისე მიმართავს (ერთგან ემდურის კიდევ).

სამეტყველო კომუნიკაციის მამაკაცური სტრატეგიის ნიშნებად უნდა დავასახელოთ მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში ინვექტიური, ობსცენური და ჟარგონული ლექსიკის გამოყენება. არაერთი სტრიქონის მოყვანა შეიძლება, რომლებშიც სწორედ მხოლოდ მამაკაცის თვალთ დანახული ხორციელი ქალი ჩანს.

გენდეროლოგების დაკვირვებით, მამაკაცები ხშირად იყენებენ ნეოლოგიზმებსა და ტერმინებს, ისინი უფრო მიდრეკილი არიან სიტყვათშემოქმედებისკენ, ვიდრე ქალები. ანა კალანდაძესთან არც ჩვენ შეგვხვედრია უჩვეულო წარმოება, მუხრან მაჭავარიანთან კი ამის მაგალითები არის („ყოვლად უქრისტო“, „იხელახლებს“, „ფეხადრიცხვით“, „გინდა აფრენა — აბელურება“, „სიშორე გაწარსულებს“, „გავანთიადლი“...).

სამყაროს ფერთი შემეცნების მხრივ ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ერთი მახასიათებელი, რომელიც ქალი პოეტისა და მამაკაცი პოეტის მიერ სამყაროს სურათის ხედვის, აღქმისა და ამ სურათის რეპროდუქციის განსხვავებულობას დაგვანახებდა. არ დადასტურდა გენდერულ ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში გავრცელებული შემდეგი სტერეოტიპული მოსაზრება: „ქალები ფერთა უფრო ფართო სპექტრს აღიქვამენ, ვიდრე მამაკაცები“.

ცხადია, ეს შემოსაზღვრულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით მიღებული დასკვნებია. ჩვენი მცირე კვლევა, რა თქმა უნდა, არ კმარა ანალიზის შედეგების განსაზოგადებლად. ერთი ქალი პოეტისა და ერთი მამაკაცი პოეტის აღქმისა და სამეტყველო კომუნიკაციის

სტრატეგიებში გამოვლენილი მსგავსება-განსხვავებები საანალიზო პოეტურ დისკურსსა (პოეტების გენდერულ წყვილთა) გაზრდის ინტერესსა და შესწავლილი თუ სხვა დამატებითი ნიშნების მიხედვით მათი ანალიზის აუცილებლობას ბადებს.

სოფიო პაპიაშვილი

კუთხური იდენტობის საკითხი დიალექტურ კუნძულში (ასპინძის რაიონში ჩასახლებული იმერლების მაგალითზე)

ცნობილია, რომ ჯგუფის თვითდასახელება კოლექტიური ვინაობის ერთ-ერთი მთავარი მარკერია. მისი მეშვეობით ჯგუფი თავის თავს გარეშეთაგან მიჯნავს. სწორედ თვითდასახელებაში ახდენს ჯგუფი საკუთარი არსის იმგვარ შეჯამებას, თითქოს სახელში არსებობდეს მისი გადარჩენის გარანტია. კოლექტიურ სახელს თილისმის მსგავსი მისტიკური კონოტაცია აქვს.

მესხეთში ჩვენი ექსპედიცია მაშინ შედგა, როდესაც დიალექტური ტექსტის ზეპირ ისტორიად გამოყენების პრეცედენტი ჩვენში უკვე არსებობდა. ჩვენ ვსარგებლობდით ამ გამოცდილებით, გვქონდა შესაბამისი ინსტრუქცია, ვიყენებდით სპეციალურ კითხვარს და ვცდილობდით, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა საინტერესო ყოფილიყო როგორც დიალექტური ტექსტის, ისე ზეპირი ისტორიის სტატუსითაც. შესაბამისად, ჩვენი რესპონდენტების საუბარი მოტივირებული იყო ჩვენი სამეცნიერო მიზნის შესაბამისად — მოგვეპოვებინა, რაც შეიძლება ვრცელი ლინგვისტური და ფაქტობრივი მასალა მიგრაციული პროცესების შესასწავლად.

აღნიშნავენ, რომ მშობლიური გარემოსგან და საკუთარი ვინაობისგან დაშორებით გამოწვეული სიმპტომები ერთმანეთს ჰკავს, მიუხედავად იმისა, ფიზიკური გადაადგილებით აღმოჩნდება პიროვნება უცხო გარემოში თუ თავისსავე სამშობლოში გაუცხოვდება. მესხეთში მიგრირებული მოსახლეობა კვლავ თავის სამშობლოში ცხოვრობს. აქ შეიქმნა დიალექტური კუნძულები, რომლებიც კვლავ სამშობლოს

ფარგლებშია მოქცეული, თუმცა მისი მცხოვრებნი, მოშორებული არიან მშობლიურ კუთხებს. ამიტომ კუთხური იდენტობის, თვითდასახელების პრობლემა მეტ-ნაკლებად მათაც აქვთ და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო მათ მიერ განსაზღვრული თვითიდენტობა და ისიც თუ როგორ განსაზღვრავენ ისინი თავიანთი მეზობლების იდენტობას. პასუხები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო:

- „ომორიდან ვარ ახლა, შვილო, ამ წუთში ომორიდან ვარ, მესხეთიდან ვარ... იმერელი ვარ, მაგრამ, ახლა მესხეთში ვცხოვრობ აგერ, შვილო და მესხელი ვარ, აბა რაღა ვარ? იმერეთიდან რო ჩამოვედი პატარა ბავშვი ვიყავი, დიდი კი არა“ (მელიკო ქასრაშვილი, ასპინძა);
- „რომ გეკითხებიან სადაური ხართო, რას პასუხობთ? გამესხებული იმერელი-მეთქი (ელგუჯა ცინაძე, ასპინძა);
- „აქვე, ბიძია, მესხები ცხოვრობენ ჩვენს მეზობლად“ (ელგუჯა ცინაძე).

ჩვენს რესპონდენტებთან საუბარში კიდევ ერთი, უაღრესად საინტერესო ასპექტი გამოკვეთა. საქმე ისაა, რომ დიალექტთა თვითგამიჯვნის პროცესში ენობრივი კოლექტივის წევრები, ფაქტობრივად, „ლინგვისტებად“ გვევლინებიან, ვინაიდან მათ კარგად აქვთ შენიშნული როგორც თავიანთი, ისე სხვა კუთხის წარმომადგენელთა დიალექტისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ბუნებრივია, რომ ეს საკითხი ჩვენი ინტერესის სფეროს წარმომადგენდა და ამიტომ საგანგებოდ ვეკითხებოდით მათ იმის შესახებ თუ როგორ აფასებდნენ მათ ირგვლივ არსებულ ენობრივ გარემოს, ვთხოვდით, დაეხასიათებინათ მეზობელი სამეტყველო კოდის თავისებურებანი, გამოეჯავრებინათ სხვა კოდის წარმომადგენალთათვის. პასუხები ნამდვილად შთამბეჭდავი იყო. თითოეულ მათგანს კარგად აქვს შენიშნული სამეტყველო კოდთა განსხვავება:

ელგუჯა ცინაძე, იმერელი:

- „ჩვენ ვიცით მაგალითად საქონელი წამოდენე, **ამათმა** იციან: წამასხი საქონელი“;

- **„ჩვენ** რო დაიძახებ ოჯახში, ბატონო, ასე ვიცი პასუხის გაცემა. **ამგენმა** არა, ჰე, რომელი ხარ“;
- „ბალო, რაა ჩადი, ე, მაიხედე აქეთ, კაცო. სად მიდიხარ, ბიჭო, პასუხსაც არა მცემ“.

იულია ზედგინიძე, მესხი:

- „იმერლები ხო **აქანა** და **იქანა** იციან“.

ნინა ჯვარიძე, მესხი:

- „რა ვიცი, აბა, მთიულების საქმე, **ჩვენ მესხელები ვართ, ჩვენ ჩვენებურად ვლაპარაკობთ, ისინი მთიულურად ლაპარაკობენ**. ეხლანდელი მომავალი მაინც ჩვენ ენაზე ლაპარაკობს, მთიულურად აღარ ლაპარაკობენ და აი, ჩემი ხნის ხალხი, იქიდან ვინც არის ჩამოსული, ის ლაპარაკობს მთიულურად. იმერულიც ეგრეა“.

ამ დიალექტური კუნძულის შესწავლისას იდენტობის მარკერთა საინტერესო ოპოზიციური წყვილები იკვეთება: **ჩვენ — ამათ (ამგენმა)**

- **„ჩვენ** ვიცი მთავალითად საქონელი წამოდენე, **ამათმა** იციან: წამაასხი საქონელი“;
- **„ჩვენ** რო დაიძახებ ოჯახში, ბატონო, ასე ვიცი პასუხის გაცემა. **ამგენმა** არა, ჰე, რომელი ხარ“;

აღნიშნული წყვილი აქტიურდებოდა მაშინაც, როდესაც მესხეთის ადგილობრივი და მიგრირებული მოსახლეობა კერძების შესახებ გვესაუბრებოდა:

- **„ჩვენ** ვიცოდით, **ამათ (ამგენმა)** არ იცოდენ.
- **„ჩვენმა** ხალხმა ასწავლა სუყველაფერი: ჭამაც, დალევაც, გაკეთებაც, სტუმრის მობრძანებაც, რა იცოდნენ“;
- „კერძები, საცივი **ამათმა** არ იცოდენ რა იყო, **ჩვენ** ჩამევიტანეთ, ეს საცივის გაკეთება იქიდან. ჩვენ ხინკალი არ ვიცოდით, **ამგენისგან** ვისწავლეთ აქ, ხინკალი აქ მზადდებოდა, ასე, ჩემი ქალბატონი. ჩვენი ტრადიცია იყო კარგი საცივი, კარგი ღომი ზედ მერე, კარგი ცივი ღვინო ჭინჭილათი და ასეთი რამე.“ .

ასევე: **აქაური — იქაური, ჩვენებური — ადგილობრივი...**

მერაბ რობაქიძე

„თავ“ სიტყვით შედგენილი ორი ანტონიმური კომპოზიციის შესახებ ქართულ ენაში

1. **„თავ“** სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნული თვისებების გამოსახვაში აქვს. იგი ენაცვლება ძველ ხელნაწერულ იკითხვისებში ისეთ სიტყვებს, როგორცაა **გული, სული, გონება**, რომლებიც ასევე მთლიანპიროვნული სემანტიკის მატარებელიც არიან. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხელნაწერებში არეულია ეს მნიშვნელობები — ისინი სემანტიკურ პლანში კვეთენ ერთმანეთს, როგორც მთლიანპიროვნული შინაარსის სიტყვები. ამ ცნებათა პიროვნულ მნიშვნელობას გვიდასტურებს აგრეთვე მათთან **„კაც“** სიტყვის მონაცვლეობა.

2. **თავს**, როგორც ცალკე აღებულ ლექსიკურ ერთეულს, ქართულში არა ერთი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივია, რომ ამ თავისი პოლისემიური მნიშვნელობებით შედის კომპოზიტებში. ამასთან, **თავი** კომპოზიტებში გვიჩვენებს სიმბოლურ-გადატანით სემანტიკას — იგი **მთლიანი პიროვნების** მნიშვნელობით იტვირთება.

3. **თავისუფლება** კონცეპტუალური სემანტიკის შემცველი კომპოზიცია იგი ადამიანობის იდეას გამოხატავს და სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებით გადმოიცემა ქართულ ენაში (აზნაურება, ვსნა, განრინება). **თავისუფლების** იდეის არსებითი მარცვალი ადამიანის მონური ყოფისგან განთავისუფლებაა. ეს იდეა განსაკუთრებული სიმძაფრითაა მოწოდებული „ვეფხისტყაოსანში“. თავისუფლების მოპოვებამდე ადამიანი ვილაცის ან რილაცის მონაა, მას დიდი შინაგანი ძალისხმევით უხდება „ვნებისგან“ (ცოდვისგან) განთავისუფლება და თავისი თავის პიროვნებად დადგინება. ვნებათაგან ხსნა და განრინება. **თავისუფლება** სიკეთესთანაა წილნაყარი. შდრ. **თავგნსიერი (საბა), თავგნსილი** (მთიულ.)=თავისუფალი.

თავისუფლება რომ **მონური** მდგომარეობიდან (ფართო გაგებით — ფიზიკური და სულიერი) ხსნაა, ეს გენიალური მხატვრული გადაწყვეტითაა მოცემული რუსთაველის პოემაში, რომელშიც არაერთ საყურადღებო გამონათქვამს ვხვდებით ადამიანის უმაღლესი ღირებულებისა და ღირსების შესახებ. ავთანდილის წერილში როსტევისისადმი ნათქვამია: „მიეც ვლახაკთა საჭურჭლე, **ათავისუფლე მონები**“. ანდა: „შიში ვერ **გინსნის** სიკვდილსა“. რა თქმა, უნდა, მცდარია

პომის იკითხვისები: „შიში ვერ **იხსნის** სიკვდილსა“, რადგან **ხსნა, თავისუფლება** წინააღმდეგობის დაძლევა (რიდაციგან ან ვილაციგან **განთავისუფლებით, ხსნით, განრინებით, დისტანცირებით**) მოიპოვება.

„**თავისუფლება**“ ორი სხვადასხვა ფუძით შედგენილი კომპოზიტია, ძველი ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის კუთვნილი სიტყვაა და მისი გააზრება ქართველი ერის ეროვნული გონის ორიგინალური ფილოსოფიური გამოხატულებაა. ეს სიტყვა დასტურდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, ბიბლიაში.

4. საყურადღებოა შესიტყვება „**თავის შეეკრა**“, რომლის სემანტიკა **პიროვნულ რღვევას** უკავშირდება, რაც პიროვნების მთლიანობის დეფორმაციის უკიდურესი გამოვლენაა. „კრულობა“ პიროვნების მთლიანობის რღვევის უკიდურესი ხარისხია, ვნებათა უკიდურესი გამძაფრებაა, უმძიმესი შინაგანი ვნებაა. საყურადღებოა ერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“: „**თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულებ?**“ — ეუბნება ავთანდილი ტარიელს (876.4) და კონტექსტიდან სრულიად ცხადია, რომ „შეეკრაში“ პომის ავტორი გულისხმობს ტარიელის გაუწონასწორებელ სულიერ მდგომარეობას, მის უკიდურეს სასოწარკვეთას.

5. ნაშრომში სტრუქტურულ-სემანტიკურ ასპექტში „თავისუფლების“ ცნებასთან მიმართებით გაანალიზებულია სომხური შესატყვისები — **ხნքნასოტრ** [ინქნატერ], **ხნքნჩქასან** [ინქნიშხან], **ანძნასოტრ** [ანძნატერ], **ანძნჩქასან** [ანძნიშხან], **აყაყა** [აზატ].

ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

მიმღეობის ერთი ზმნური კატეგორიის შესახებ ბაცბურ (წოვა-თუშურ) ენაში

ბაცბურში, როგორც ცნობილია, მიმღეობსათვის დამახასიათებელია ზ მ ნ უ რ ი ნ ი შ ნ ე ბ ი ც, მსგავსად სხვა ენებისა: ასპექტი, დრო (უწინარეს-შემდგომითობა)...

სპეციფიკურია მიმღეობის ფუნქცია შესიტყვებაში — სახელი + მიმღეობა + სახელი: ი გ ი ს ა ხ ე ლ ს მ ა რ თ ა ვ ს ბ რ უ ნ ვ ა შ ი ი ს ე -

ვ ე, როგორც ზ მ ნ ა. ზმნასთან ანალოგიურია აგრეთვე გ რ ა მ ა - ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ე ბ ი ს ასახვა მიმღეობაში.

მიმღეობა არსებით სახელთან მსაზღვრელის ფუნქციით გვხვდება (დაცინო ჯავ — გათიბული ყანა). საზღვრულ სახელს მიმღეობა უთანხმდება გარკვეული ფორმით ზედსართავი სახელების ანალოგიურად; სახელობითისაგან განსხვავებულია ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფორმები: სახ. **დალ'ინო ტათებ** „მიცემული ფული“, ერგ. **დალ'ინო ტათებუვ**, ნათ. **დალ'ინო ტათებუ**, მიც. **დალ'ინო ტათებუნ**... ეს წესი იმ შემთხვევებზეც ვრცელდება, როდესაც საზღვრულ მიმღეობას თავის მხრივ ახლავს მსაზღვრელი: სახ. **ას ათინო თუან** „ჩემი დანაყილი მარილი“, ერგ. **ას ათინო თუხოვ**, ნათ. **ას ათინო თუხო**...

მსაზღვრელ მიმღეობას ჩვეულებრივ ახლავს მსაზღვრელი, მასთან მიმღეობა საზღვრულის ფუნქციით გვხვდება: **აგას დიდენო ჩინდრი** „ბებიას მოქსოვილი წინდები“. ასეთი საზღვრული შეიწყობს სუბსტანტიურ მსაზღვრელს ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი ან ე რ - გ ა ტ ი უ ლ ბ რ უ ნ ვ ა შ ი.

მიმღეობას აქვს მოქმედებითი გვარისა (აქტიური) და ვნებითის (პასიური) მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ა: **აბუან** „1, მკერავი; 2. შესაკერი“. მათი გამიჯვნა ხდება სინტაქსურ დონეზე. დასტურდება ორი სახის მიმღეობური კონსტრუქცია: I. **ნანას თეტუან მაგნ** „დედის დასაჭრელი პური“; II. **მაგნ თეტუან ნან** „პურის დამჭრელი დედა“. ორივე კონსტრუქციისათვის ამოსავალი გარდამავალი ზმნის კონსტრუქცია — **ნანას თეტო მაგნ** „დედა ჭრის პურს“.

I კონსტრუქციიდან (ნანას თეტუან მაგნ) შესიტყვებაში (მსაზღვრელ-საზღვრული) **თეტუან მაგნ** — **მაგნ** საზღვრულია, **თეტუან** — მსაზღვრელი. ამ მიმღეობური კონსტრუქციისათვის ამოსავალ ზმნურ კონსტრუქციაში, — **ნანას თეტო მაგნ**, — **მაგნ** ო ბ ი ე ქ ტ ი — დამატებაა, ამდენად, — პ ა ს ი უ რ ი. შესიტყვებაში იგი, მაქვემდებარებელი ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი, შეიწყობს თავის მსაზღვრელ მიმღეობას და მას პ ა ს ი უ რ მნიშვნელობას ანიჭებს. მსაზღვრელი მიმღეობა ნაწილობრივ ინარჩუნებს ზმნურ ნიშანს: მართავს მხოლოდ სუბსტანტიურ მსაზღვრელს — სახელს (რომელიც მომდინარეობს ზმნური კონსტრუქციის ს უ ბ ი ე ქ ტ ი დ ა ნ — ქვემდებარედან) ე რ გ ა ტ ი ვ შ ი (**ნანას**), ზმნური კონსტრუქციის ო ბ ი ე ქ ტ ი (დამატება) **მაგნ** მასთან საზღვრულად დაჩნდება და არ არის მართული მიმღეობისაგან: მსაზღვრელი მიმღეობა დაქვემდ-

ბარებულა საზღვრული სახელისადმი, შეეწყობა მას ატრიბუტული მსაზღვრელის ფორმით (იხ. ზემოთ).

აქაც, შესიტყვებაში — მსაზღვრელ-საზღვრული, ბაცბურისათვის საერთო წესის თანახმად, მსაზღვრელი მიმღეობა **პირველ ადგილზეა**, საზღვრული სახელი — მეორეზე (**თეტუანნი მაძვნი „დასაჭრელი პური“**).

II კონსტრუქციაში, — **მაძვნი თეტუანნი ნანი, — ნანი** საზღვრულია, აქტიური, ზმნური კონსტრუქციიდან. მიმღეობას (თეტუანნი) იგი აქტიურ მინაარსს (მჭრელი) ანიჭებს. მსაზღვრელი მიმღეობა ვერ მართავს თავის საზღვრულს (**ნანი**). ამავე დროს **თეტუანნი** საზღვრულია სუბსტანტიური მსაზღვრელისა (**მაძვნი**) და მას მართავს სახელობით ბრუნვაში ისე, როგორც სათანადო ზმნური კონსტრუქციის ზმნა. აქაც სუბსტანტიური მსაზღვრელი (**მაძვნი**) პირველ ადგილზეა, საზღვრული მიმღეობა (**თეტუანნი**) — მეორეზე, მას მოქმედებითი გვარის (აქტიური) მნიშვნელობა აქვს.

მიმღეობა ინარჩუნებს სახელის მართვის ზმნურ თავისებას ნაწილობრივ: ერთი მხრივ, როგორც საზღვრული, ზმნის ანალოგიურად, სუბსტანტიურ მსაზღვრელს მართავს ბრუნვაში, მეორე მხრივ, საზღვრული მისგან უმართავია, პირიქით, თვითონ (მიმღეობა) შეეწყობა საზღვრულს, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

ღე/-ღენ/-ღენ/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა ნაწილაკის შესახებ სვანურში

ვარლამ თოფურია სვანურ ნაწილაკებზე მსჯელობისას გამოყოფს რამდენიმე გაურკვეველი მნიშვნელობის ნაწილაკს. ესენია: **ღენ, ენგი, გომნი, მირ** და **ჭურ**.

ამჯერად ჩვენ შევეხებით **-ღენ** ნაწილაკს, რომელიც საკმაოდ პროდუქტიულია სვანური ენის სამ დიალექტში: ბალსზემოურში, ლაშხურსა და ლენტეხურში და, აგრეთვე, ჩოლურულ მეტყველებაში, ხოლო ბალსქვემოურში აღნიშნული ნაწილაკის ხმარება არც

პუბლიკაციებში და არც თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში არ დაგვიფიქსირებია.

-ღენ ნაწილაკი სვანურში სხვადასხვა დიალექტურ ნაირსახეობებს იძლევა: (ბზ.) **-ღე¹**, (ბზ., ლშ.) **-ღენ**, (ბზ., ლშ., ჩოლ.) **-ღენ**, **-ღენა**, (ბზ., ქს.) **-ღენა**, (ბზ., ლნტ.) **-ღენა**, (ჩოლ.) **-ღენაა**, **-ღენი**.

როგორც ცნობილია, სვანურში ნაწილაკთა რამდენიმე ფუნქციურ ჯგუფს გამოყოფენ, რომელთა ერთ ნაწილს, ქართულის მსგავსად, სუფიქსური ელემენტის სახე აქვს, მეორე ნაწილს კი — დამოუკიდებელი სიტყვისა და ისინი, როგორც ცნობილია, ზმნასთანაც დასტურდება და — სახელთანაც.

-ღე/-ღენ/-ღენ/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენაა/-ღენი თანამედროვე სვანურში, ერთი შეხედვით, ფუნქციადაკარგული ნაწილაკის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი გამოიყენება როგორც ნებისმიერი მეტყველების ნაწილთან (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი)², ასევე სახელზმნასთანაც (საწყისთან და მიმღეობასთან). აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაერთვის ზმნისწინსა და ზმნას შორისაც:

1. **არსებითი სახელი + -ღენ** ნაწილაკი (მაგ.: ბზ. **მეცქჷთილღენ** ლოხტუზეზი! „მოდო და მოციქულს გაეუგზავნი!“ ლნტ. მიშგუთი გჷპარ ძირძტელ გჷპარღენ ლი ედ სოფელისა „ჩემი გვარი ძირძველი გვარია იმ სოფელში“...).

2. **ზედსართავი სახელი + -ღენ** ნაწილაკი (მაგ.: ლნტ. ალე მანდ მაკუ, **ხოჩაღენ** ამიჯდ! „ეს არ მინდა, ერთი კარგი („კარგილა“) მომიტანე!“ ჩოლ. **ხოლაღენ** ეჩხი ეთიტხ! „აბა, ერთი, ცუდი იქით გაწიე („დაიბრუნე“)“!...).

3. **რიცხვითი სახელი + -ღენ/-ღენა** ნაწილაკი (მაგ.: ლნტ. **სემიღენ** მანწუნ! „აბა, ერთი, სამი („სამილა“) მაჩვენე!“ ჩოლ. ქა მანწე **ეშხუნენა!** „მანახე, აბა, ერთი!“!...).

4. **ნაცვალსახელი + -ღე/-ღენ/-ღენ/-ღენა** ნაწილაკი: ა) **პირის ნაცვალსახელი + -ღენ/-ღენა** ნაწილაკი (ბზ. „ბაბდ ხწქტინ ჭყინტს“: **მალო, სიღენ** ლანდი მი ლანმმარჯუ! „მღვდელმა უთხრა ბიჭს: „აბა, შენ

¹ აღნიშნული საანალიზო ფორმა ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონის“ მიხედვით იგივეა, რაც **ღენ** (იხ. გვ. 793), თუმცა სალექსიკონო სტატიაში (იხ. გვ. 794) **ღე** ნაწილაკი გამოტოვებულია. როგორც ჩანს, შემთხვევითაა გამორჩენილი.

² ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს შორისდებული, რომელთანაც ვერ დავადასტურეთ.

(„შენლა“), ერთი, დღეს მე დამეხმარე“!...), ბ) ჩვენებითი ნაცვალსახელი **მიჩ** „მას“ + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -**უ** „მცა“ + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -**უთი** „მცა“ + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო“ + **-დენ** ნაწილაკი (ბზ. ჭყინტდ ხაჭუ: ძალო, **მიჩუთი ესერდენ ლახტემს!** „ბიჭმა უთხრა: აბა, ერთი, მეც („მასმცამცაოლა“) მომეციოთ („მისცეს“)“!), გ) **კითხვითი ნაცვალსახელი** + **-დენ** ნაწილაკი (ლშხ. დესამა ხომვერან, მიჩ **მადდენ** ხადახ ალდარ „არაფერი იცოდა („გაეგებოდა“), მისთვის („მას“) ვინ იყვნენ ესენი („რალა ჭქონდათ ესენი“), დ) **კითხვითი ნაცვალსახელი** + **-დენ** ნაწილაკი + **ჟმა** „-ც“ ნაწილაკი (ბზ. მინუ ლგჰთ ლიხ, ეჩდარე ლაწადთე მრდე აჩეხ, **მადდენ-ჟმა** ესერ ამთანარ ლიხ ეჯდარე?! „ჩვენ („თვითონმცა“) დაწყველილი ვიყოთ („არიან“), იმათ („იმეები“ს“) სანახავად თუ არ წავიდეთ („წავიდნენ“), ამისთანები ვინ („რალამცა“) არიან ისინი“?), ე) **კითხვითი ნაცვალსახელი** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ლოქ** „-ო“ + **-დენ** ნაწილაკი (ლშხ. თეურ მაროლდ ლქქუ: **დარ ლოქდენ** ლემარ ალე უოჯახაშენებულ? „უსინათლო კაცმა თქვა: „ნეტა ვინ იყო ეს ოჯახაშენებული“?), ვ) **კითხვითი ნაცვალსახელი** + **-დენ** ნაწილაკი + **ჟმა** „-ც“ ნაწილაკი + დროის ზმნისართი **ჩიქა** „დროს“ (ლშხ. მკერონტალე ლომდ ლიტეხს დეშერ იმვერი, **მადდენჟმა ჩიქა** ტეხნის „წეროების უკან დაბრუნებას ვერავინ იგებს, თუ რა („რალამცა“) დროს ბრუნდებიან“...).

5. **ზმნის ფუძე** + **-დენ/-დენა/-დენა** ნაწილაკი (ბზ. **აღედენა!** „წამოდი („წამოდილა“), ერთი“!...): ა) **ზმნის ფუძე** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **-იჯ** „-მეთქი, -თქო“ + **-დენ** ნაწილაკი...

ბ) **ზმნისწინი** (მარტივი ან რთული) + **-დენ/-დენა** ნაწილაკი + **ზმნის ფუძე** (ბზ. **ჟილენ** ახმარან! „მოდო და მოემზადე“!..) : ა) **ზმნისწინი** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო“ + **-დენა** + **ზმნის ფუძე** (ბზ. ალ ხელწიფი გეზალდ ადჭკურე: **ჩუ ესერდენა აკრე** ალ ოთახი ყორს, მამ ესერ ორი, ორი „ამ ხელმწიფის შვილმა იფიქრა: გავადებო („გა-ა-კარ-ებ-ს-ო“) ამ ოთახის კარს, რაც იქნება, იქნებაო“...), ბ) **ზმნისწინი** + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -**უთ** „მცა“ + **-დენ** ნაწილაკი (ბზ. ... ზურალდ ხაჭუ „ალას“: ჟდ, ჯ'ესერ ყახხა, **ჩ'უთდენ** ესერ ესგენე, ამნიწნდ ესერ მჭუ ხაყრის მიჩ მიჩა ჭაშუმე! „ქალმა უთხრა ამას: ვუი, შე („თვითონო“) კახავ, მოიცა („და-დგ-ამცა-კენ-ო“), ამისთვის რა გიქნასო („დამართოს“) შენ („მას“) ჩემმა („მისმა“) მეუღლემ („კაც-მა“)“!...), გ) **ზმნისწინი** + გაძლიერებითი ნაწილაკი **-ად** „კიდევ, კვლავ“ + **-დენ** ნაწილაკი (ბზ. „ხტეჯედ ხაჭუთინ ალას“: ძალო,

სგ'ადდენ ათჩინან მერმა ხორელს! „ხვეჯემ უთხრა ამას: აბა, ისევ შექვერი („შე-ე-ჩხ-ირ-ა“) მეორე გროვაში („**ხროვა-ს**“)“!...), დ) **ზმნისწინი** + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი **-აუ** „მცა“ + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო“ + **-დენ** ნაწილაკი + **ზმნის ფუძე** (ბზ. მგხმგრიდ ხაშუტმინ: **ქაუთ ესერდენ** ლახტემს! „მელორემ სთხოვა: მომეციოთ („მისცესმცაო“), ერთი“!...), ე) **ზმნისწინი** + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი **-აუ** „მცა“ + **ზმნის ფუძე** + **-დენა** ნაწილაკი (ლშხ. ... მართალ მაროლდ „ხეტქუ“: **ქაუთ ოხვიდდენა** გობ „მართალმა კაცმა უთხრა: აბა, ერთი, გობი გამომიტანეო“!...).

7. **ზმნისართი** + **-დენ/-დენა** ნაწილაკი: ა) **დროის ზმნისართი** + **-დენ** ნაწილაკი (ლშხ. ლაგუანი სგობნე ლადელ აზხიხ მებჰინაღის, ერე ჟ'ახმვერალტენახ ასაბიადს, **შომადდენ** ხერის ლაგუან „გასვენების წინა დღეს აგზავნიან მაცნეებს („შემეტყობინებელს“), რომ გააგებინონ ნათესაობას („ასაბია-ს“), თუ როდის ექნებათ გასვენება“), ბ) **ადგილის ზმნისართი** + **-დენ** ნაწილაკი (ლშხ. **იმთდენ** ხარ ლეზი, ეჩა მამ ხოხალ „სად („საითკენლა“) უნდა წავიდეს („აქვს სავალი“), ის („იმისი“) არ იცის“...), გ) **კითხვითი ზმნისართი** + **-დენ** ნაწილაკი (ლშხ. მიჩა მუ **იმჟიდდენ** ათუაფ, ალე ჩუ ხახლენა (ლშხ., სვ. პროზ., გვ. 62:14) „მამამისი როგორ დაიკარგა, ეს სცოდნია“...), გ) **მიმართებითი ზმნისართი** + **-დენ/-დენა** ნაწილაკი (ბზ. „ამნემ ხაჭუ“: ეჩიშ დესამა მიხე, ისგუა ქესაშ, **იმჟაიდდენ** ჯირი „ამან უთხრა: მისი არაფერი არ ვიცი, ე, შენი ქისის, სად („სადალა“) გაქვს („გყავს“)“, ლშხ. ანჯად **იმხენიდდენ** „ალე“ „საიდანლაც მოვიდა ეს“...), დ) **განუსაზღვრელობითი ზმნისართი** + **-დენ/-დენა** ნაწილაკი (ლშხ. ამეჟი ამკალიბ არაკს აბმუთხი: ეშხუ ლოქ „მუხტბე“ ჩუმესედ **იმჟიდდენ** შდამშუდ „ამაზე ასეთ არაკს ყვებიან: ერთი ძმა დარჩაო სადალაც მარტო“...).

სვანურ საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ **-ჟაღე**, **-მოშ** ნაწილაკების გარდა განუსაზღვრელობითი ზმნისართის მისაღებად **-დენ** ნაწილაკიც გამოიყენება, რომელიც სიტყვას მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს.

ბ) **თანდებულიანი სახელი** + **-დენ** ნაწილაკი: ა) **თანდებულიანი სახელი** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო“ + **-დენ/-დენა** ნაწილაკი (ბზ. ეჩქა როსტომდ ხაჭუ „ალას“: ე, **ძულუათ'ესერდენ** ნოსაუ ოთქუარა, ადო ხმელნთს ესერ ჯად ჟ'ანმარგი „მამინ როსტომმა უთხრა ამას: ე, ნეტავი ზღვაში არ („ნუ-მცა“) გადამაგდოსო („გადაუგდია“), თორემ ხმელეთზე მეც („თვითონაც“) ვივარგებო“), ბ) **თანდებულიანი სახელი** + **-დენ/-დენა** ნაწილაკი + ნაწილაკი **ჟმა** „-ც“.

9. კავშირი + -დენ/-დენ/-დენა/-დენა ნაწილაკი.

10. ნაწილაკი + -დენ/-დენ/-დენა/-დენა ნაწილაკი.

11. სახელშენი (მასდარი ან მიმღობა) + -დენ/-დენ/-დენა ნაწილაკი (ბზ. ...მიჩა ზნაზრას ხაქუ "ხელწიფდ": ევა მანდედ ლიყრულდენ ოლბინად გუშგუდ ლაჩაქირს „თავის („მის“) ვეზირებს უთხრა ხელმწიფემ: ის კი არა და დარაჯობა („უარაულ-ობ-ა“) დავუწყოთ ჩვენს თავლას“) და ა. შ.

ჩვენი დაკვირვებით, -დენ/-დენ/-დენა/-დენა/-დენა/-დენა/-დენა ნაწილაკს სვანურში, ერთი შეხედვით, გააჩნია რამდენიმე ფუნქცია, კერძოდ, იგი გამოიყენება განუსაზღვრელობითი ნაწილაკის ფუნქციით, გვიჩვენებს მიმართულებას და მასთან დაკავშირებულ სიტყვას თითქოს მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი პირვანდელი ფუნქცია სვანურში სხვა ნაწილაკებთან შედარებით შესუსტებულია და უმეტეს შემთხვევაში კონტექსტის მიხედვითაც კი ჭირს საანალიზო ლექსემის ფუნქციის გარკვევა.

რაც შეეხება აღნიშნული ნაწილაკის წარმომავლობას, შესაძლოა, შემოსული იყოს ქართულიდან (შდრ. ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული უძველესი ნაწილაკი -ყე/-ყენ) ანლაუტში დ/ყ თანხმოვანთმონაცვლეობის შედეგად.

მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის სუფიქსის შესახებ ზმნათა ერთ ჯგუფში

ძველ ქართულში გამოიყოფა ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელთაც შესიტყვებაში პირდაპირი დამატება არ ეძებნება, ზმნის მორფოლოგია კი II სერიის მწკრივებში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას მიგვანიშნებს. ასეთი ზმნებია: შეხედ-ნ-ა (მოხედ-ნ-ა, შთახედ-ნ-ა...), განიცინ-ნ-ა, განიღიმ-ნ-ა, შემოგუჭურიტ-ნ-ა, აღმოიჭურიტ-ნ-ა, იმუხლ-ნ-ა..., იყურ-ნ-ა, იკრხილ-ნ-ა, იკრხილ-ნ-ა, აღიმღერ-ნ-ა, აღიყფ-ნ-ა...

რა თქმა უნდა, პარალელურად ეს ზმნები გვხვდება ნ-ს გარეშე: განიცინა, განიღიმა... დასახელებული ზმნებით ნაგულისხმევი

მოქმედებანი ადამიანის (ან ცხოველის) სომატურ ორგანოთა (თვალი, ბაგე, პირი, მუხლი...) სათანადო ფუნქციას აფიქსირებს.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ანტ. კიზირია, ი. იმნაიშვილი...), პირდაპირი დამატების არქონა ამ რიგის ზმნათა შესიტყვებაში მეორეულია.

მსგავსი სემანტიკის ზმნათა ანალოგიით (მაგ., აღიხილნა თუ-აღნი...), შეხედ-ნ-ა, შემოგუჭურიტ-ნ-ა ზმნათა შესიტყვებაში პირდაპირ ობიექტად ასევე თუაღნი აღდგება: შეხედ-ნ-ა, შემოგუჭურიტ-ნ-ა *თუაღნი-ი (შდრ., ძვ. ქართ. სახედველი „თვალი“ ი. აბულაძე, 1973). ასეთი აღდგენის რეალურობას ზოგჯერ კონტექსტიც ადასტურებს: „აღიხილნა ნიკონ თუაღნი და მიხედნა მ.ცხ. 257,11 (გ. იმნაიშვილი, 1975, 425). განიღიმნა, განიცინნა ზმნების შესიტყვებაში შესაძლო პირდაპირ ობიექტად ბაგენი ივარაუდება (სარჯველაძე, 1982, 555¹, გ. იმნაიშვილი, 1975, 425). ამ ვარაუდის სემანტიკური არგუმენტაციისათვის მნიშვნელოვანია სიცილისა და ღიმლის საბასეული განმარტება: სიცილი... განყოფანი სიცილთანი ესე არს: ღიმლი არს სიცილი სიმშვიდით, უქმო, ბაგეთა ოდენ შეეტყობოდეს; სიცილი არს მცირედ ჳმიანი და მდაბალი“, ღიმ-ღიმი „პირის შეცინილი“... სიცილისა და ღიმლის პროცესებში პირის, ბაგების მონაწილეობას ძვ. ქართულის სათანადო კონტექსტებიც ადასტურებს: მღიმვართა პირითა ეტყოდა დუკსა (პატ. I, 83-45); ბაგის-ყოფა დაცინვა, „კიცხვა“ ბაგეს-მოყოფდენ მე O, — მეკიცხვიდენ მე pb (იერემ. 38, 19) (აბულაძე, 1973).

ბუნებრივია, იმუჯლ-ნ-ა ზმნისათვის პირდაპირ დამატებად ასევე სომატური სახელი მუჯლი იგულისხმება: „ხოლო იგი მივიდა საკურთხევლად, იმუჯლნა და მუნ დასთხია სისხლი თვისი“ (კლარჯ. მრ. 1991, 357); შდრ., იმუჯლნა (მრკ. 10,17) C მუჯლნი და-იდგნა DE (ამ და მსგავსი ფაქტების სხვაგვარი გააზრებისათვის იხ. ლ. ნოზაძე, 1974, გვ. 51; 2005. გვ. 228).

განსხვავებული ვითარება გვაქვს „ხმიანობის“ გამომხატველ ზმნებში იკრხილნა, აღიყფნა, იყურნა და ა.შ. როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვში დასმული პირდაპირი დამატების აღდგენა შესიტყვებაში ამ სემანტიკის ზმნათა მორფოლოგიით შეუძლებელი არ არის, მაგრამ ბევრ კითხვას აჩენს. შდრ.: „აღიყუფ-

ლა ყოველმან ერთბაშად დადებდა დიდი და ძლიერი“ (ისუ ნ. 6,20 G). „დიდად რა დამე აღმოიფშვნა. ერთგზის ხოლო, და მისცა წმიდად სული თვისი წმიდათა ანგელოზთა“ (ცხ. გ. მთაწმ. 397,14).

განხილულ ზმნათა შესიტყვებებში პირდაპირი დამატების ოდინდელი არსებობის ერთგვარ საკონტროლო საშუალებად შეიძლება გამოდგეს საგულვებელი პირდაპირი დამატების ნაცვლად შესიტყვებაში ამავე ფუძის მოქმედებითბრუნვიანი სუბსტიტუტის ჩანაცვლებაც (სუხიშვილი, 2007, 31-32): მოხედნა (რიცხვ. 16,5), შდრ., მოხედნა თუალითა (ლიმ. 115,9); „და მოვიდეს იგინი მისა პარესა მას და იკრხილნა მწარედ“ (პარხლ. მრავალთ. 324 v, 28-30 b); შდრ., „იკრხილნა ჳმითა მალლითა, ვიდრემდე მშობელთაცა მისთა განუკრდა“ [იქვე 327 v, 10-12 b] (სარჯველაძე, 1995)...

გამორიცხული არ არის, რომ „ხმიანობის“ აღმნიშვნელ ზმნებში -**ნ** გვიანდელი ჩანართი იყოს. ეს -**ნ** მოგვიანო ხანის ძეგლებშიც დასტურდება: იყვირ**ნ**ა (ქ. ცხ. II 88,20). აღიზახ**ნ**ეს (ქ. ცხ. II 249,5), დაიყვირ**ნ**ა (რუსულ. 44, 8)... საყურადღებოა, რომ ამგვარ ზმნებთან შეხამებული განსაზღვრების ტიპის სახელები მრავლობით რიცხვში დვანან და ზმნასთან ერთად მოქმედების ინტენსივობის ფუნქციას გამოხატავენ: დაიყვირ**ნ**ა საზარელნი მან დევმან (რუსულ. 56, 34-35), ზავ დიდნი დაიჭეხ**ნ**ა (რუსულ. 124, 35) და სხვ.

თ ე დ ო უ თ უ რ გ ა ი ძ ე

დელიმიტაციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის ქართულში (არა ნაწილაკის მიხედვით)

ძველი ქართულის სინტაგმებში ემფატიკურ ხმოვანსა და ზმნისწინებს, აგრეთვე კონექციური კატეგორიის მაწარმოებლებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ დელიმიტაციის უნარი, რაც კარგად ჩანს, ერთი მხრივ, სუბსტანტიური მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთ-

ბაში და, მეორე მხრივ, **არა** ნაწილაკისა (resp. **სადა** ნაცვალსახელის) ურთიერთობაში ზმნათა ფორმებთან: ძვ. ქართულში ბუნებრივია მსაზღვრელ-საზღვრულის /კაცისა ძეჲ/ ტიპი; იქვე უზმნისწინო და ზმნისწინიან ფორმათა წინ ერთნაირად იხმარებოდა **არა** (resp. **სადა**). ამ წესთა მიხედვით თანამედროვე ქართული არსებითად განსხვავდება ძველი ქართულისაგან.

ახალ ქართულში დელიმიტაციის უნარი შეიძინეს ზმნისწინებმაც და კონექციური კატეგორიების მაწარმოებლებმაც: **არა** (resp. **სადა**) დაუშვებელია ზმნისწინთა წინ, აგრეთვე გვარის, ქცევის, კაუზაციის და სიტუაციის მაწარმოებელ პრეფიქსთა წინ: ბუნებრივია /არ დაწერს/, არაბუნებრივია /არა დაწერს/, ბუნებრივია /არ ეხმარება/, არაბუნებრივია /არა დაეხმარება/ და სხვ.

ახალ ქართულში დელიმიტაციის უნარი შეიძინა **-ა** სუფიქსმა სახელთა ბოლოს მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში, მოთხრობით ბრუნვაშიც. თუ სახელი ხმოვანფუძიანია: ბუნებრივია /ძმასა ჰკითხა/, არაბუნებრივია /ძმასა გამოჰკითხა/ — ზმნისწინთა წინ დაუშვებელია გავრცობილი ფორმები.

დელიმიტაციური უნარის ქონა-არქონა ვლინდება თხზულ სახელთა ფორმებშიც იმავე წესით, რა წესიც მოქმედებს **არა** ნაწილაკის დამოუკიდებლად ხმარებისას. ძველ ქართულში გვაქვს რამდენიმე გამონაკლისი (არცა, არლა, შდრ. არავე), რაც აიხსნება სხვა წესთა გათვალისწინებით.

როსტომ ფარეულიძე

პირის ნიშნთა წარმომავლობისათვის ქისტურში

1. ნახურ ენათა ზმნაში, როგორც სპეციალური ლიტერატურიდან არის ცნობილი, პირის ფორმათა გასარჩევ ძირითად საშუალებებად გამოყოფილია: პირთა ნაცვალსახელების გამოყენება პირის ნიშნებად (წოვათუშურში), სხვადასხვა დროული ფორმების გამოყენება (ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტი), გრამატიკული კლას-კატეგორი-

ის ნიშანთა გამოყენება (ჩეჩნური ენის ზოგი დიალექტი, ინგუშური ენა) (დ. იმნაიშვილი).

2. ქისტური დიალექტი პირებს განარჩევს მხოლოდ გარდამავალი ზმნის აწმყოსა და ნამყო უწყვეტლის ფორმებში, კერძოდ, I და II პირთა საზიარო ფორმა უპირისპირდება III პირის ფორმას. შდრ.: ინფ. მაღა⁶ „დაღევა“, აწმყო: I და II პ. მეღ (-ე), II პ. მოღ (-ო)...

3. პირის ნიშნებად პირთა ნაცვალსახელების გამოყენება არ არის წოვათუშურის თავისებურება. პირის ნაცვალსახელთა (გარკვეულ პოზიციასა და ფონეტიკური პროცესების შემდეგ) გამოყენება პირის ნიშნებად ჩვეულებრივია ქისტურ დიალექტშიც. ამ მხრივ მათ შორის განსხვავება უმნიშვნელოა.

4. პირის ნაცვალსახელთა ზმნასთან შერწყმის შედეგად წარმოიქმნება პირის ნიშნები. ქისტურში ზმნის დროულ ფორმებს ერწყმიან CV სტრუქტურის პირის ნაცვალსახელები, რის შედეგადაც იკარგება ნაცვალსახელის ხმოვნითი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ CV სტრუქტურაში ხმოვანი უნდა იყოს სადა, მარტივი. ასეთი სტრუქტურისაა ქისტურში I და II პირის ნაცვალსახელები (I პირის ინკლ. ფორმის გამოკლებით) სახელობითსა და ნათესაობითში (ნათ-ის ფორმანტის ჩავარდნის შედეგად). გარდა ამისა, ამავე სტრუქტურისაა, აგრეთვე, II პირის ნაცვალსახელი ერგატივში (შდრ., ქისტური 'ა, სალტ. ჩეჩნური 'აჰჰ, „შენ“).

5. მოხსენებაში განხილულია ქისტურ ზმნაში პირის კატეგორიის საკითხის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქისტურში, წოვათუშურის მსგავსად, პირის კატეგორია უკვე ჩამოყალიბებულია.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

ორი საერთოქართველური ძირისათვის

1. ქართული ენის იმერხეულ დიალექტში დასტურდება **ფარგ-იელ-ი** „საბძლის წინა ნაწილი, გადახურული“ (შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული).

ამ ფუძის ზანურ შესატყვისად მიგვაჩნია **ფორხ(ვ)-ია**: 1. „დაფევილი, დავარდნილი (ავადმყოფობით), ორივე ფეხით კოჭლი“ (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი). 2. ზოგი მთქმელის განმარტებით, **ფორხვია** არის ნებისმიერი ოდა სახლი. ზოგის თქმით, **ფორხვია** დაძველებული, წაქცევის პირას მისული სახლია, იტყვიან ღარიბულ სახლზეც.

ფორხვია გვხვდება ზმნურ ფორმაშიც: **აკო-ფორხ-უა** „დაფევა, დაჩაჩანაკება“, ეს ძირი წარმოდგენილია მიმღობაშიც: **აკო-ფორხ-ილ-ი** „დაფევილი, დაჩაჩანაკებული“.

სვანურში დასტურდება **ლგფორხ-ალ-ე** II **ლჟ-ფორხ-ალ-ე** „ზერელედ აშენებული“ (მასალა მოგვაწოდა მედეა საღლიანმა).

ჩვენი აზრით, ეს ლექსემა სვანურში მეგრულიდან უნდა იყოს შესული, ვინაიდან, ს.ქ. ა-ს შესატყვისად სვანურში **ო** არაა მოსალოდნელი, ს.ქ. **ჯ** კი უცვლელად უნდა გადასულიყო.

2. ს .ქ. **თხეჟ**, ქართ. **თხევ-ლა** „თევზაობა“; **მ-თხევ-ლ-არ-ი** II **მე-სა-თხევ-ლ-ე** „მეთევზე, მონადირე“; **სა-თხევ-ელ-ი** „ბადე“.

ეს ძირი სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. მარი, გ. კლიმოვი) დაკავშირებულია სვანურ **თხე- II თხჟ** ძირთან. **ხ-ეთხე-ლ-ი** „ეძებს“, **ლი-თხე-ლი** „ძებნა“, **ან-თხე** „მოძებნა“; **მე-თხჟ-ძარ** „მონადირე“, **ლა-თხჟ-ძა** „სანადირო“.

გ. კლიმოვს ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღუდგენია ***თხეჟლ-** არქეტიპი. ჩვენი აზრით, ს.ქ. **თხეჟ-** ძირის შესატყვისი უნდა იყოს ზანური **თხილ-**. მეგრ. **თხილ-უა** „დარაჯობა, მწყემსვა, თვალყურის დევნება, მოფრთხილება“. **მა-თხილ-არ-ი** II **მა-თხილ-ე** „მცველი, მწყემსი“; **ო-თ-ხილ-არ-ი** „საცავი, თვალყურის სადევნებელი“.

ნ ა თ ე ლ ა ქ უ თ ე ლ ი ა

ფონეტიკა-ფონოლოგიის საგნის შესახებ

XX საუკუნემ განსაკუთრებული როლი ითამაშა ლინგვისტიკის როგორც მეცნიერების განვითარებაში. სწორედ მან განსაზღვრა ენა, როგორც საკუთრივ ლინგვისტიკის ობიექტი, თავის სრულ და მრავალმხრივ განზომილებაში.

„ფონემის“ და „მორფემის“, როგორც აბსტრაქტულ ერთეულთა, ახლებურმა გაგებამ საშუალება მისცა ლინგვისტებს შეისწავლონ ენაში არსებული სხვადასხვა იერარქიული დონეები. „ფონემა“ და „მორფემა“, როგორც ენის იერარქიული ერთეულები, ქმნიან რეალურ ენობრივ სტრუქტურებს ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, რომელთა ურთიერთმიმართება აყალიბებს ენას როგორც სისტემას მთლიანობაში.

ჰუმანიტარული მიმართულების არც ერთ დარგს არა აქვს ისეთი ზუსტი მეთოდები, როგორც ენათმეცნიერებას. იმის მიხედვით, თუ როგორც განვითარდება ენობრივ მოვლენათა მეცნიერული სისტემატიზაცია, მისი ალბათობის ხარისხი მით უფრო თვალსაჩინო იქნება იერარქიულ დონეთა ერთეულების სინტაგმატური მიმართებანი, რომლებიც აყალიბებენ ენას მთლიანობაში — როგორც დიაქრონიული, ასე სინქრონიულ ჭრილში.

მეცნიერება ენის შესახებ ისე, როგორც ყველა სხვა მეცნიერება, დოგმათა სისტემა არ არის, ვინაიდან მეთოდები იცვლება. „ფონემა“ სამეტყველო ბგერაა, ის რეალურად არსებობს და ენათმეცნიერების შესწავლის საგანს წარმოადგენს. ენაში, როგორც სისტემაში, თანამოქმედებს ბგერის ფიზიკურ-აკუსტიკური სუბსტანცია და ფუნქცია. სუბსტანციისა და ფუნქციის ორგანული შერწყმის საფუძველზეა შესაძლებელი ენის სხვადასხვა იერარქიულ დონეთა თანამოქმედება, ამაში მდგომარეობს „ფონემის“, როგორც აბსტრაქტული ერთეულის, ახლებური გაგება და არა ფონეტიკისა და ფონოლოგიის დაპირისპირებაში, როგორც ეს ნ. ტრუბეცკოსთან გვაქვს (არნ. ჩიქობავა). „ფონოლოგია როგორც საენათმეცნიერო დისციპლინა სწავლობს სამეტყველო ბგერას ანუ ფონემას სიტყვათგანმასხვავებლობითი ფუნქციის თვალსაზრისით, გამოდის რა მისი (ფონემის) აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური რაობიდან“ (გ. ახვლედიანი).

ფონემა აბსტრაქტია არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იმავეს ამტკიცებენ „ფუნქციონალური ფონეტიკის“ როგორც ფონეტიკის ახალი მიმართულების ჩასახვის და თეორიის ჩამოყალიბების პიონერები: პ. უსლარი, ი. ბოდუენ დე კურტენე, ნ. კრუშევესკი, ლ. შჩერბა, მოგვიანებით, გ. ახვლედიანი და ა. მარტინე.

ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო კურსებში თითქმის დამკვიდ-

რდა ტერმინი — „ფონეტიკა-ფონოლოგია“. ვფიქრობ, ამთავითვე უნდა განიხილებოდეს პრობლემა: არის ეს ტერმინთა დაპირისპირება, თუ არსებითად ერთი და იგივეა — რასაკვირველია, ერთი და იგივეა, ვინაიდან იგულისხმება სამეტყველო ანუ სოციალურად ღირებული ბგერის შესწავლის ორი ასპექტი: ფიზიკური (არტიკულაციურ-აკუსტიკური) და ფუნქციონალური (სოციალური), რაც თავის მხრივ შეიცავს: კოარტიკულაციას და მასთან დაკავშირებულ შიდა და გარე „სანდჰის კანონთა“ გამოვლენას და ამ კანონთა მოქმედების შედეგს; ფონეტიკურ ტენდენციებს, რომელთა ქრონოლოგია და დინამიკა სცილდება კოარტიკულაციურ ქმედებათა სფეროს და გლობალურია ენისთვის, რაც აისახება კიდევ პარადიგმატულ სისტემებში და ფონემატურ სტრუქტურებში; ეკონომიის პრინციპი (ა. მარტინე) და ფონეტიკური ცვლილებები; ფონემატური სისტემის დიაქრონიული ტრანსფორმაცია; ფონოტაქტიკა; უნივერსალური ფონეტიკური კანონები და მათი შეზღუდვა დროითა და სივრცით; სხვა კანონის ჩარევა და კანონის რეინტერპრეტაცია; და ბოლოს — განსაზღვრავს თუ არა ფიიკური და ფუნქციონალური ასპექტების თანაჟამიერი მოქმედება ენის ფონემურ და მორფოლოგიურ დონეთა მოდელის ჩამოყალიბებას.

მიხეილ ქურდიანი

კახიანების გვარის წარმომავლობისათვის

კახიანების საგვარეულო საქართველოში, ბალსზემოთა სვანეთში — მულახის ქვეყნის (resp. თემის) მუჟალის მხარის (მდინარე მულხრას მარცხენა ნაპირი) სოფელ ჟაბეშში სახლობს.

კახიანთა გვარის წარმომადგენლები XIV საუკუნიდან მოიხსენებიან წყაროებში (მაგ.: XIV-XV სს. ბინ[დე] კახიანი დამოწმებულია, როგორც „მოურავი“ ანუ მედიატორი; XV ს. ბაბონაი კახიანი დამოწმებულია საბუთში, როგორც მოწმე; XV-XVI სს. ძვიად კახიანი დამოწმებულია როგორც „მოწმე“ და სხვ. იხ. სვანეთის წერილობითი ძეგ-

ლები, ტ. I, თბილისი: „მეცნიერება“, 1986). თუმცა, ეს წყაროები ძირითადად მესტიურია და არა მულახური, მაგრამ ამაში არაჩვეულებრივი არაფერია, ამავე დოკუმენტებში სხვა მულახ-მუჟალური გვარებიც გვხვდება. საქართველოს სხვა კუთხეებში (თბილისი, სამტრედია, ქუთაისი...) კახიანის გვარის ხალხი სწორედ ჟაბეშიდან არის განსახლებული.

მულახში არსებული გადმოცემის თანახმად, კახიანების საგვარეულო არაპომოგენურია და ორ შემადგენელს შეიცავს: პირველი კახიანები ძირად ქაშაგები ანუ ჩერქეზები // ადილები ყოფილან და „კესარის“ დროს (სვანურში **კესარ** აღნიშნავს ზოგადად „დიდ მეფეს“, „მეფეთ-მეფეს“) დასახლებულან მუჟალში (მ. ქურდიანის ეტიმოლოგიით: **მუჟალი** იგივე ძირია, რაც ქართული **მზვარე** და ზნაური **მეორა** და ნიშნავს „მზიურ ადგილს“). მუჟალელთა მიერ მონათესავე ქაშაგთა, რომლებსაც ქართველური ტომები აღიქვამდნენ „თვისად“ და არა „უცხოდ“, დიდი და ძლიერი ოჯახების თავისთან ჩასახლება და თემის წევრებად მიღება მულახელებთან ტრადიციულ ქიშპობაში საკუთარი პოზიციების გამაგრების სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

გვარსახელ **კახიანი**-ს ეტიმოლოგიაც ადილურ (ჩერქეზულ) ეთნონიმს **კახ** უნდა უკავშირდებოდეს. ამ სახელით სხვა ჩერქეზული ტომები მოიხსენებენ ქვემო ადილელებს ანუ საკუთრივ ადილელებს (ძირი **ჭახ** < ***კახ** პალატალიზაციით ადილურში „ქვემოურს“ ნიშნავს).

კახიანების მეორე „რიგის“ შესახებ სოფელ ჟაბეში არსებობს ასეთი გადმოცემა: ერთი ოჯახი „კახიანები“ სავეთიდან ანუ ყარაჩაი-ბალყარეთიდან მოსულან და ჟაბეშელეებისთვის თავშესაფარი უთხოვეთ. რა მიზეზით გამოხიზნულან, ეს არავინ იცის. სოფელს თავიდან ისინი არ მიუღია, მაგრამ არც გაუგდია და მიუცია ცხოვრების უფლება ჟაბეშის ჩრდილოეთით, მდინარის გადაღმა მთაზე, პატარა ვაკე ადგილზე (სვანურად **ნაკ**). ისინი აქ ცხოვრობდნენ კაი ხნის მაძილზე, **ქელში** (ქოხში, ან კარავში). გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჟაბეშიში გაჩენილა ჟამი, რომელსაც ნახევარზე მეტი მოსახლეობა ამოუწყვეტია. ამით უსარგებლიათ „წსაგებს“ და შემოსევა გადაუწყვეტიათ. ეს ინფორმაცია ამ ოჯახს მიუწოდებია ჟაბეშელეებისთვის, მათ თადარიგი დაუჭერიათ და შემოსევა მოუგერიებიათ. ამის შემდეგ, ამ ოჯახისთვის სოფელში ცხოვ-

რების ნება მიუციათ და საცხოვრებელიც გამოუყვიათ. ისინი „ამანათად“ მიუღიათ კახიანებს და თავისი გვარიც მიუციათ. გადმოცემის თანახმად, ეს ოჯახი „სავეთში“ **ბტაევეები** ყოფილან. გვარის რუსული გაფორმების მიხედვით ჩანს, რომ მათი გადმოსახლება მეცხრამეტე საუკუნეზე ადრინდელი მოვლენა ვერ იქნებოდა. თუმცა, ამჟამად ისინი უკვე საბოლოოდ ასიმილირებულნი არიან, როგორც კახიანების გვართან, ასევე მულახ-მუჟალის თემთან და ქართველთა სვანების ტომთან. მიუხედავად ამისა მათ დღესაც, უსამართლოდ, ეხუმრებიან ხოლმე „სავური“ წარმოშობის თემაზე, თუმცა კახიანებს, ბუნებრივია, ეს ძალიან სწყინთ.

პროფესორ ვაჟა შენგელიას აზრით, შესაძლებელია ამავე **კახ**-ფუძის პალატალიზებულ **ჭახ** ვარიანტს უკავშირდებოდეს სვანური გვარსახელი **ჭეხანი**.

პალატალიზაცია ახასიათებს როგორც სვანურს (*კჷაჩხ > კიშხ; *კაჩ- ჭაშ და სხვ.) ასევე ადილეურ ენას, ოღონდ თუ სვანურში ეს ფონეტიკური პროცესი დღემოკლე აღმოჩნდა და პარადიგმა სრულად ვერ მოიცვა, ადილეურში ის სისტემურად რეალიზდა. **კახ** (< ***კახ**) ძირის შემთხვევაში ეს მნიშვნელოვანია რელატიური ქრონოლოგიის დასადგენად: ადილეური **კახ** ძირი სვანურში, სავარაუდოდ, შემოვიდა მაშინ, როდესაც **კ** > **ჭ** პროცესი სვანურში **აღარ**, ადილეურში კი **ჩერ კიდევ არ** მოქმედებდა. სვანური გვარი **ჭეხანი**, კი გაფორმდა მოგვიანებით, მაშინ, როდესაც ადილეურში პალატალიზაცია **კ** > **ჭ** უკვე ფუნქციონირებდა.

მ ე დ ე ა ლ ო ნ ტ ი

უფალი და თავისუფალი

1. უფალ-ის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუნებაში თავმოყრილი ას ოცდაათამდე ლექსიკური ერთეული მოიცავს ოთხ ათეულამდე სემანტიკურ ველს და, მთლიანობაში, ურთიერდაპირისპირებულ პარადიგმას შეადგენს: ერთი მხრივ — „საკუთრივ **ღმერთის**, **ყოველივე ზე-**

ციურისა და მასთან დაკავშირებულის“ აღმნიშვნელი და, მეორე მხრივ — „მაღალი წოდების ადამიანის, ძალაუფლების, პატივისა და ქონების მფლობელის“ აღმნიშვნელი.

2. უფალ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის კუთვნილებაა ზემოხსენებული პარადიგმის მიღმა შთენილი „თავისუფალის“ (თავისუფალი, უუფლო, თვთმფლობელი, თვთმფლობელობითი, უმეუფეო, ნებებითი, ნებეირი, თვთველმწიფე, აზნაური, აზატი, თარხანი) და „თავისუფლების“ (თვთმფლობელობა, თვთველმწიფება, აზნაურება, აზნაურობითი) სემანტიკური ველები.

გამჭვირვალე შედგენილობის კომპოზიტების თავის-უფალი და თავის-უფლება სემანტიკა დღეისათვის უმთავრესად ადამიანის (ასევე საგნის ან მოვლენის) ფიზიკური, ხორციელი მდგომარეობისა თუ ვითარების ჭრილში განიხილება (იხ. ქეგლ-ი). ძველ ქართულში პოლი-სემიური თავისუფალი („თავისუფალი“, „განთავისუფლებული“, „რაც ენებოს, ქნას“, „არავისი მონა“, „წარჩინებული“, „დიდგვაროვანი“, „აზნაური“, „კეთილშობილი“, „უპატრონო“) სამი სემანტიკური მიმართულებით წარმოდგება: „საზოგადოდ თავისუფალი“, „რაიმესგან ან ვინმესგან თავისუფალი“ და „საგანგებო (მაღალი) სოციალური სტატუსის მქონე“.

3. უფალ-ში აღადგენენ არქეტიპებს: ერთი მხრივ — *უფ // *უფ + -ალ (ნ. მარი, ს. ჯანაშია, რ. გორდეზიანი), მეორე მხრივ — *უფ // *ფ- + ალ, შდრ.: უფ-ლ-ებ-ა; მე-უფ-ე → მე-ფ-ე; ს-უფ-ეგ-ა (ფეინრიხი-სარჯველაძე) და მესამე მხრივ — ოდენ *ფ (ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი, თ. უთურგაიძე).

*უფალ-, *უფ-, *ფალ-, *ფ- არქეტიპთა თავდაპირველ მნიშვნელობად ვარაუდობენ „ფლობა; ქონა-ყოლა“-ს (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ფ. ერთელიშვილი, გ. მაჭავარიანი, რ. გორდეზიანი), რის დასტურადაც უთითებენ: ზან. მა-ფ-უნ, გა-ფ-უნ „ქონა, ყოლა“. ღიად რჩება თავკიდური უ-ს თავდაპირველი ფუნქცია და მნიშვნელობა. არქეტიპთა ამგვარი ეტიმოლოგიური გააზრება გვაგვარაუდებინებს უფალ-ის („ღმერთის“) ამოსავალ სემანტიკას: „ყოველთა და ყოველივეს უზენაესი, მეუფლე, მფლობელი (მქონი და მყოლი)“ → „ყოველივეს ზეციერი ბატონი, პატრონი“ → „ყოველივეს და ყოველთა ზეციერი მეუფე“.

4. თავისუფალის თავდაპირველი სემანტიკის გასააზრებლად უადრესად საგულისხმოა უ-ო უქონლობის აფიქსით ნაწარმოები ძველი ქართული უ-უფლო „უპატრონო; „თავისუფალი“ (ასევე მსგავსი წარმოების უ-მეუფო, უ-მეფო-ა „თავისუფალი“).

იერემია წინასწარმეტყველის წიგნში („თქუა ერმან ჩემმან, და უუფლო ვიყვნეთ და შენდა არღარა მოვიდეთ მერმე“ — იერემია 2, 31) უუფლო თავისებური ლექსიკურ-სემანტიკური ფუნქციით წარმოჩნდება: ისრაელიანებმა უარი თქვეს უფალზე (ზეციერ მეუფე-ზე), და საკუთარი ნებით გაითავისუფლეს თავი ზეციერი პატრონისაგან, მათ თავის ნებაზე ყოფნა ამჯობინეს და დარჩნენ უუფლოდ „უპატრონოდ“ (ანუ უმეუფოდ — ზეციერი მეუფისა და პატრონის გარეშე). ამგვარი ბოროტი არჩევანით ერი თუ კაცი საკუთარი თავის უფლად საკუთარსავე თავს განაგებს (შდრ. ამ მუხლის ძველი რუსული თარგმანი: "мы сами себе господа") და ამდენად არის უუფლო (←*უ-ფალ-ო) „თავისუფალი“, ანუ „საკუთარი ნებით განთავისუფლებული ზეციერი უფლისაგან“.

ძველი ქართული უუფლო გასაოცარი სიზუსტით გამოხატავს ქრისტიანი ქართველი ერის უარყოფით დამოკიდებულებას უუფლო (უღმერთო) მყოფობასა და ცხოვრების წესზე, როდესაც უარყოფ უფალ ღმერთს, ჯიუტად რჩები თვთმფლობელად და გაუგონარი კადნიერებით ეწევი თვითრწულობას (შდრ.: ძველი ქართული თვთუ-ფალი „კადნიერი“ და თვთუფლება „კადნიერება“).

5. ამის საპირისპიროდ, საკუთრივ თავის-უფალ-ის თავდაპირველი სემანტიკა იტევს „თავისუფლების“ ნამდვილ ქრისტიანულ შინაარსს: ჭეშმარიტად თავის-უფალი იგია, ვისაც თავის პატრონად უფალი ჰყავს და თავის ნება-სურვილებს უფლის ნებისაებრ წარმართავს. ღვთივმონიჭებული ჭეშმარიტი თავისუფლების ღირსებით ის იმოსება, ვინც თავის „წადილთა ნებას“ დაუფლებია და თავისი ნებით დამორჩილებია უფალს (და არა ცოდვას). მხოლოდ ამგვარ თავისუფლებას ზიარებული ადამიანი თავისუფლდება ცოდვათაგან (შდრ.: „უკუეთუ ძემან განგათავისუფლენეს, ჭეშმარიტად თავისუფალი იყვნეთ...“ (იოანე 36), „ხოლო აწ განთავისუფლებულ ხართ ცოდვისა და დამონებულ ღმერთისა“ (რომაელთა მიმართ 6, 22).

ნ ა ტ ო უ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

თანაობის პირმიუმართავი დამატებისათვის სვანურში

როგორც ცნობილია, უბრალო დამატება გადმოიცემა მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვაში დასმული თანდებულისანი ან უთანდებულო სახელით. სწორედ ვითარებითი ბრუნვით გადმოიცემა თანაობის გამომხატველი დამატება.

აღნიშნული ბრუნვის სინტაქსური ფუნქციები სვანურში ძირითადად ქართულის მსგავსია, ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა მიერ (ნ. აბესაძე, ა. კიზირია...) არაერთგზის განხილულა.

ამჟერად ყურადღებას გავამახვილებთ ვითარებითში დასმული თანაობის გამომხატველ პირმიუმართავ დამატებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სვანურში ვითარებითი ბრუნვით გადმოცემული უბრალო დამატება, ქართულისაგან განსხვავებით, თანაობას ვერ გამოხატავს: „ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ქართულში ზოგჯერ თანაობასაც გადმოსცემს, განსაკუთრებით -იან სუფიქსიან სახელებთან. სვანურში კი ვითარებითი ბრუნვით თანაობის გადმოცემა არ ხდება, საამისოდ არსებობს საგანგებო თანდებული -ცახან || -ცახან || -ცხან“ (ნ. აბესაძე).

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურის ყველა დიალექტში და მათ შორის ჩოლურულში, აღნიშნულ შემთხვევაში, ვითარებითში დასმული უბრალო დამატება -ცახან თანდებულის დაურთველადაც გამოხატავს თანაობას ლგ- პრეფიქსის მეშვეობით. ქართულში, როგორც ცნობილია, -იან სუფიქსიანი წარმოება გვაქვს, სვანურში კი ლგ-პრეფიქსიანი:

ლგ-ბოფშ-დ ხამურჯდა ქა ლრტუხს (ჩოლ.) „ბავშვებიანად აპირებდა გაქცევას“

ლგციცუშ-ლგკიტუდ შუნდის ქნმთე მაგ (ჩოლ.) „კატიან-კნუტებიანად გამოიყრებიან ხოლმე გარეთ ყველანი“

ლგისუ-ლგაჩუდ ათუიფხ ლაშინლისა (ლშხ.) „უკვალოდ დაკარგეს ომში“

ლგდიმთილდ იშემინა ეხუ?! (ლშხ.) „სიღვრიანად ითხოვა ცოლი?!“....

ე თ ე რ უ ე ნ გ ე ლ ი ა

რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები ლაზურში

როგორც ცნობილია, ლაზურში სუბიექტური თუ ობიექტური პირების რიცხვი ზმნაში, ქართულის მსგავსად, სათანადო ნიშნებით გამოიხატება. მაგრამ ქართულში მოიპოვება ერთი წყება ზმნებისა, რომლებიც თავისებურებას ავლენენ რიცხვის გამომხატვის თვალსაზრისით. კერძოდ, თუ ზმნა ვერ აწარმოებს მრავლობითი რიცხვის ფორმას, ის შეინაცვლებს სხვა ფუძეს. ასეთი ზმნები რიცხვში მონაცვლენი არიან (ა.შანიძე): ჯდომა — სხდომა; ვარდნა — ცვივნა; გდება — ყრა; სმა — სხმა; კვლა — ხოცვა; ყვანა — სხმა; გდება — რეკა...

საინტერესო ვითარებაა ამ მხრივ ლაზურში. მოძიებულ მასალაში ცალკე ჯგუფს ქმნის რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები:

ტკომ- (მეტკომერს) „აგდებს“ — **ბღ-** (დობღაფს) „ყრის“; **ძი-** (ძინ) „დევს“ — **ბღ-** (ობღუნ) „ყრია“;

ტახ- (ტახუფს) „ტენს“ — **ფუნჩხოლ-** (ფუნჩხოლუფს) „ამტვრევს“, „ამსხვრევს“;

ღურ- (ღურუნ) „კვდება“ — **ქყოლ-** (დექყოლუნ) ხოფ. || **ქკოლ-** (დექკოლუნ) ვიწ.-არქაბ. || **შკუნდ-** (დეშკუნდუნ) ათინ.-ართაშნ. „იხოცება“;

ლ- (მელაფს) „ვარდება“ — **ბღ-** (დიბღენ) ხოფ. || **ხგ-** (ნიხვენ) ათინ.-ართაშნ. „ცვივა“;

ყვილ- (ყვილუფს) „კლავს“ — **ქყვიდ-** (დექყვიდუფს) „ხოცავს“; **ჩან-** (ჩანს) „აბია“ — **ჩხეელ-** (ჩხეელენ) „იხუნძლება“.

რიცხვის გამომხატვის თვალსაზრისით, ლაზურში ყურადღებას იქცევს ერთეული ზმნები:

ა) ოდენ მრავლობითის შინაარსის გამომხატველი ზმნა, რომელსაც მხოლობითის შესაბამისი ფორმა არ ეძებნება: **ქოს-** (ქოსლუფს) „ხვეტს, გვის“;

ბ) ზმნა, რომელიც მრავლობითობის შინაარსს აღწერიტად გადმოსცემს: **ჩხენჩხელისთეა ჩანს** „ბევრი ასხია“ (ჩხენჩხელი „აკიდო“, „ჩირი“ ე. ი. აკიდოსავით, ჩირივით ასხმულია“).

საანალიზო ერთეულები თავისებურებას ავლენენ მწკრივთა წარმოებისა და სახელთან შეთანხმების თვალსაზრისით.

ვაჟა შენგელია

ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. XXXVII—XLIV

XXXVII. არნ. ჩიქობავას სტილისათვის დამახასიათებელი იყო აზრის მოკლედ და ნათლად ჩამოყალიბების უნარი. ამას მოითხოვდა სხვებისგანაც... ამბობდა: **მოკლედ და გასაგებად წერა ძნელია**, ვრცლად და ბუნდოვნად — ადვილი...

მასსოვს, ერთხელ ერთ-ერთ თანამშრომელს უსაყვედურა გაუგებრად წერის გამო და ირონიით დასძინა: ბუნდოვანო!

XXXVIII. ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც სტალინის მხილება და კრიტიკა დაიწყო, არნ. ჩიქობავას აძალებდნენ, რომ ეთქვა — საენათმეცნიერო დისკუსიის შემაჯამებელი წერილი სტალინს მე დაგუწერეო (მითუმეტეს — სტალინის ამ წერილში ფაქტობრივ არნ. ჩიქობავას დებულებათა მხარდაჭერა იყო გამჟღავნებული)... ბ-მა არნოლდმა კატეგორიული უარი განაცხადა: სტალინთან რამდენიმე შეხვედრა გაიმართა და **მათ მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათი ჰქონდა** და, რაც გამოქვეყნდა, თავად მას ეკუთვნისო...

XXXIX. ზოგიერთმა ნ. მარის დამსახურების მიჩქმალვა დასწამა უსამართლოდ: მარს — რევოლუციამდელ ბურჟუაზიულ მეცნიერს — მაღალ შეფასებას აძლევს, ხოლო მარს — ჩამოყალიბებულ საბჭოთა მეცნიერს — აკრიტიკებსო... ეს მაშინ პოლიტიკურ ბრალდებად აღიქმებოდა.

ცდილობდნენ, ნ. მარის სახელი არნ. ჩიქობავას წინააღმდეგ გამოეყენებინათ, რაზეც ბ-ნი არნოლდი დანაწიებით აღნიშნავდა: **თქვენ გგონიათ, მარი უნდათ? არა, ჩიქობავა არ უნდათ და მარს ჯონად იყენებენო**... ამ კონტექსტში საყურადღებოა არნ. ჩიქობავას შენიშვნა: ნ. მარს ჰყავდა ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე, მაგრამ წამკითხველი — ცოტა...

XLI. არნ. ჩიქობავა სამეცნიერო თუ სხვა ხასიათის მიღწევებს მიესალმებოდა, მაგრამ **მცირე შედეგის დიდად წარმოჩენის მცდელობა, გაბუქება აღიზიანებდა**, ამბობდა: "Шумим, брат, шумим!"

XLII. ბ-ნი არნოლდი თანამშრომლებისა და ასპირანტებისაგან აკადემიურ და აკურატულ მუშაობას მოითხოვდა; **ყურადღებას აქცევდა როგორც ნაშრომის პოზიტიურ შედეგებს და ლოგიკურ გამართულობას, ისე — გაფორმებასაც**...

ასპირანტურაში შემოსვლისას საბუთებთან ერთად რეფერატი უნდა წარმოგვედგინა. დავწერე რეფერატი ნ. იაკოვლევისა და დ. აშ-ხამაფის „ადილეური სალიტერატურო ენის გრამატიკის“ შესახებ. ეს წიგნი სოლიდური მოცულობისა იყო და, შესაბამისად, ჩემი რეფერატიც (მასში შეფასების ელემენტებიც იყო) ვრცელი გამოვიდა (თაბახის 40 გვერდზე მეტი). ბ-ნი არნოლდი გაეცნო ჩემს ნაშრომს, შინა-არსი მომიწონა, მაგრამ ხელი დამიწუნა: ასეთ ნაწერს ვერ მივიღებთ, უნდა გადაწეროთო. ვუთხარი: საბუთების შეტანის ვადა ხვალ გადის და გადაწერას ვერ მოვასწრებ, რადგან კარგი ნაწერი რომ გამომივიდეს, ნელა უნდა ვწერო-მეთქი... მკაცრად მიპასუხა: უნდა მოასწროთო... მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამე გავათენე, მეორე დღისათვის რეფერატის გადაწერა ვერ მოვასწარი. ბ-ნი ივ. გიგინეიშვილს შევჩივლე ჩემი გასაჭირი (უნივერსიტეტში ჩემი ლექტორი იყო და მაშინ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა). დამამშვიდა: არა უშავს! საბუთებს დღეს მივიღებთ და რეფერატი ხვალ მოიტანეთო... ასე გადავრჩი!

ასპირანტურაში სწავლის დროს დავწერე თეზისები მოხსენებისა, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა კონფერენციაზე უნდა წამეკითხა. ოთხად გაკეცილი ორი ფურცელი ჯიბეში კარგა ხანს მედო, სანამ ბ-ნი არნოლდის ნახვას მოვახერხებდი (მაშინ არ ვიყავი ისე დაახლოებული, რომ მასთან შინ ადვილად მივსულიყავი). დაახლოებით ორი კვირის შემდეგ უნივერსიტეტში შევხვდი კავკასიურ ენათა კათედრაზე და თეზისები გადავეცი გასაცნობად (ვიზირება იყო საჭირო). მეორე დღისათვის დამიბარა... თეზისები დამიბრუნა. თეზისებს ასეთი წარწერა „ამშვენებდა“: „ჭუჭყიანის შთაბეჭდილებას ტოვებს... ეტყო-

ბა, ჯიბით უტარებია ავტორს. შინაარსი საინტერესოა... არნ. ჩიქობავა“. დამწყები მკვლევარისათვის ეს, ბუნებრივია, საწყენიც იყო და გასახარიც, კარგი გაკვეთილიც...

XLIII. არნ. ჩიქობავას დამსახურება ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის საქმეში ცნობილია (საკმარისია ითქვას, რომ ნორმათა დადგენის პრინციპები და მრავალი ნორმა მის მიერ არის შემუშავებული). ბ-ნი არნოლდი ნორმათა დადგენისას, სხვა არსებით საკითხებთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დამკვიდრებულ ტრადიციას...

გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ქართულ ენციკლოპედიაზე მუშაობა და პირველ რიგში მისი „სიტყვანის“ საკითხი დადგა. „სიტყვანის“ პროექტი, ბუნებრივია, ენათმეცნიერების ინსტიტუტმაც მიიღო განსახილველად. სხვა საკითხებთან ერთად, ორთოგრაფიის საკითხებიც იდგა. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები საბჭოს უნდა განეხილა...

1973 თუ 1974 წელს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (მაშინ საბჭოს სწავლული მდივანი ვიყავი) სხვადასხვა საკითხი გამოიტანეს განსახილველად. ერთ-ერთი იყო — ქართულად **მონღოლი** უნდა დაგვეწერა თუ **მონგოლი**. საბჭოს წევრების მეტი წილი მონგოლ-ს უჭერდა მხარს (ევროპულ ენებში ასეა და მონღოლურშიც **გ** გვაქვსო)...

ბ-მა არნოლდმა მოისმინა არგუმენტები და განაცხადა: ქართველებმა მონღოლები **XIII** საუკუნეში ნახეს და **მონღოლი**-ო — ასე უწოდეს... მას შემდეგ აღარ უნახავთ...

სამეცნიერო საბჭომ **მონღოლი**, როგორც ნორმა, დაამტკიცა.

XLIV. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. **ს. დურმიშიძე** ბ-ნი არნოლდის დიდი პატივისმცემელი იყო, რაც არაერთხელ გამოუმჟღავნებია (კერძოდ, მნიშვნელოვანი იყო ის მხარდაჭერა, რასაც ის არნ. ჩიქობავას ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებების, მათ შორის — ენათმეცნიერების ინსტიტუტისათვის მისი სახელის მიკუთვნების, მიმართ გამოხატავდა)...

1984 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა ს. დურმიშიძის შეკითხვა, რომლითაც ის ქართველ მეცნიერებს მიმართავდა, და მათი პასუხები (შეკითხვის ადრესატი იყო 18 ცნობილი მეცნიერი). შეკითხვა ასეთი იყო: „აქვს თუ არა თავისი პოეზია მეცნიერებას და, თუ აქვს, რაში გამოიხატება იგი?“ საინტერესოა ბ-ნი არნოლდის პასუხი:

„პოეზია თუ ესთეტიკა!

დიდი სიხარული, რაც ახალი კანონზომიერების შეჩვევა-სა თუ გამოვლენას მკვლევარისათვის მოაქვს, ეს თეტიკური ძალით ყოველ პოეზიას წააჭარბებდა.

ამის გარეშე მეცნიერული აკრიბია მძიმე ტვირთად იქცეოდა (და ან ინტრიგის შხამს რა გაუძლებდა?)“.

იზა ჩანტლაძე

კვლავ „კოდორ“-ის ეტიმოლოგიისათვის

დალელი სვანები თავინთ ხეობას არც აფხაზეთს უწოდებენ და არც სვანეთს. მავანნი ამბობენ, რომ ეს ტერიტორია მარშანიების სამფლობელო იყო — კი, მაგრამ მარშანიები მარუშანიები (ე. ი. სვანები) არ იყვნენ ისტორიულად?! არც თავიანთ თავს უწოდებენ სვანს — ისინი არიან **დალზარ** („დალ-ელ-ებ-ი“, **მე-დალ** „დალ-ელ-ი“): „ფეტვს **დალში** აღარავინ თესავს, **სვანეთიდან** გვიგზავნიანო“ — გვითხრეს ხეობაში. სავლელ სამუშაოების დროს გავარკვიეთ, რომ სვანები დღესაც კი არ აღიქვამენ კოდორის ხეობას აფხაზეთის ტერიტორიად, ამიტომაც უწოდებენ მას მათთვის უფრო ახლობელ, ანუ სვანური სამყაროსთვის ბუნებრივ ტოპონიმს **დალ** და არა **კოდორ** — ეს უკანასკნელი რომ სვანური წარმომავლობისა იყოს, მაშინ უმლაუტიანი ფორმა ***კოდჷერ** უნდა გვქონოდა; ამიტომაც ქეთევან მარგიანი-დადვანისა (1998:95) და ზურაბ ჭუმბურიძისეული გააზრება სვანური **სკოდი** („ღრმა“) ლექსემიდან საანალიზო ტოპონიმის მომდინარეობის შესახებ, საეჭვო ჩანს (ჭუმბურიძე, 2007:34); აუხსნელი რჩება, აგრეთვე, როგორც ძირისეული **ო** ხმოვნის სიგრძის დაკარგვის, ისე ანლაუტის **ს** თანხმოვნის უკვალოდ გაუჩინარების საკითხი. ესეც რომ

არ იყოს, რაჭული **სკოდორი**ს (მდინარე რიონის ერთი მონაკვეთის სახელწოდება ონსა და ამბროლაურის შორის) ანალოგიური ტოპონიმები დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ესენია სოფლები: **სკინდ-ორ-ი**, **სკანდ-ე** (ჭიათურა), **კუდ-არ-ო** (რაჭა), **კვად-ო-ურ-ა** (მცირე მდინარე სოფელ ღორეშაში) და **კოდ-ა-ურ-ა** (ტყე ზემო იმერეთში). ვფიქრობთ, აღნიშნულ ტოპონიმთა თუ ჰიდრონიმთა გათვალისწინების გარეშე „კოდორის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობა სრულყოფილი ვერ იქნება.

აბაშის რაიონის მიკროტოპონიმიაში რამდენიმეჯერ დასტურდება ფორმა **კოდორე**. თუ ამოვალთ ქართველურ ენათა ქრესტომათიული ხმოვანთშესატყვისობიდან (ქართ. **ა**: ზან. **ო**: სვან. **ა**) და ანგარიშს გავუწევთ როგორც **კად**- ძირის სემანტიკას, ისე **-ორ** სუფიქსის განსაკუთრებულად ფართო გავრცელებულობას მეგრულში, მაშინ შესაძლოა ამ ლექსემისთვის საერთოქართველურ დონეზე აღვადგინოთ ***კად**- ძირი, რომელიც თანამედროვე ქართულის ყველა დიალექტსა თუ **ს** სალიტერატურო ენაში წარმოდგენილია **ნა-კად**- და **ნა-კად-ულ**- ფუძეთა სახით. მისი ზანური შესატყვისი იქნებოდა **კოდ-ორ**-, ხოლო სვანური — **ლა-კად-ა** (შდრ. ტოპონიმი **ლა-კად-ა** აფხაზეთში და ჰიდრონიმი **ლა-კად-ურ-ი** ჩხოროწყუს რაიონში). ვფიქრობთ, რომ **კოდორი** სვანური **კადარ** („მშრალი, ხმელი ადგილი, ხმელეთი“) სიტყვის „ზანიზებული ფორმა კი არ უნდა იყოს (მიზნუანი 1989:132)“; არამედ ქართველური **-კად**-ძირის ამსახველი, რომელიც, ალბათ, „წყალს“ აღნიშნავდა თავის დროზე, ისეთ წყალს, მზის გულზე მდებარე მთისძირა გორაკ-ფერდობებიდან რომ იღებდა სათავეს (**ლა-კად-ა**ს მნიშვნელობის განმარტებისთვის იხ. ვუკოლ ბერიძის, ქეთევან ძოწენიძის, ოთარ ქაჯაიას, პაატა ცხადაიასა და ვილენა ჯოჯუას იმერული და მეგრული ლექსიკონები). რომ **კოდორი** „წყლის“ სემანტიკას შეიცავს და არა „მთის ფერდობის ან ხმელეთისას“, უნდა ჩანდეს სამეგრელოს ტერიტორიაზე დაცული ერთი ტოპონიმიდანაც, ესაა **კოდ-ორ-ფონ-ი** (აბაშა). საყურადღებოა, რომ **ნა-კად-ელ-ი** მოხეურ დიალექტში აღნიშნავს „ფშანს, მდინარის განტოტებას“; ქართლში ის „სარწყავი წყლის ერთეულია“ ან „ნაკვეთის რწყვის დროს წყლის მიმართულების შესაცვლელი ტიხარი“ (შდრ. გურული **ნა-კად-ი** „ჩამოთხრილი ან ჩამოქცეული ფერდი“ და **კოდ-მე** „მთის კონცხი, ფერდობი, მდინარის ამალღებულები ნაპირი“).

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

სახელის ლექსიკოგრაფიული პარადიგმის თაობაზე ქართულში

ლინგვისტური ლექსიკონებისათვის ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის საკითხი არის ის ფუნდამენტი, რომელიც პრინციპულად განსაზღვრავს ლექსიკის მეცნიერული დამუშავებისა და ლექსიკოგრაფიული წარმოდგენის ფორმატს. ლექსიკოგრაფიულ პარამეტრთა ორი ძირითადი ჯგუფი — საკუთრივ ენობრივი და ექსტრალინგვისტური — შესაბამისად, დისკრეტული და არადისკრეტული, გვაწვდის რა ინფორმაციას როგორც თვით ენის, ისე ენის შესწავლის შესახებ, მთლიანად ექვემდებარება ე.წ. პარამეტრთა თავისუფლების კანონს. აქედან გამომდინარე, ლექსიკოგრაფიულ პარამეტრთა ასახვა კონკრეტულ ლექსიკონში განისაზღვრება ენის სპეციფიკით, ლექსიკოგრაფიული ტრადიციით, ლექსიკონის ტიპითა და დანიშნულებით და ამ ლექსიკონის ავტორ-ლექსიკოგრაფისა თუ ლექსიკოგრაფების შეხედულებებით.

ქართულში ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავება-წარმოდგენის თვალსაზრისით ნორმატიული მნიშვნელობისაა ისეთი აკადემიური ლინგვისტური ლექსიკონები, როგორიცაა: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსიკონები ზოგადად განსხვავდებიან ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის ასახვის ცენტრიდანული და ცენტრისკენული ტენდენციებით, ჩვენთვის საინტერესოა ორივე მათგანისათვის საერთო ძირითადი ლექსიკოგრაფიული პარამეტრი, კერძოდ, გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) პარამეტრი და მისი წარმოდგენის ფორმა სახელისათვის. მოხსენებაში გაანალიზებულია აღნიშნული ლექსიკონების მონაცემები და დადგენილია სახელის ლექსიკოგრაფიული პარადიგმის სპეციფიკა ქართულში.

ა ლ ე ქ ს ი ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის ჰერული (ინგილოური) ლექსიკა პოემაში

I. უკანის

1. ტარიელი უამბობს ავთანდილს: მამა მომიკვდა წელიწად-მდის საბნელის ვიჯეჭიო

„უკანის გამომიყვანეს ხასთა მათ წინამდგომელთა“ (336; 340/337).

„ვეფხისტყაოსნის“ დამდგენი კომისიის მთავარმა რედაქციამ დაადგინა, რომ უკანის არის ზმინიზედა და ნიშნავს: „შემდეგ“, „ბოლოს“.

2. ამის კვალობაზე პოემაში გასასწორებია გადამწერთაგან შერყენილი კიდევ ორი ტაეპი:

ა) „მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა“ (128; 124/128)

პოემის ავტორის მშობლიური კილოს, ჰერულ-ინგილოურის მონაცემთა გათვალისწინებით დგინდება, რომ ავტოგრაფში უნდა გვქონოდა მას უკანის. ამ ვარაუდს მხარს უჭერს თარიღიან ხელნაწერთა შორის ყველაზე უძველესი E (1646 წ.) ხელნაწერი.

ბ) „მას უკანით გაუწყვედლად დება მჭირდის ცეცხლთა ცხელთა“ (1210; 1214)

ზუსტად იგივე ვითარებაა ამ ტაეპშიაც. ამიტომ, ორივეგან უნდა დავბეჭდოთ — მას უკანის.

II. ფრეწ- | ფრიწ-

1. ეს ზმნა ძველი ქართული ენის ლექსიკონებში მწირად არის წარმოდგენილი: „გაფრეწა გახევა. აგ ა ნ ვ ფ რ ი წ ე ნახევარი მისი და ნახევარი იგი მოვიბლარდნე“ (ონოფრ. ცნობა, 38) (ი. აბულაძე) (2)

„ვეფხისტყაოსნის“:

აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდა სიმაგრე ჯავშან-ქაფისა (1410; 1415/1416);

„მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გ ა რ დ ა ჰ ფ რ ი წ“ (206; 210/209);

„თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, და-ცასჭრიდითა“ (1558; 1562/1563);

არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ მისგან და უფრეწელი (1039; 1043).

ჰერულ-ინგილოური:

„დაფრეწა 1. დაფხრეწა, დახევა, დაგლეჯა. წიგნი დაფრეწა (ფურცლის დაფხრეწა, დახევა). მიმღ.: დაფრეწულ, დანაფრეწ, დაფხრეწილი. 2. დაპობა, წვრილად დახეთქა (შეშისა, ხისა, ფიცრისა და მისთ.) ~ შიშას წალდი ჰ ფ რ ე წ ე ნ. მიმღ.: დაფრეწულ, დანაფრეწ დაპობილი.

2. ფრეწ- ძირი არა ჩანს არც ერთ სხვა ქართულ დიალექტში. იგი მხოლოდ ჰერულ-ინგილოურსა და „ვეფხისტყაოსნის“შია“, რაც უტყუარი საბუთია იმისა, რომ პოემის ავტორი ჰერი იყო.

III. დაგდება | გაწირვა

1. არის შემთხვევები, როცა აზერბაიჯანულს ჰერულ-ინგილოურიდან სიტყვა განუღებია, თავისი სიტყვით ჩაუნაცვლებია, მაგრამ ეს სიტყვა ჰერულ-ინგილოურის მონათესავე ფხოურ დიალექტებს და „ვეფხისტყაოსნის“ შემოუნახავს. ასეთებია სინონიმები — გაწირვა და დაგდება.

2. სხვაობა ის არის, რომ ჰერულ-ინგილოურში გაწირვა აღარ ჩანს, დაგდება კი ძალიან ხშირად იხმარება. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ფხოური დიალექტები, ჰერულ-ინგილოური დიალექტი და „ვეფხისტყაოსნის“ არ იცნობენ ზმნას და ტოვებ ა .

ჰერულ-ინგილოური:

„დაგდევა დატოვება, მიტოვება. პურ გათიბის უკან მიწას კედემ აბრუნევენ, აგ დ ე ვ ე ნ ფაფხიბე პურ დაათესულა. (ტოვებენ შემოდგომისთვის პურის დასათესად)“ (3).

ხეცსურული:

ცხენის ლურჯაის წამყვანო, დაგაგდა ბოსლის კარზედა (ხეცს. თავისებ. 179, 12) (9)

თუშური:

ალვანში ამბავ და ა გ დ ი : „ჩათმაში დაგვცნეს ცანიო!“ (ხეგს. პოეზ. 211, 40) (9).

„ვეფხისტყაოსანი“:

„მე წავალ და შენ და გ ა გ დ ე ბ“ (887; 891/890); „და - გ ა გ დ ე ზღვარი ინდოთა“ (419; 424/421).

3. გაწირვა („დატოვებაჲ, „მიტოვებაჲ“).

ხეგსურული:

[ჯაჭვი] „იელოვანზე გ ა გ წ ი რ ე , გაქანდა, როგორც წყალიო“ (ხეგს. პოეზ. 44, 18) (9).

დროებამ ჩამოიარა, ყველა გ ა წ ი რ ა ვ ს ძველსაო,
თქვენაც გ ა მ წ ი რ ე თ , ქალებო, ნუცრუ ნუ მიხვევთ ჳელსაო (399, 3) (იქვე).

„ვეფხისტყაოსანი“:

კაცსა ღმერთი არ გ ა ს წ ი რ ა ვ ს (887; 592/589); ჩემსა ტყვესა ვერ გ ა ვ ს წ ი რ ა ვ (644; 649/646); რად დაგვყარნა, რად გ ა ვ გ წ ი რ ნ ა (824; 898/826); ვერ გ ა ვ ს წ ი რ ა ვ ხელი ხელსა (734; 738/736).

ნ ი ნ ე ლ ი კ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

მცენარეთა სახელწოდებები რ. ინანიშვილის ენაში

თვალსაჩინო ქართველი მწერლის რ. ინანიშვილის ენაში უხვა-დაა წარმოდგენილი როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი და ჩვენი წყალ-ჰალისათვის დამახასიათებელი ხეების, ბუჩქების, ბალახების, როგორც ველური ისე კულტურულ მცენარეთა სახელწოდებები, რომელთა „სურნელება, სადაც უნდა იყო, ჩემს მიწას გაგახსენებს, ჩემს ველებსა და მთებს“. უმეტესი მათგანი, განსაკუთრებით — ხეთა და ბუჩქების სახელები (კომში, ბროწეული, ფშატი, თხილი, თრიმლი,

მაყვალი, წნორი, მურყანი, ნეკერჩხალი...) დასტურდება როგორც ძველი ისე ახალი ქართულის სამწერლო ძეგლებში, ბალახების სახელები კი (ძურწა, ჳანჭყატა, ხარი ჩლიქა, ანისული, ავშანი, ვარსკვლავა, ვარდკაჭაჭა, ვაციწვერა, ჳღარბა, თაგვისყანა, კენკეშა...) ძირითადად დიალექტებიდანაა ცნობილი.

რიგ შემთხვევაში მწერალს ენდემური მცენარეების სახელები-სას გამოყენებული აქვს ადგილობრივი სახელები. ამ შემთხვევაში ძირითადად დასტურდება აღწერითი წარმოება. მაგ.: **კაჭაჭა ბალახი**: ასეთ ადგილას აქა-იქ ამოწვდილი ნარი და კ ა ჳ ა ჳ ა ბ ა ლ ა ხ ი ც კ ი გახარებს (სალამო ხანის ჩანაწერები, 1973). **ღ ვ ი ნ ი ს ფ ე რ ი ს ა ნ თ ე ლ ა**: ყვავის ყვითელგულა, თეთრგვირგვინებიანი გვირილა, ლურჯად აკუნწლული ვარდკაჭაჭა, **ღ ვ ი ნ ი ს ფ ე რ ი ს ა ნ თ ე ლ ა** (კეთილი მიწა, 1984).

წყლის მატიტელა: უფრო ღრმად შიგ წყალში, ბაიები, ღუმფარები, წყლის მ ა ტ ი ტ ე ლ ე ბ ი და სამყურები (შველი ჳამთარში, 1986). **პრასა ბალახი**: იქაც გვასწავლიდნენ: ეს პ რ ა ს ა ბ ა - ლ ა ხ ი ა, ეს თაგვისყანა, ეს შავთავა, ეს სოსანიო და სხვ. (ტ. I, 1968). მწერლის ენაში გვხვდება როგორც კუთხური, ისე ახალი წარმოები სახელებიც. მაგ.: **ლომისპირა**: ეს მალეები, ხომ იცი, გეორგინებია, აი იქითები — ლ ო მ ი ს პ ი რ ე ბ ი, აქეთ — ქრიზანტემები (წვეთები ფოთლებზე, 1962). **დათვიჯაგარა**: მის ნაპირებზე ხვავრიელად ხარობს ლელი და ჳილი, და თ ვ ი ჳ ა გ ა რ ა და ჩალა (შველი ჳამთარში, 1986).

რიგ შემთხვევაში მწერალს მცენარეთა სახელები მისი კუთხისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებებით აქვს წარმოდგენილი: **ბრტყენა, გეორგინა, ქრიზანტემა, უთხოვარი, შვინდლარწა, ხომარდული** და სხვ., ხან კი მიმართავს ორსავე ფორმას, როგორც ლიტერატურულს (ავტორისეული მეტყველების), ისე კუთხურს (პერსონალურ მეტყველების) გადმოცემის შემთხვევაში. მაგ.: **შინდი || შვინდი, იფანი || იფნი**: კვირტები დაჳბერიათ, საცაა დაუჳკდებათ ჳამეუხას და უჳანს, **შ ი ნ დ ს ა და ი ფ ა ნ ს** (ცისფერი გორგალი, 1968); ბევრი ვიცოდით: რცხილა, **ი ფ ნ ი**, ქორაფი, **შ ვ ი ნ დ ი**, შვინდლარწა, ბევრი არა: ჳანჭყატა, ხეჭრელა, თრიმლი, უთხოვარი (ტ. I, 1953-1968).

ნინო ხახიაშვილი

არსებობის სემანტიკური ველის ზმნათათვის (სუფევა)

ენაში ხშირად ერთი და იმავე მოქმედების გამოსახატავად სხვადასხვა ზმნა გამოყენებული და პირიქით, ერთი და იგივე ზმნური (ან სახელური) ძირი ახალი სემანტიკის მქონე ერთეულებს უდევს საფუძვლად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა არსებობა-მყოფობის აღმნიშვნელი ზმნები, რომლებიც უძველეს ლექსიკურ ფონდს წარმოადგენს.

„არსებობის“ სემანტიკური ველის ზმნათათვის, როგორც არაერთხელ აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში, ნიშანდობლივია „ქონა-ყოლის“ ზმნებად ტრანსფორმაციის უნარი, აგრეთვე, „მდგომარეობა-მოძრაობისა“, „განგება-ქმნისა“ და ა. შ. მნიშვნელობების ზმნებად გარდაქმნა. ამასთან ერთად, „არსებობის“ ზმნებს შესწევთ უნარი გარკვეული მორფოლოგიური საშუალებებით ზმნური სემანტიკის გააქტიურებისა, დინამიკურ ზმნებად გარდასახვისა (ზღრ.: არ-ს და ი-არ-ების, ჰ-გ-იეს და განა-გ-ებს...)... მასალობრივი და სემანტიკური მომენტების გათვალისწინებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „არსებობა-მდგომარეობისა“, „ქონა-ყოლისა“ და „მოძრაობის“ ზოგიერთ ზმნასა და ნაცვალსახელს საერთო ძირეული მასალა გააჩნიათ, კერძოდ: [რ]: ა-რ-ს — რ-ა; [გ]: ჰ-გ-იეს, ე-გ-ო — ი-გ-ი, ე-გ-ე; [ვი]: უ-ვი-ს — ვი-ნ (ა. არაბული, ე. ოსიძე, მ. ქურდიანი).

ძველ ქართულში არსებობის აღსანიშნავად გვხვდება **სუფევა (სუფევს)** ზმნაც; რომელიც ძველი ქართულის ლექსიკონებში უმეტესად განმარტებულია, როგორც „მეფობა, ბატონობა“.

„უფალი ს უ ფ ე ვ ს, შუენიერება შეიმოსა“ ფსალ. 92, 1

სუფევაჲ, სასუფეველი, უფალი და ა. შ. უკვე ხანმეტ ტექსტებშია დადასტურებული:

„მამაო ჩუენო [ზეცათაო] რომელი ხარ ცათა შინა წმიდა ხიყავნ სახელი შენი მოვედინ ს უ ფ ე ვ ა დ შენი“... მათე 6, 910. ლუკა

11, 2. „ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ც ა თ ა დ ხიიძულების“... მათე 11, 12. „მიერთგან ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ღ მ რ თ ი ს ა დ ხეხარების“... ლუკა 16, 16.

სულხან-საბას განმარტებით, **სუფევა** „მაღალი მეფობაა“, **სა-სუფეველი** კი: „ესე არს სამყოფი ანგელოზთა, სადა წმიდანი არიან წინაშე ლთისა B“... (სულხან-საბა, II).

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „ს-უფ-ევ-ს, მე-უფ-ე, უფ-ალ- ერთი ძირიდან ნაწარმოები ჩანს; ესაა უფ- (რომელშიც შესაძლებელია -უ- ძირს შეხორცებული პრეფიქსი იყოს). ს-უფ-ევ-ს ზმნაში ს- პრეფიქსი ისევეა შემონახული, როგორც შე-ი-ს-ყიდ-ა, გამო-ი-ს-ყიდ-ა-ში“... (არნ. ჩიქობავა).

სუფევა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა განმარტებული: „ძვ. და წიგნ. სახელი სუფევს ზმნის მოქმედებისა, — მეფობა, ბატონობა; არსებობა, ყოფნა... **სასუფეველი** ეკლ. წმინდანთა სულების სამკვიდრებელი ზეცაში, — სამოთხე“... (ქეგლ VI, თბ., 1960).

სუფევა ზმნის ამოსავალი მნიშვნელობა „არსებობა, მყოფობა“ უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი „მეფობა, ბატონობა, მფლობელობა“ და ა. შ. და ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ქონა-ყოლის ზმნები პირველადნი არ არიან, ისინი სათავეს არსებობა-მდგომარეობის ზმნებიდან იღებენ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ მსოფლიოში გვაქვს ისეთი ენები, რომლებშიც „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნა არ მოიპოვება, მაგრამ წარმოდგენილია „არსებობის“ გამომხატველი ზმნები (ე. ბენვენისტი), ხოლო იბერიულ-კავკასიურ ენებში „ქონა-ყოლის“ შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით რამდენიმე საფეხური გამოიყოფა (ვ. შენგელია).

ამგვარად, ვარაუდს ქართულში „არსებობის“ სემანტიკის პირველადობის შესახებ სხვა ენებში არსებული ვითარებაც უჭერს მხარს.